

საქართველოს უზენაესი სასამართლო

მართლმსაჯულება

№1

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

2006

რედაქტორი

მისეილ გობიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

**გიორგი ბერძული
ავთანდილ დემეტრაშვილი
მანია ვახაძე
ლალი ლაზარაშვილი
თენგიზ ლილუაშვილი
ბესარიონ ლოლაძე
თევდორე ნინიძე
ნუბზარ სსირტლაძე
იური ტყეშელაშვილი
გიორგი ტყეშელიაძე
მარიამ ცისკაძე
სოფიო ცისკაძე
ზურაბ კლიმერიშვილი
ნათია ჳკველაძე
გიორგი ხუბუა
სანდრო ჯორბენაძე**

ნომერზე მუშაობდნენ:

**ჟურნალისტი
ქეთევან ტყეშელაშვილი
სტილისტი
მანია დუმბაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მეგ ჩიბირიკა
ფოტო უზრუნველყოფა
დავით სიზანიშვილი**

რედაქციისაგან.....4

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის
კონსტანტინე კუბლაშვილის წარდგენა6

მილოცვები.....9

კონსტანტინე კუბლაშვილი:
„პატიოსანი და მიუკერძოებელი მოსამართლეების
პირველი დამცველი მე ვიქნები“.....10

სასამართლო რეზორმის პირითადი მიმართულებები15

ახალი ინსტიტუტი სამართლებრივ სფეროში.....29

საერთაშორისო კონტაქტები და სიახლეები.....32

მართლმსაჯულების სასახლე.....39

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე **მისილ გოგიშვილი**.....41

შეხვედრები.....42

ახალი მოსამართლეები:

ნათია ჯგერაძე: „სამართალი ყოველს მადლს სჯობს და
უსამართლობა ყოველს ავზე უარესი არის“.....43

თეიმურაზ თოდრია: „ჩემი სურვილია, მოქალაქეებმა კომპეტენტური
და ობიექტური სასამართლო იხილონ“.....50

ლალი ლაზარაშვილი: „საზოგადოებას უნდა სწამდეს, რომ
სასამართლოს შეუძლია შეასრულოს თავისი ნამდვილი
ფუნქცია – აღასრულოს მართლმსაჯულება“.....55

ზაზა მენიშვილი: „ქვეყნის სამართლებრივი განვითარების გასაღები
დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლო ხელისუფლებაშია“.....60

გიორგი შავლიაშვილი: „საქალაქო სასამართლო მოქალაქისათვის
ხელმისაწვდომი და ეფექტური გახდება“.....64

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრები.....	67
საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტი.....	68
საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებები.....	90
ახალი წიგნები.....	121

რედ აქციის სიგანა

საქართველოს უზენაესი სასამართლო იწყებს ჟურნალ „მართლმსაჯულების“ გამოცემას, რომელშიც გაშუქდება სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესები.

სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობა, საჯაროობა და გამჭვირვალობა, რადგან რეფორმირებული სასამართლო, პირველ რიგში, მოქალაქეების ნდობას უნდა იმსახურებდეს.

ჟურნალი ღიაა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ჩვენ გულდასმით გავეცნობით, შევისწავლით და გამოვაქვეყნებთ მოსამართლეების, პროკურორების, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების, ადვოკატების, მეცნიერ-იურისტებისა და ნებისმიერი მოქალაქის მოსაზრებებს, სტატიებს, საინტერესო წინადადებებს.

რედაქციაში შემოსულმა მასალამ არ უნდა შელახოს ადამიანის უფლებები; არ უნდა დაარღვიოს უდანაშაულობის პრეზუმფცია; არ უნდა ჩაერიოს და ზემოქმედება მოახდინოს სასამართლოზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

რედაქცია იმედოვნებს, რომ ორმხრივი თანამშრომლობა წარმატებული და ნაყოფიერი იქნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



კონსტანტინე კობლაშვილი

დაიბადა 1973 წლის 30 მარტს ქ. ტყებულში. 1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იურისტად. 1996 წლის იანვარში დაინიშნა საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის კოორდინაციის ჯგუფის მთავარ სპეციალისტად, ხოლო 1996 წლის მარტში – ამავე დეპარტამენტის კანონპროექტთა სამართლებრივი ექსპერტიზისა და ვიზირების განყოფილების გამგედ.

1998-2000 წლებში იყო გერმანიის ქალაქ ჰანოვერის უნივერსიტეტის დოქტორანტი, სადაც დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა „სამართლის დოქტორის“ (Dr.jur) სამეცნიერო ხარისხი.

2000 წლის მარტში დაინიშნა საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრად.

2000-2002 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე.

2002-2004 წლებში მუშაობდა იურისტად იურიდიულ ფირმაში „ქართველი ადვოკატები სამართლიანობისათვის“.

2004 წლის თებერვალში დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „განვითარებისა და რეფორმების ფონდის“ მეურვეთა საბჭოს წევრად, ხოლო შემდეგ – ფონდის დირექტორად.

არის არაერთი სამეცნიერო შრომის, პუბლიკაციის, სახელმძღვანელოს ავტორი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების საკითხებში.

**საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის მიერ
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ბატონ
კონსტანტინე კუბლაშვილის წარდგენა**



2005 წლის 23 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე – კონსტანტინე კუბლაშვილი. პარლამენტმა 173 ხმით ნდობა გამოუცხადა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

„თქვენ ისტორიული მისია გეკისრებათ – უნდა დაუბრუნოთ სასამართლო სისტემას ხალხის ნდობა და რეალური დამოუკიდებლობა“, – მიმართა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კონსტანტინე კუბლაშვილს.



„ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, ერთგულად ვიცავდე ადამიანის უფლებებს, საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, განვსჯიდე უანგაროდ, ცოდნითა და რწმენით, ვიყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, პირნათლად აღვასრულო მოსამართლის მაღალი დანიშნულება!“ – ასეთი ფიცი დადო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, თანამშრომლებისა და, რაც მთავარია, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების წინაშე.

„ძლიერი სასამართლო ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს!“ – ამ ღვეზით დაიწყო მუშაობა უზენაესი სასამართლოს ახალმა თავმჯდომარემ.

მ ი ლ ო ც ვ ე ბ ი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელით ვულოცავთ ბატონ კოტე კუბლაშვილს მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნას ქვეყნის განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე. საქართველოში ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბება დემოკრატიული სახელმწიფოს შენების წინაპირობაა და უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად შეძლებს სასამართლო ხელისუფლება საზოგადოების უპირობო ნდობის მოპოვებასა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების რეალურ ხელშეწყობას. გვჯერა, რომ ბატონი კოტე ღირსეულად გაართმევს თავს მასზე დაკისრებულ ამოცანებს, შეძლებს სასამართლო სისტემის რეფორმირებას და სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბებას. ამასთან, იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი გამოძებნის დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან აქტიური თანამშრომლობისათვის.

დავით კერესელიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი



საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ სამართლის მეცნიერების დოქტორი კონსტანტინე კუბლაშვილი აირჩიეს. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მას სახელმწიფო ორგანოებში მუშაობის გამოცდილება აქვს – რამდენიმე წლის განმავლობაში კონსტანტინე კუბლაშვილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა და დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით ასრულებდა.

თუმცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობას სირთულით იშვიათად თუ შეედრება რომელიმე სხვა თანამდებობა, რადგან იგი მართლმსაჯულების განხორციელებასთან არის დაკავშირებული, რაც უფაქიზესი საქმიანობაა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კონსტანტინე კუბლაშვილი დროსა და ენერგიას არ დაიშურებს იმისათვის, რომ წინ წასწიოს საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების საქმე. რასაკვირველია, ამ საქმეში მარტო ერთი კაცი, თუნდაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ვერაფერს გახდება, თუ მას გვერდით საზოგადოება არ დაუდგება, მაგრამ მასზე, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე, მანც ბევრი რამ არის დამოკიდებული.

მინდა, მივულოცო ბატონ კონსტანტინე კუბლაშვილს ამ უაღრესად საპატიო და რთულ თანამდებობაზე არჩევა და ვუსურვო წარმატება. მისი წარმატებული საქმიანობა ამ პოსტზე ჩვენი – მთელი ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების წარმატება და წინსვლა იქნება.

ოთარ გამყრელიძე

პროფესორი



ამ ჟურნალის გამოცემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა გახდეს იურიდიული საზოგადოებისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ არა ვართ განებივრებული ისეთი რეგულარული იურიდიული გამოცემებით, რომლებშიც დაინტერესებული პირი ამ სფეროში არსებულ, მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებულ მოსაზრებებსა და გამოკვლევებს გაეცნობა.

ვისურვებდი, რომ ეს ჟურნალი გამხდარიყოს ყველა იურისტისთვის სამაგიდო და თითოეული ახალი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად ელოდებოდეს მკითხველი.

**„პატიოსანი და მიუკერძოებელი მოსამართლეების
პირველი დამცველი მე ვიქნები“**

**(ინტერვიუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
კონსტანტინე კუმბაშვილთან)**

– როგორ თვლით, რა შეიცვალა თქვენი დანიშნვის შემდეგ სასამართლო სისტემაში და როგორ უნდა განისაზღვროს სასამართლოს როლი ქვეყნის აღმშენებლობის საკითხში?

– სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების მიუხედავად, რეფორმა მაინც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ამ ეტაპზე იგი მეტად საპასუხისმგებლო ფაზაშია და, სიძნელეების მიუხედავად, არავითარ შემთხვევაში უკან დახევა არ მოხდება. ჩვენი საბოლოო მიზანი საქართველოში პრინციპული, ობიექტური და პატიოსანი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებაა. რეფორმა წარმატებული მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებით სასამართლო ხელისუფლებას უკვე მოსახლეობაც შეაფასებს.

მიმდინარე რეფორმა მასშტაბურია – იგი მოიცავს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს, იქნება ეს საკანონმდებლო დონეზე განსახორციელებელი ცვლილება, ახალი კადრების შერჩევა, თუ სასამართლო სისტემაში დასაქმებული პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. მე, პირადად, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ყველანი ერთად – ჩვენ და ის მოსამართლეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ და ახლაც გამოირჩევიან ობიექტურობითა და პატიოსნებით, წარმატებით განვახორციელებთ ამ ცვლილებებს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ახლა აქვს რეალური შანსი, ძალიან ახლოს მივიდეს იმ მიზანთან, რასაც ევროკავშირში გაერთიანება ჰქვია. სასამართლო ხელისუფლებაში წარმატებით განხორციელებული რეფორმა კი ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი პირობაა.

რეფორმირებულ სასამართლო სისტემაში უზენაესმა სასამართლომ უნდა შეასრულოს დოქტრინალური სასამართლოს როლი. ამ სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს თანმიმდევრული პრაქტიკა. ეს კი აუცილებლად შეუწყობს ხელს სასამართლო

სისტემის გაძლიერებას და განვითარებას.

– როგორი მოსამართლეა მისაღები სამოქალაქო საზოგადოებისთვის? პროფესიონალიზმთან ერთად რა პიროვნული ღირსებების მატარებელი უნდა იყოს მოსამართლე?

– ყველა ქვეყანაში მოსამართლე თავისი თვისებებით თანამოქალაქეებისაგან გარკვეულწილად გამორჩეულია. პრინციპულობა, პატიოსნება, ობიექტურობა, წესიერება, მიუკერძოებლობა – ეს არის ის ძირითადი თვისებები, რომლებიც უნდა ჰქონდეს ყველა მოსამართლეს.

მინდა გითხრათ, რომ სწორედ ამ თვისებებიდან გამომდინარე ვარჩევთ ახალ მოსამართლეებს. მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შესახებ ვცდილობთ, ამომწურავი ინფორმაცია მოვიპოვოთ, ვაკვირდებით მათ და მხოლოდ ამის შემდეგ ვიღებთ გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ კანდიდატთან დაკავშირებით.

– წინა წლებში ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ არაერთგვაროვანი შეფასება არსებობს. ექსპერტების ერთი ნაწილი თვლის, რომ მაშინ გამოცდები არაობიექტურად ჩატარდა, მეორე ნაწილი კი საპირისპიროს ამტკიცებს. ბოლო ერთი წლის მანძილზე უკვე მეორედ ჩატარდა გამოცდა, კმაყოფილი ბრძანდებით თუ არა გამოცდების შედეგებით?

– გამოცდის შედეგები კონკრეტული ადამიანების მხრიდან ყოველთვის შეიძლება გახდეს საკამათო. წინა წლებში ჩატარებული რამდენიმე გამოცდის დროს გაჩნდა ეჭვი, რომ საგამოცდო ტესტის პასუხები გამოცდაში მონაწილე პირთა ერთი ჯგუფისთვის წინასწარ იყო ცნობილი, თუმცა ამის დადასტურება ფაქტით არ მომხდარა.

რაც შეეხება ბოლო პერიოდში ჩატარებულ ორ გამოცდას, შემიძლია თამამად და ხმამაღლა განვაცხადო, რომ გამოცდები მიუკერძოებლად და პატიოსნად ჩატარდა. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს შედეგებიც: პირველ გამოცდაში 1100-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, მეორეში – 900-მა, კონკურსის ეტაპამდე კი მიაღწია მხოლოდ 15-17%-მა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოცდა ობიექტური იყო.

ორივე გამოცდაზე დამკვირვებლებიც მრავლად იყვნენ. მათაც აღნიშნეს, რომ გამოცდები ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარდა. ასე რომ, თუ ადამიანს წინასწარ, სპეციალურად დაგეგმილი პროფესიული მიზნები არ ამოძრავებს, ისიც კი აღიარებს, რომ ბოლო ორი გამოცდა ობიექტურობით გამოირჩეოდა.

– თქვენ არაერთხელ აღნიშნეთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი კადრების შერჩევას. როგორია თქვენი აზრი ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ახალი, პატიოსანი, მაგრამ გამოუცდელი კადრების დანიშვნის თაობაზე?

– ყველა ახლადდანიშნული მოსამართლე საწყის ეტაპზე გამოუცდელია. მოსამართლედ არავინ იბადება. ამ პროფესიისთვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს ადამიანი წლების მანძილზე იძენს. დასაწყისისთვის კი, მთავარია, მისი განათლება, პიროვნული თვისებები, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, პატიოსნება, ობიექტურობა. იმის გამო, რომ ადრე მოსამართლედ არ უმუშავიათ, მათ დანიშვნაზე უარს ვერ ვიტყვით. ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მეტი ახალი

მოსამართლე ახალი აზროვნებით, გარკვეულწილად – „ახალი სისხლი“ სასამართლო სისტემაში. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს ახალი კადრების სასწრაფო წესით, ხელაღებით დანიშვნას. პირიქით – მათი შერჩევა ხდება გულდასმით და უდიდესი პასუხისმგებლობით. თუ ადამიანი კეთილსინდისიერია და კარგად არის მომზადებული, მაშინ მას პიროვნულადაც აქვს უფლება, იყოს მოსამართლე, კონკრეტულად ამ პროფესიისათვის დამახასიათებელ თვისებებს კი იგი მალე შეიძენს. გარდა ამისა, სავალდებულოა ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება. ეს ადამიანები ადრე მუშაობდნენ მოსამართლის თანაშემწეებად, ისინი დასაქმებული იყვნენ ადვოკატურაში, პროკურატურაში, სხვადასხვა იურიდიულ სამსახურებში, ანუ მათ ზურგს უმაგრებს კვალიფიციური და პროფესიონალი იურისტის სტატუსი.

სამწუხაროდ, ჩვენ ამ ეტაპზე არ გვაქვს საშუალება, ახალ მოსამართლეებს რამდენიმეთვიანი ტრენინგი ჩავუტაროთ, თუმცა ყველაფერი გამოსწორებადია. მომავალში სწორედ ამ რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი სისტემის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, მოსამართლეობის კანდიდატები 14-თვიან კურსს გაივლიან და ექნებათ ყველა პირობა მოსამართლეთათვის დამახასიათებელი პროფესიული უნარ-ჩვევების წარმატებით შესათვისებლად.

– ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ მოსამართლეთა მიუკერძოებლობის საკითხს. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული პრობლემა მართლმსაჯულების სისტემის არასაკმარისი დაფინანსებით არის გამოწვეული. რას ფიქრობს ამ საკითხთან დაკავშირებით ქვეყნის პირველი მოსამართლე და რა ღონისძიებები ტარდება იმისათვის, რომ მოსამართლეებს გაუუმჯობესდეთ შრომის პირობები?

– ამ რეფორმის მთავარი მიზანია სწორედ იმ კონდიციამდე მიღწევა, რასაც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ჰქვია.

დღეს სასამართლოს დაფინანსება სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულია. 2006 წლიდან მოსამართლეს უკვე ძალიან მაღალი ხელფასი აქვს – პირველ ინსტანციაში მინიმალური ხელფასით – 1450 ლარიდან დაწყებული, დამთავრებული 4000 ლარამდე – უზენაეს სასამართლოში. ეს, ფაქტობრივად, ისეთი ხელფასია, რომელზეც მხოლოდ სკეპტიკოსი თუ იტყვის, რომ კიდევ არ არის საკმარისი. სამუშაო პირობები ასევე გაუუმჯობესდათ სასამართლოს აპარატის თანამშრომლებსაც, გაიზარდა მათი ხელფასებიც.

2005 წელს რემონტი ჩატარდა უზენაეს სასამართლოში. შეძენილ იქნა ახალი აპარატურა, კეთილმოეწყო დარბაზები. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ვსრულყოთ სამუშაო პირობები, რათა მოსამართლეთა ენერჯია მიმართული იყოს მხოლოდ საქმეების განხილვისაკენ. 2006 წლის გაზაფხულამდე დასრულდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის რემონტი. სავარაუდოდ, ამავე პერიოდში დასრულდება ბათუმის სასამართლოს ახალი შენობის რემონტიც. ეს არის უმაღლესი არქიტექტურული დონის ნაგებობა.

წელს ვვარაუდობთ თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის მაღალ დონეზე რეკონსტრუქციას. პარალელურად, კეთილმოეწვობა გამსხვილებული რეგიონული სასამართლოებიც. ამგვარი სამუშაოების ჩატარების საშუალებას გვაძლევს გაზრდილი ბიუჯეტიც. ჩვენი დაფინანსება (უზენაესისა და საერთო სასამართლოების ერთად) დაახლოებით 33 მლნ ლარამდეა. ეს კი 2005 წელთან შედარებით (13 მლნ ლარი) თითქმის ორნახევარჯერ მეტია.

– რამ განაპირობა თბილისის რაიონული სასამართლოების გაუქმება და ერთიანი საქალაქო სასამართლოს შექმნა? როგორ ფიქრობთ, გაამართლა თუ არა ამ მოდელმა?

– ჯერჯერობით საქალაქო სასამართლოში ის სიტუაცია არ არის, რომელიც გვსურს, რომ გვექნოდეს, თუმცა მუშაობა საბოლოო მოდელის მისაღებად ინტენსიურად მიმდინარეობს. დადებით შედეგს მოგვიტანს საქალაქო სასამართლოში სპეციალიზებული კოლეგიების არსებობა. თუ ადრე რაიონული სასამართლოს მოსამართლეები ერთდროულად იზილავენ როგორც სისხლის, ასევე – სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს, საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ კოლეგიაში მოსამართლე მხოლოდ ერთი კატეგორიის საქმეს განიხილავს.

ერთი წლის განმავლობაში საქალაქო სასამართლო გარემონტდება. ამ სასამართლოში მოიყრის თავს ამჟამად სხვადასხვა შენობაში განთავსებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოლეგიებიც.

ინტენსიურად ვმუშაობთ საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებისათვის უკეთესი სამუშაო პირობების შესაქმნელად. პირველ რიგში, ვაპირებთ საერთო კომპიუტერული ქსელის შექმნას, რაც მოსამართლეებს საშუალებას მისცემს, მოიძიონ საჭირო ინფორმაცია, იქნება ეს საკანონმდებლო ცვლილებები, თუ სხვადასხვა ნორმასთან დაკავშირებული უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა.

– რა მიგაჩნიათ სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიად?

ამის გარანტია, პირველ რიგში, თავად მოსამართლეების ობიექტურობა და დამოუკიდებლობაა. ჩვენ რაც არ უნდა კარგი სამუშაო პირობები შევუქმნათ მათ, როგორი მაღალი ხელფასიც არ უნდა მივცეთ, ყველა შემთხვევაში მოსახლეობის ნდობის ამაღლება ძირითადად მაინც მოსამართლეზეა დამოკიდებული, თუმცა მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებლობა ჩვენც გვაკისრია, რადგან სწორედ ჩვენ ვარჩევთ ამ მოსამართლეებს. საზოგადოებას შეიძლება მოეწონოს უმაღლესი სტანდარტებით გარემონტებული სასამართლოს შენობა, მაგრამ იგი მანამდე არ ენდობა სასამართლოს, სანამ თავადვე არ დარწმუნდება მოსამართლის დამოუკიდებლობასა და პატიოსნებაში. სასამართლო სისტემისადმი ნდობა მოსახლეობას შეექმნება მხოლოდ მაშინ, როცა იგი, თუნდაც მათთვის არასასურველი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მიხვდება, რომ მოწინააღმდეგე მხარესთან პროცესი ობიექტურად წააგო.

– რა შეგიძლიათ თქვით იმ ძველ მოსამართლეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ აგრძელებენ პროფესიულ საქმიანობას? ხომ არ ფიქრობთ, რომ ზოგიერთი მათგანის შელახული იმიჯი სასამართლოს რეპუტაციაზე ცუდად აისახება?

– მე მოსამართლეთა კორპუსს არ დავყოფდი ძველ და ახალ მოსამართლეებად. ეს უფრო ფორმალურია. უბრალოდ გამოვარჩევდი ისეთებს, რომლებიც სუბიექტურად იღებენ გადაწყვეტილებებს და რომლებიც ექცვიან „ზარის“ ან თანხის შეთავაზების გავლენის ქვეშ. ასეთ მოსამართლეებზე ჩემი აზრი ყველასთვის ცნობილია.

ძალიან ეფექტურად ავამოქმედეთ კანონით გათვალისწინებული სადისციპლინო მექანიზმი. ნებისმიერი მოსამართლე მის მიერ ჩადენილი დარღვევისათვის დასჯილი იქნება ადეკვატუ-

რად. ამასთანავე, ყველგან ვაფიქსირებ და, პირველ რიგში, თავად მოსამართლეების გასაგონად ვამბობ, რომ მე ვიქნები პატიოსანი, მიუკერძოებელი და ობიექტური მოსამართლეების პირველი დამცველი.

იუსტიციის საბჭო მოსამართლეების დამსჯელი ორგანო ნამდვილად არ არის. ამგვარ მიდგომას სტატისტიკაც ადასტურებს. მაგალითად: 2005 წლის ოქტომბრის დასაწყისის მდგომარეობით წინა ერთი წლის განმავლობაში მოსამართლეთა მიმართ შესული, დაახლოებით 1500 საჩივრიდან დისციპლინური სამართალწარმოებით განხილულ იქნა მხოლოდ 13%, 87%-ის განხილვაზე კი იუსტიციის საბჭომ უარი თქვა, რადგან ჩათვალა, რომ ეს იყო გამოგონილი, არასწორი, დაუსაბუთებელი საჩივრები. ამის გარდა, სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება მოსამართლეს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში შეუძლია.

– სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხი უშუალო კავშირშია ეფექტური მართლმსაჯულების გახორციელებასთან. ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემები არსებობს. მიმდინარეობს თუ არა ერთობლივი კონსულტაციები ამ პრობლემის გადასაწყვეტად?

– ეფექტური აღსრულების გარეშე არ არსებობს ეფექტური მართლმსაჯულება. სამწუხაროდ, ეს როგორც ჩვენი, ასევე, საერთოდ სახელმწიფოებრივი პრობლემაა. ეფექტურ აღსრულებაზე დამოკიდებული არა მხოლოდ ზოგადად სასამართლოს ნდობის აღდგენა, არამედ – მომავალში სახელმწიფოს განვითარებაც, ვინაიდან ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყანაში არ აღსრულდება, პირველ რიგში, სახელმწიფოზე აისახება უარყოფითად. ამის გარდა, ასეთი გადაწყვეტილებების ნაწილი ევროსასამართლოში საჩივრდება.

ფიქრობთ, საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისა და გაძლიერების კვალდაკვალ ეს პრობლემაც გადაიჭრება და ჩვენი სახელმწიფო თავად შეძლებს საკუთარი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას.

სასამართლო რეფორმის ძირითადი მიმართულებები

2005 წლის დასაწყისიდან საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმა მასშტაბურია და მოიცავს სასამართლო სისტემის მოწყობისა და გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. რეფორმის ყველა, მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაბიჯი არსებითად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი კომპლექსური, ეტაპობრივი განხორციელება აუცილებელია დასახული მიზნის – დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის – მისაღწევად.

რეფორმის ძირითადი მიმართულებებია:

- სასამართლო სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების სრულყოფა და მათი საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- სასამართლო სისტემის ინსტიტუციური რეორგანიზაცია, მწყობრი, ფუნქციურად გამართული სისტემის შექმნა და, შესაბამისად, თანმიმდევრული ინსტანციურობის პრინციპის უზრუნველყოფა;
- მოსამართლეთა სპეციალიზაცია ყველა ინსტანციის სასამართლოში;
- მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა არანაკლებ 400-მდე;
- მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების გაზრდა, სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების გაძლიერება და განმტკიცება;
- მოსამართლეთა კადრების შერჩევის კრიტერიუმების დახვეწა და მათი თანამდებობაზე განწესების სისტემის სრულყოფა;
- მოსამართლეობის კანდიდატთა მომზადებისა და მოქმედი მოსამართლეების მუდმივი გადამზადების სისტემის შექმნა, შესაბამისი გრძელვადიანი პროგრამებისა და სასწავლო კურსის შემუშავება და ამოქმედება;
- კარიერის პრინციპით მოსამართლეთა სამსახურებრივი წინსვლის უზრუნველყოფა;
- სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა;
- სასამართლოთა შენობებში და სხდომათა დარბაზებში წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლოს მანდატურის ინსტიტუტის შემოღება;
- სასამართლოს ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესება, მისი მენეჯმენტის სისტემის დახვეწა, სასამართლო აპარატის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათი საქმიანობის გაუმჯობესება;
- სასამართლო სისტემის ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნა, შესაბამისად, საქმისწარმოების ხარისხის ამაღლება და სრულყოფა, სასამართლოთა საქმიანობის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა საჯარო ინფორმაციის ქსელში განთავსებით;
- გაჭიანურებული სასამართლო განხილვების პრობლემის გადაწყვეტა, საქმეთა განმეორებითი განხილვის შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო სამართალწარმოების მექანიზმის დახვეწა, მათ შემადგენლობაში მოსამართლეთა რაოდენობის, სულ მცირე, ნახევრამდე გაზრდა და მათი საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- სასამართლოსა და მასმედიის ურთიერთობის გაფართოება და გაუმჯობესება, სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება.

I. ინსტიტუციური ცვლილებები

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო

მაგისტრატი მოსამართლე

გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს;

3. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენისა და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე;

4. შრომის-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

მაგისტრატი მოსამართლეები, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ ადმინისტრაციულ საქმეებს:

1. სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის, რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე;

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ;

3. სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე;

4. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე;

5. საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით;

6. მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე.

მაგისტრატი მოსამართლეები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, პირველი ინსტანციით განიხილავენ შუამდგომლობებს საპროცესო-სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებისა და მათი შეცვლის თაობაზე.

სარჩელები (განცხადებები) და შუამდგომლობები მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ასევე, შუამდგომლობები პირის მიმართ საპროცესო-სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების და შეცვლის თაობაზე, შეიტანება სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

2. სააპელაციო სასამართლო

ინსტიტუციური ცვლილებების თვალსაზრისით რეფორმა ითვალისწინებს საქართველოში წმიდა სააპელაციო ტიპის სასამართლოს ინსტიტუტის შექმნას. 2005 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, 1 ნოემბრიდან ამოქმედდა სააპელაციო სასამართლო ინსტანცია, რითაც ძირეულად შეიცვალა არსებული საოლქო სასამართლოების მოდელი საერთო სასამართლოების ერთიან სისტემაში. აქამდე მეორე ინსტანციის, ანუ საოლქო სასამართლო არ წარმოადგენდა წმინდა სააპელაციო ტიპის სასამართლოს, რადგანაც ამ სასამართლოში არსებობდა შესაბამისი კოლეგიები, რომელნიც პირველი ინსტანციით განიხილავდა მათ განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს. განხორციელებული ცვლილებით ერთმანეთისაგან მკვეთრად გაიმიჯნა სასამართლო ინსტანციების პრინციპი, რითაც ზუსტად არის დაცული დასავლეთში გაბატონებული „Instanzenzug-ის“, ანუ თანამიმდევრული ინსტანციურობის პრინციპი. სააპელაციო სასამართლოში აღარ არსებობს საქმეთა პირველი ინსტანციის წესით განიხილველი კოლეგიები და ყველა საქმეს სასამართლო

განიხილავს მხოლოდ აპელაციის წესით. უფრო კონკრეტულად, სააპელაციო საჩივრებს პირველი ინსტანციის, ანუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების (მათ შორის – მაგისტრატი მოსამართლეების) მიერ გამოტანილ შემაჯამებელ გადაწყვეტილებებზე განიხილავს მხოლოდ სააპელაციო სასამართლო. სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით სააპელაციო წესით არ საჩივრდება იმ კატეგორიის საქმეები, რომელთა დავის საგნის ღირებულება სამოქალაქო დავების დროს არ აღემატება 1000 ლარს. სისხლის სამართლის საქმეებზე საპელაციო წესით არ საჩივრდება სასამართლოს განაჩენი ისეთი კატეგორიის დანაშაულზე, რომლის სანქციაც თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს, მაგრამ აქაც გათვალისწინებულია გამონაკლისი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, კერძოდ, პირს უფლება აქვს, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი და მოითხოვოს წარდგენილ ბრალდებაში გამართლება.

3. საკასაციო სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლო ჩამოყალიბდა წმინდა საკასაციო ტიპის ინსტანციის სასამართლოდ. უზენაეს სასამართლოში გაუქმდა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეებს. ამჟამად უზენაესი სასამართლო განიხილავს მხოლოდ საკასაციო საჩივრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ინსტანციაში არ მოხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-შეფასება. მართალია, საქართველო არ განეკუთვნება ინგლისურ-ამერიკული სამართლის ოჯახის ქვეყანათა კატეგორიას, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებებს პრეცედენტული და სავალდებულო ძალა გააჩნიათ, მაგრამ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დადგენასა და მის განზოგადებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც სამართლის ნორმათა შეფარდებისა და განმარტების თვალსაზრისით. ზემოაღნიშნული ცვლილება სწორედ ამ მიზანს ემსახურება. შემოღებულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები. ძირითადად ისინი იდენტურია სამართლის სამივე (სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო) სფეროსათვის და მდგომარეობს იმაში, რომ უზენაესი სასამართლო საქმეს დასაშვებად მიიჩნევს და განსახილველად მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, ან თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაეს სასამართლოში მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. გარდა ამისა, მიმდინარე რეფორმამ გაითვალისწინა დემოკრატიულ ქვეყნებში დამკვიდრებული რევიზიის საფუძვლები და დაადგინა, რომ საჩივარს საკასაციო სასამართლო აუცილებლად განიხილავს, თუკი სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და ამ დარღვევას შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალში საკასაციო საჩივარი ქონებრივ დავაზე უპირობოდ დაიშვება, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 50 000 ლარს, ხოლო არაქონებრივზე კი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე.

აღნიშნული ცვლილებებით უზენაესი სასამართლო ხდება მართლაც დოქტრინალური სასამართლო, რომელსაც სამართლის ნორმათა დასაბუთებული განმარტებისა და შეფარდების შედეგად უფრო ეფექტურად შეუძლია სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო

პრაქტიკის ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, საერთოდ სასამართლო სისტემის სწრაფ და გამართულ ფუნქციობას უზრუნველყოფს. მეორე მხრივ, ამ ცვლილებების შედეგად შექმნილ სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვნად აღმოიფხვრება საქმეთა გაჭიანურების უმწვავესი პრობლემა, რადგან უზენაესი სასამართლო აღარ განიხილავს აქამდე განსახილველ საქმეთა, სულ ცოტა, 35-40 პროცენტს. შესაბამისად, იგივე რაოდენობის საქმეებზე ძალაში დარჩება სააპელაციო სასამართლოთა გადაწყვეტილებები.

რეფორმირებულ სასამართლო სისტემაში განსაკუთრებით ეფექტურად იქნება უზრუნველყოფილი ე.წ. თანმიმდევრული ინსტანციურობის პრინციპი, რომელიც სასამართლო ხელისუფლების შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმია. ამ პრინციპის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე დადგენილი საპროცესო ფორმებით – ჯერ აპელაციით და შემდეგ უკვე კასაციით – სააპელაციო და საკასაციო (უზენაესი) სასამართლოს მიერ ხორციელდება საპროცესო ზედამხედველობა, ანუ ხდება გადაწყვეტილებათა შემოწმება, რაც სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა მიერ კანონის დარღვევათა გამოვლენის, მათ შორის, კორუფციასთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ეს მექანიზმი კიდევ უფრო ქმედითი გახდება დროთა განმავლობაში, როცა თანდათანობით ჩამოყალიბდება და მკვეთრ კონტურებს შეიძენს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამართლის ყველა ნორმასთან დაკავშირებით. მართალია, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ექნება პრეცედენტული, სავალდებულო ძალა, მაგრამ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება ქვედა ინსტანციის სასამართლომ მყარად უნდა დაასაბუთოს, რათა ეს გადაწყვეტილება განდეს უზენაესი სასამართლოს მსჯელობის საგანი და არ დადგეს გაუქმების საფრთხის წინაშე.

II. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება მასში მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდისა და, საერთოდ, მოსამართლეთა "ხმის" გაძლიერების მიზნით. უდიდესი უფლებამოსილების მქონე ამ ორგანოში, რომლის კომპეტენციაში შედის სასამართლო ბიუჯეტის შედგენა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და მისი კონტროლი, მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის შერჩევა და წარდგენა პრეზიდენტისათვის, პრეზიდენტთან მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების თუ დაწინაურების საკითხის დაყენება, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება მოსამართლეების მიმართ, სასამართლოს მოხელეთა სამსახურში მიღება და ა.შ. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დღემდე მოსამართლეები ყოველთვის უმცირესობაში იყვნენ. გასული წლის შემოდგომაზე საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებებით კი 2006 წლის 1 მარტიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა გაიზარდა და განისაზღვრა 18 წევრით, რომელთაგან 9 მოსამართლე იქნება. საბჭოს შემადგენლობაში „ექს-ოფიცო“ შედიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი და საქართველოს გენერალური პროკურორი. საბჭოს ორ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო ოთხ წევრს, რომელთაგან სამი საქართველოს პარლამენტის დეპუტატია, ირჩევს საქართველოს პარლამენტი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 8 წევრს, საერთო სასამართლოების მოსამართლეთაგან,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. ამ ცვლილებების შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლეებს ექნებათ ხმათა საკმარისი რაოდენობა. ასევე აღსანიშნავია, რომ, ცვლილებების მიხედვით, ამიერიდან მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს თვით სასამართლო ხელისუფლების მეთაური – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებისა და საქმიანობის წესი შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ოქტომბრის №914 განკარგულებით.

III. დისციპლინური სამართალწარმოება

რეფორმის კიდევ ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი დისციპლინური სამართალწარმოების არსებული მოდელია. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მექანიზმი, ფაქტობრივად, სასამართლოს სისტემის შიდა მონიტორინგის ერთადერთი მექანიზმია. აქამდე არსებული მოდელი რამდენჯერმე შეიცვალა, თუმცა მიღებული შედეგი მაინც არ შეესაბამებოდა 1994 წლის 13 ოქტომბერს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციას – „მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, ეფექტიანობა და როლი“, რომლის მიხედვით, მოსამართლეთა მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევები უნდა შემოწმდეს შესაბამისი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური ორგანოს მიერ, იმავდროულად, შემოწმდეს გონივრულ ვადაში და არა გაჭიანურებული პროცედურის შესაბამისად. სწორედ ამ პრინციპს იზიარებს მიმდინარე რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა დისციპლინური სამართალწარმოების არსებული მოდელი, რაც ამ მექანიზმის სწრაფ და ეფექტურ მოქმედებას უზრუნველყოფს. ამასთან ერთად, განმტკიცდა დისციპლინურ სამართალწარმოებაზე სასამართლო ზედამხედველობის პრინციპი – სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაეს სასამართლოში და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, რომელიც სამი მოსამართლისაგან შედგება. აღსანიშნავია, რომ არსებული მოდელისაგან განსხვავებით, ახალ სისტემაში სადისციპლინო პალატას საქმის არსებითი გამოკვლევა-შეფასების უფლებამოსილება აქვს.

ცვლილებების შედეგად ღვინდება მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისა და წინასწარი შემოწმების პროცედურა – უქმდება დისციპლინური დევნის აღძვრის სტადია და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლების არსებობისას იწყება დისციპლინური საქმის გამოკვლევა. წინასწარი შემოწმების შედეგად სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე. საქმის განხილვის შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭო წყვეტს საქმის სადისციპლინო კოლეგიისათვის გადაცემის, ანუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის საკითხს.

თავის მხრივ, იცვლება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო სამართალწარმოების სტრუქტურაც. სადისციპლინო საბჭო უქმდება და მის ნაცვლად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იქმნება სადისციპლინო კოლეგია. იგი შედგება ექვსი წევრისაგან, რომელთაგან სამი მოსამართლეა. კოლეგიის წევრებს თავისი შემადგენლობიდან ორი წლის ვადით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. დისციპლინურ საკითხზე გამართულ სხდომასა და გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის წევრი, რომელიც არის სადისციპლინო კოლეგიის წევრი.

როგორც აღინიშნა, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. სადისციპლინო პალატას (იგი შედგება სამი მოსამართლისაგან), რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხების განმხილველ საკასაციო სასამართლოს, ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით. აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი სიახლე, რომ სადისციპლინო პალატა კოლეგიის გადაწყვეტილებას შეამოწმებს არა მხოლოდ სამართლებრივი პროცედურების დარღვევის საფუძველზე (როგორც დღემდე იყო), არამედ მთლიანად საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი საფუძველებით, ასევე, დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

IV. კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმები

1998 წელს დაწყებული სასამართლო რეფორმის წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკური ნებისა და, შესაბამისად, ამისათვის საჭირო მექანიზმების სრული უგულებელყოფა იყო. დღეს მიმდინარე რეფორმა კი სწორედ ასეთ ნებას ეფუძნება და რეფორმის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაც კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმების მაქსიმალურად ეფექტურად ამოქმედებაა.

სასამართლო სისტემაში კორუფციასთან ბრძოლის ძირითადი და ფაქტობრივად ერთადერთი მექანიზმი დისციპლინური სამართალწარმოებაა. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული ე.წ. ინსტანციურობის პრინციპი და საპროცესო ზედამხედველობა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. აღნიშნული ბერკეტების ეფექტურად ამოქმედებასთან ერთად რეფორმა ითვალისწინებს სასამართლო სისტემაში კორუფციის სტიმულების აღმოფხვრას და ამ მიზნით მოსამართლეთა სოციალური და სამუშაო პირობების მაქსიმალურად გაუმჯობესებას, ხელფასის ზრდას, გადამზადებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების სისტემის (შესაბამისი სწავლების პროგრამისა და კურსის) შექმნას, სტაბილურობისა და დაცულობის პირობების უზრუნველყოფას, რის გარეშეც შეუძლებელია კვალიფიციური, კეთილსინდისიერი და ობიექტური სასამართლო კორპუსის არსებობა.

საყურადღებოა, რომ დისციპლინური სამართალწარმოების მექანიზმის გამართულად და ადეკვატურად ფუნქციონირების პერიოდში, რაც 2004 წლის მაისიდან დაიწყო, გათავისუფლებულია 19 მოსამართლე, მაგრამ არა კორუფციული, არამედ – კანონის უხეში დარღვევის საფუძველზე. ბუნებრივია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ასეთი არაკვალიფიციური მოსამართლეების საქმიანობა (რომლებიც უხეშად არღვევენ მხარეებისა და ბრალდებულის მატერიალურ თუ საპროცესო უფლებებს) იწვევს სასამართლოსადმი უნდობლობას და, შესაბამისად,

მისი ავტორიტეტის კატასტროფულ დაცემას. მეორე მხრივ კი ისიც ცხადია, რომ მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოება და კორუფციასთან ბრძოლის სხვა, შიდა მექანიზმები არასაკმარისია ამ უმძიმესი პრობლემის აღმოსაფხვრელად. სწორედ ამიტომ აუცილებელია სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება. ეს მექანიზმი რომ ქმელითა, გვიჩვენებს 2004 წლიდან დღემდე არსებული სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ქრთამის ადების ფაქტზე ათამდე მოსამართლეა დაკავებული, საერთოდ კი 15 მოსამართლეა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტებთან, ანუ მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით არსებობს შიში, რომ ამით კიდევ უფრო დაცემა სასამართლოს პრესტიჟი, რეალურად კი ასეთი ფაქტები, პირიქით, დადებით ზეგავლენას ახდენს, ანუ კორუპციურ მოსამართლეთა გამოვლენა და დასჯა სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას მხოლოდ ამალღებს, რასაც რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

V. სასამართლოს აპარატი

სასამართლო რეფორმის წარმატების არსებითი წინაპირობა სასამართლოს აპარატის მოხელეთა საქმიანობის რადიკალური გაუმჯობესებაა. რეფორმის ამ კომპონენტის განხორციელების გარეშე შეუძლებელი იქნება სასამართლო სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სასამართლოსადმი მოსახლეობის ნდობის აღდგენა, რადგან სწორედ სასამართლოს მოხელებს აქვთ უშუალო კონტაქტი მოქალაქეებთან, პირველად ისინი ხვდებიან მხარეებს სასამართლოში და გარკვეულწილად სასამართლოს სახეს წარმოადგენენ. რეფორმის შედეგად უნდა აღმოფხვრას ისეთი პრობლემები, რომლებიც წლების განმავლობაში თავად მოსამართლეთა კორპუსსაც ახასიათებდა: კორუფცია, უპასუხისმგებლობა, მოქალაქისადმი უხეში მოპყრობა და არაორგანიზებულობა.

აღნიშნული მიმართულებით აუცილებელია როგორც არსებული კორპუსის გადახალისება და ახალი, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მოხელების შერჩევა, ისე – მათთვის შესაბამისი სამუშაო (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით) და სოციალური (ხელფასის ზრდის თვალსაზრისით) პირობების შექმნა. ამით უნდა აღმოფხვრას სასამართლოების აპარატში არსებული კორუფციის სტიმულები, იმავდროულად კი უნდა გაძლიერდეს და ეფექტური გახდეს მოხელეთა საქმიანობის კონტროლი სასამართლოთა თავმჯდომარეებისა და სხვა უფლებამოსილი პირების მხრიდან. ამ მიზნით აუცილებელია "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამსახურეთა (მოხელეთა) ეთიკისა და ქცევის წესთა ნორმების" რეალური ამოქმედება და დაცვა, მათი დარღვევის შემთხვევაში კი ადეკვატური რეაგირება, რაც ხელს შეუწყობს საქმის წარმოების გაუმჯობესებას და შესაბამისი სამუშაო დისციპლინის უზრუნველყოფას. ამასთან, მომავალი წლის ბიუჯეტი იძლევა საშუალებას, მაქსიმალურად გაუმჯობესდეს მოხელეთა სამუშაო პირობები და მათი სახელფასო ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაიზარდოს. აპარატის საქმიანობის გასაუმჯობესებლად ასევე მკვეთრად გაიმიჯნება ფუნქციები თანამშრომელთა შორის და მაქსიმალურად ეფექტურად იქნება გამოყენებული თითოეული მათგანის, განსაკუთრებით კი მოსამართლის თანამემწის შესაძლებლობები.

აღნიშნული პრობლემის საბოლოოდ აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი იქნება საერთო კომპიუტერული ქსელის შექმნა, რომლითაც დაინერგება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნ-

ვისა და საქმისწარმოების სისტემები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სასამართლო საქმისწარმოების ხარისხის მაქსიმალურ ამაღლებას, კერძოდ კი სამუშაოს დუბლირების მინიმიზაციას, სასამართლოში ინფორმაციის დამუშავების ხარისხისა და სასამართლო პერსონალის კვალიფიკაციის პერმანენტულ ზრდას.

ყოველივე ზემოთქმულის განხორციელება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება საქმეთა გაჭიანურების შემთხვევების აღმოფხვრისა და სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად.

VI. სასამართლო და მედია

სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა, საჯაროობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა ამ რეფორმის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. აქამდე დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო პირდაპირ კონტაქტზე საზოგადოებასთან არ გამოდიოდა და მას ურთიერთობა მხოლოდ საზოგადოების კონკრეტულ წევრთან, კერძოდ კი იმ მხარესთან ჰქონდა, რომელიც წარმოადგენდა პროცესის მონაწილე სუბიექტს ან სასამართლოში განცხადების წარმდგენ მხარეს. სასამართლოსა და საზოგადოების ურთიერთობა უფრო ფართო და მრავალმხრივი უნდა იყოს, საზოგადოებამ მეტი უნდა იცოდეს სასამართლოს შესახებ და ეს ურთიერთობა მედიის მხრიდან მათთვის მხოლოდ ერთეული პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. სასამართლო სისტემაში მიმდინარე ყველა ცვლილება საზოგადოების განსჯის საგანი უნდა გახდეს, საზოგადოებამ თავი რეფორმის მონაწილედ უნდა იგრძნოს, რათა გაუჩნდეს პასუხისმგებლობის გრძნობა ამ პროცესის მიმართ.

სასამართლოსა და საზოგადოებას შორის გამჭვირვალე ურთიერთობის დამყარებისკენ სერიოზული ნაბიჯი უკვე გადაიდგა და სასამართლოებში სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტი ამოქმედდა. მსგავსი პრაქტიკა უკვე დამკვიდრებულია დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. სპიკერ-მოსამართლის მეშვეობით სასამართლო საზოგადოებას თავის პოზიციას დაუფიქსირებს.

გარდა ამისა, თანდათანობით იხვეწება სასამართლოსა და მედიის ურთიერთობა, რაც სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ცივილიზებული კონტაქტის ჩამოყალიბებისკენაა მიმართული. საქართველოს ყველა სასამართლოს სხდომათა დარბაზებში განისაზღვრება სპეციალური ადგილები, საიდანაც მოხდება პროცესის მიმდინარეობის ვიდეოგადაღება, დარბაზების თანამედროვე აუდიოფიცირება კი უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ ელექტრონულმა მედიამ ხარისხიანი მასალა მოამზადოს. აღნიშნული ცვლილებით გამოირიცხება პროცესის მიმდინარეობისას ვიდეოკამერების მუდმივი გადაადგილება სხდომის დარბაზში, რაც ხელს უშლიდა მოსამართლეს პროცესის ნორმალურად წარმართვაში.

რეფორმის განხორციელების კვალდაკვალ უნდა მოხდეს იმ ჟურნალისტების სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლება, რომლებიც სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენებს აშუქებენ. ხშირად ჟურნალისტები სწორედ იმის გამო, რომ სპეციალური განათლება არ აქვთ, არასწორად აშუქებენ მოვლენებს. ტრეინინგების საშუალებით ჟურნალისტებს მიეწოდებათ ინფორმაცია როგორც საკანონმდებლო სიახლეებზე, ასევე – სასამართლოში მიმდინარე სხვა აქტუალურ საკითხებზე.

VII. წესრიგის დაცვა სასამართლოში

სასამართლო სისტემაში დღეს არსებული მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ აუცილებელია, გაძლიერდეს სასამართლოს შენობებში წესრიგის დაცვა. ამ კუთხით, მრავალი სახელმწიფოს გამოცდილების შესაბამისად, 2006 წლის იანვრიდან სასამართლოს სისტემაში ამოქმედდა მანდატურის ინსტიტუტი, რომელიც დაიცავს წესრიგს სასამართლოში. მართალია, ეს არ იქნება საფრანგეთსა და აშშ-ში მოქმედი მარშალის ინსტიტუტის აბსოლუტური ანალოგი, მაგრამ მარშალის მსგავსად მანდატური უზრუნველყოფს მოსამართლისა და პროცესის მონაწილეების უსაფრთხოებას, დაიცავს წესრიგს სასამართლოს შენობასა და სხდომის დარბაზებში პროცესის მიმდინარეობისას. მანდატური ემორჩილება სასამართლოს, სხდომის თავმჯდომარეს და მხოლოდ მათი ბრძანების შესაბამისად გამოიყენებს ფიზიკურ ძალასა და კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში სპეციალური საშუალებებს – ცეცხლსასროლ იარაღს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართავს პოლიციას.

გარდა ამისა, სასამართლო პროცესზე და შენობაში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირების შეზღუდვა დარბაზში განთავსებული დასაჯდომი ადგილების რაოდენობის შესაბამისად. იმავედროულად, კანონმდებლობა გამკაცრდა, უფრო ქმედითი და ეფექტური გახდა სასამართლო პროცესის მსვლელობისას წესრიგის დამრღვევ პირთა მიმართ. სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მოსამართლეებს უფლება აქვთ, წესრიგის დარღვევისა და სასამართლოსადმი უხეში უპატივცემულობის შემთხვევაში დააჯარიმონ პირი 50-დან 500 ლარამდე, გააძეონ იგი დარბაზიდან ან დააპატიმრონ 30 დღემდე ვადით. მოსამართლის ამ ბრძანებებს აღასრულებს სასამართლოს მანდატური.

ყოველივე ზემოაღნიშნული (მათ შორის – პროცესის ვიდეოჩაწერისათვის სპეციალური ადგილის გამოყოფა სხდომათა დარბაზებში) მიმართულია პროცესის მიმდინარეობის და, საერთოდ, მოსამართლის საქმიანობის ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრისაკენ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ყველაზე მთავარს – მართლმსაჯულების დაუბრკოლებელ განხორციელებას.

VIII. სასამართლო სისტემის ბიუჯეტი

სასამართლოს რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა რეფორმის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა. რეფორმის ფარგლებში მკვეთრად გაიზარდა მოსამართლეთა ხელფასები, გაუმჯობესდება სასამართლოებში სამუშაო პირობები, გადახალისდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მიუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს, რაც სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი გარანტიაა. სწორედ ამ მიზნით სასამართლო სისტემის ბიუჯეტი 20 მილიონი ლარით იზრდება – 13 მილიონი ლარიდან 2005 წელს 33 მილიონ ლარამდე 2006 წელს. უპირველეს ყოვლისა, იზრდება მოსამართლეთა ხელფასი: პირველი ინსტანციის სასამართლოებში მინიმალური ხელფასი იქნება 1450 ლარი, საშუალოდ 2000 ლარი – სააპელაციო სასამართლოებში და 3000-დან 4000 ლარამდე – უზენაეს სასამართლოში.

გარდა ამისა, ყველა სასამართლოში შეიქმნება საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური პირობე-

ბი. ამ კუთხით თავდაპირველად აღსანიშნავია უზენაეს სასამართლოში განხორციელებული სამუშაოები, რომლებიც უკვე დასრულდა და შედეგად მნიშვნელოვნად გადახალისდა მატერი-ალურ-ტექნიკური ბაზა, მოძველებული კომპიუტერული ტექნიკა, რაც თანამედროვე სამუშაო პირობების არსებითი შემადგენელი ნაწილია, შეცვლილ იქნა გაუმჯობესებული და მოდერნიზებული ტექნიკით, რაც პროცესის სათანადოდ წარმართვის ფაკულტატური ელემენტია. სასამართლო დარბაზები აღიჭურვა კომპიუტერებით, დარბაზში დამონტაჟდა ხმის გამაძლიერებლები და მიკროფონები, დარბაზებში დამონტაჟდა აპარატურა, რითაც განხორციელდება სასამართლო სხდომების ჩაწერა. 2006 წლის იანვრის ბოლოს, ასევე, საუკეთესო პირობები შეიქმნება თბილისის სააპელაციო და ბათუმის გაერთიანებულ სასამართლოებში, სადაც დასრულდება მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით მიმდინარე კაპიტალური რემონტი და სასამართლოთა შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა.

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3,5 მლნ. ლარი თბილისის საქალაქო სასამართლოს კაპიტალური შეკეთებისათვის, 1,5 მლნ. ლარი კი მოხმარდება საქართველოს რეგიონებში 5 გამსხვილებული სამოდელო სასამართლოების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სასამართლოთათვის შეძენილ იქნება კომპიუტერული ტექნიკა და ყველა სხვა საჭირო ტექნიკური მოწყობილობა, რათა გამოირიცხოს ტექნიკური პრობლემების გამო სასამართლოთა გაუმართავი, არაორგანიზებული და არაეფექტური ფუნქციონირება. 2006 წლის განმავლობაში, გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით და ნაწილობრივ საკუთარი რესურსებით, ასევე, დაგეგმილია სასამართლო სისტემის ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნა, რაც გადაჭრის დღეისათვის სასამართლო სისტემაში არსებულ უამრავ პრობლემას და უზრუნველყოფს სწრაფ მართლმსაჯულებას.

უპირველეს ყოვლისა, ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნით მოგვარდება მოსამართლეთა ახალი ინფორმაციით (საკანონმდებლო ცვლილებების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ) უზრუნველყოფის საკითხი. ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებული საკანონმდებლო ცვლილება-დამატებების ელექტრონული ვერსია იმ დღესვე განთავსდება ქსელში და საქართველოს ნებისმიერ რეგიონში მყოფი მოსამართლისათვის უმაღლეს გახდება ხელმისაწვდომი. ქსელში ასევე განთავსდება სასამართლო გადაწყვეტილებები, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დანერგვასა და დაინტერესებული საზოგადოების მიერ ამ გადაწყვეტილებათა დაუყონებლივ გაცნობის შესაძლებლობას.

ერთიანი კომპიუტერული საინფორმაციო სივრცის შექმნა ასევე შესაძლებელს გახდის სასამართლოებში ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების სისტემების დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს საპროცესო, ორგანიზაციული თუ სამეურნეო ხასიათის კორექსიონდენციის მიმოქცევას, რაც, საერთო ჯამში, ხელს შეუწყობს სასამართლო საქმისწარმოების ხარისხის ამაღლებას, კერძოდ კი სამუშაოს დუბლირების აღმოფხვრას, სასამართლოში ინფორმაციის დამუშავების ხარისხის ზრდას, საქმისწარმოების სისწრაფის უზრუნველყოფას, მოსამართლეთა და პერსონალის კვალიფიკაციის პერმანენტულ ზრდას. ამასთანავე, გაიზრდება სასამართლოთა თვითკონტროლი – საპროცესო ვადებისა და საქმისწარმოების წესის დარღვევის გამოვლენა, სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციის ოპერატიული დამუშავება და ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება გადაწყვეტილებების, სხდომათა განრიგებისა და საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ინტერნეტში განთავსებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქისათვის. სასამართლოს ბიუ-

ჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ოქტომბრის №914 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები.

IX. კადრების შერჩევა, მათი მომზადება და გადაამზადება, იუსტიციის უმაღლესი სკოლა

სასამართლო რეფორმის შემადგენელი ყველა კომპონენტის წარმატებით განხორციელებაც კი ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუკი არ იქნა მიღწეული ყველაზე მთავარი – სისტემის დაკომპლექტება მიუკერძოებელი, პატიოსანი და, რაც მთავარია, კვალიფიციური კადრებით. საერთოდ, მოსამართლე, მისი პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება და ობიექტურობა რეფორმის ძირითადი მიზანია, რადგან სწორედ მათი საქმიანობა არის რეფორმის წარმატების საფუძველი. სწორედ ასეთ მოსამართლეებს ძალუბთ სასამართლოსადმი მოსახლეობის ნდობის აღდგენა, სასამართლოს სისტემის შიდა კონტროლის მექანიზმის – დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტურად ამოქმედებით კორუფციასთან ბრძოლა, მათ საქმიანობაში ჩარევისა და ზეგავლენის მცდელობებზე პრინციპული პასუხის გაცემა და ამით სასამართლოს პრესტიჟის აღდგენა და განმტკიცება.

რეფორმის პროცესში ორი ძირითადი ეტაპია: 1. გარდამავალ პერიოდში (რეფორმის მიმდინარეობისას – 2005-2006წწ.) განსაკუთრებული ყურადღებით და პასუხისმგებლობით მოსამართლეთა შერჩევა; 2. სამომავლოდ მოსამართლეთა შერჩევისა და მომზადების ახალი სისტემის შექმნა, რომელიც 2007 წლიდან უნდა ამოქმედდეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფარგლებში.

პირველი ეტაპი ითვალისწინებს მნიშვნელოვან ცვლილებებს მოსამართლეთა კორპუსის შემადგენლობაში, იმავდროულად მოსამართლეთა საერთო რაოდენობის გაზრდას არანაკლებ 400 მოსამართლემდე. 2005 წელს ჩატარებულმა ორმა სამოსამართლო გამოცდის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საკადრო რესურსი 30 წელზე უფროს იურისტებში საკმაოდ მწირია, აუცილებელია ასაკობრივი ცენზის შემცირება, რათა დაინიშნოს, სულ მცირე, 150 ახალი მოსამართლე და ახალი სისტემა სრულად დაკომპლექტდეს. პარლამენტში წარდგენილმა საკონსტიტუციო ცვლილებმა სწორედ ასაკობრივი ცენზის 28 წლამდე შემცირება გათვალისწინა, თუმცა ძალაში რჩება ყველა სხვა მოთხოვნა, რომელიც მოსამართლეობის კანდიდატს წაეყენება: უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის ხუთი წლის გამოცდილება, გამოცდისა და კონკურსის წარმატებით დაძლევა და ა.შ. საყურადღებოა, რომ დღეს არსებულ მოდელში კონკურსის დროს კანდიდატთა შერჩევა ხდება პიროვნული ღირსებების, პატიოსნების, კვალიფიკაციის, დამოუკიდებელი აზროვნების უნარისა და სხვა მსგავსი კრიტერიუმების საფუძველზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატის სწორედ ამ თვისებებს აქცევს განსაკუთრებული ყურადღებას. ასევე იქნება მომავალშიც და სწორედ ამიტომ ისმის კითხვა: თუკი კანდიდატი აკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ მოთხოვნასა და კონკურსის კრიტერიუმს, მაგრამ არის 29 წლის, რატომ უნდა იყოს აკრძალული მისი დანიშვნა მხოლოდ ასაკობრივი შეზღუდვის გამო? ასეთი შეზღუდვა მართლაც არაგონივრულია და ხელს უშლის სასამართლო სისტემის განვითარებას. იმავდროულად, ეს ცვლილება არ ნიშნავს 28 წლის მოსამართლის პირდაპირ უზენაეს სასამართლოში დანიშვნას, რადგან სასამართლო სისტემის რეფორმა ითვალისწინებს მოსამართლეთა სამსახურებრივი წინსვლის კარიერული პრინციპის მკაცრად დაცვას. უზენაეს

სასამართლოში ასარჩევად წარდგენილი იქნება მხოლოდ კვალიფიციური, გამოცდილი მოსამართლე, რომელსაც აქვს რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში მუშაობის საკმაო სტაჟი.

მოსამართლეთა შერჩევის ახალ მოდელში, ანუ რეფორმის მეორე ეტაპზე ასაკობრივი ზღვარი საერთოდ დაკარგავს აზრს, რადგან მომავალში, კონკურსის გავლის შემდეგ, კანდიდატი პირდაპირ არ დაინიშნება მოსამართლედ, არამედ ჩაირიცხება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, რომელშიც გაივლის 14-თვიან სრულყოფილ, ფუნდამენტურ მომზადებას (როგორც თეორიულს, ისე – პრაქტიკულს) სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად. ამ კურსის გავლის შემდეგ მივიღებთ ყოველმხრივ მომზადებულ მოსამართლეს, რომელიც ყოველგვარი კონკურსისა თუ გასაუბრების გარეშე წარედგინება პრეზიდენტს ვაკატურ თანამდებობაზე დასანიშნად. ბუნებრივია, რომ აღარ იქნება განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას, ასეთი მომზადებული მოსამართლე 28 წლისაა თუ 32-ის.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნითა და ამოქმედებით მოგვარდება სასამართლო რეფორმით გათვალისწინებული კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი – მოსამართლეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის აუცილებელი სპეციალური პროგრამების შემუშავება და ამოქმედება, რაც, თავის მხრივ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კიდევ ერთი გარანტიაა. მოსამართლეთა კადრების მომზადებასთან ერთად ეს არის სკოლის კიდევ ერთი ძირითადი ფუნქცია, რაც ითვალისწინებს წინასწარ, წლის დასაწყისში დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით, მოსამართლეთათვის გადამზადების კურსების ჩატარებას. თითოეული მოსამართლე წლის განმავლობაში ორჯერ მაინც გაივლის სასწავლო კურსს, სადაც სპეციალური მეთოდით (კანონმდებლობის ანალიზი, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განხილვა, კონკრეტული საქაემების საფუძველზე პრობლემის შესწავლა და ა.შ.) იქნება მათთვის მიწოდებული ლექტორების მიერ მომზადებული მასალა. აღსანიშნავია, რომ 1999 წლიდან დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტში არასოდეს ყოფილა გათვალისწინებული თანხები ტრენინგებისათვის და არც გადამზადების პროგრამა მომზადებულა. ამას იუსტიციის სასწავლო ცენტრი მხოლოდ დონორთაგან მიღებული სახსრებით აკეთებდა და, თავის მხრივ, ეს დახმარებაც არაკოორდინირებული იყო.

იუსტიციის უმაღლეს სკოლას მართავს დამოუკიდებელი საბჭო, რომელიც შედგება ექვსი წევრისაგან. მათგან სამი მოქმედი მოსამართლე იქნება. ორ წევრს წარადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხოლო ერთს კი საქართველოს გენერალური პროკურორი. დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. სკოლას ჰყავს თავისი მართვის ორგანო, ღირექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ღირექტორი.

X. ნაფიცი მსაჯულები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი რედაქციით, რომელიც ამჟამად საერთო-სახალხო განხილვისთვისაა წარდგენილი და პარლამენტს 2006 წელს გადაეცემა, გათვალისწინებულია გარკვეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა ნაფიც მსაჯულთა მიერ. ამით ამაღლება სასამართლო გადაწყვეტილებისადმი საზოგადოების ნდობისა და რწმენის ხარისხი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში 12 მსაჯული იქნება, რომელთა შერჩევა მოხდება საარჩევნო სიების მიხედვით. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) ექნება შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ხელი შეუწყოს სასამართლოს მიერ ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას. ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას

მიიღებენ მხოლოდ პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ, სასჯელის ზომის განსაზღვრა კი მოსამართლის პრეროგატივა იქნება. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი გასაჩივრდება უზენაეს სასამართლოში მხოლოდ საქმის განხილვისას დაშვებულ სამართლებრივ შეცდომებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მომზადებული კანონპროექტით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

XI. გაჭიანურებული სასამართლო განხილვები

ყველა სხვა პრობლემასთან ერთად, რომელიც დღეს არსებობს სასამართლო სისტემაში, მოქალაქეთა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს საქმეთა განხილვის გაჭიანურება. საკითხი მართლაც უმწვავესია, რადგან საქმეები წლობით გრძელდება, ხშირია მათი "წრეზე ბრუნვა" – ქვედა ინსტანციის სასამართლოებში დაბრუნება, მათი ხელახლა განხილვა და ა.შ. ადამიანი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ მოიგებს საქმეს, იმდენად დაღლილია ასეთი პროცედურებით და იმდენი ხარჯი აქვს გაღებული, რომ მისთვის გადაწყვეტილებას უკვე აზრი ეკარგება. სწორედ ამიტომ, რეფორმის კიდევ ერთი მიზანი ამ ურთულესი პრობლემის მოგვარებაა. ამასთან, პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ მის გადასაწყვეტად აუცილებელია რეფორმის ყველა სხვა მიმართულებით წარმატების მიღწევა და საბოლოოდ ყველა ეს ნაბიჯი, ერთად აღებული, გადაჭრის გაჭიანურების პრობლემას.

გაჭიანურებული სასამართლო განხილვების აღმოფხვრის შემდეგი საშუალებებია:

- მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა არანაკლებ 400-მდე, რაც შეამცირებს თითოეული მოსამართლის დატვირთვას და საქმეთა განხილვაც სწრაფად წარიმართება;
- მოსამართლეთა სპეციალიზაცია, მათი მუდმივი გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება: მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი მოსამართლე გაცილებით უფრო სწრაფად და ხარისხიანად განიხილავს საქმეებს;
- სისტემური ცვლილებები სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში, მაგალითად, უზენაეს სასამართლოში დასაშვებობის წინაპირობების ჩამოყალიბება, რის შედეგად დღევანდელთან შედარებით საქმეთა სულ მცირე 35-40% აღარ განიხილება და ძალაში შევა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები;
- ცვლილებები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში: პირველ მათგანში ცვლილებები უკვე განხორციელდა და სასამართლო პატიმრობის 30 თვიანი ვადა შემცირდა 12 თვემდე, რაც ამოქმედდება 2006 წლის 1 იანვრიდან;
- სამოქალაქო პროცესის გამარტივების მიზნით მზადდება სამოქალაქო პროცესში შესატანი ცვლილებები, რომლებიც აღმოფხვრის არაკეთილსინდისიერი მხარის მიერ საქმის გაჭიანურების სამართლებრივ შესაძლებლობებს;
- სასამართლო აპარატის მოხელეთა საქმიანობის ორგანიზაციული სრულყოფა, ორგანიზებულობის გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება;
- სასამართლო სისტემაში ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნა, შესაბამისად, საქმისწარმოებისა და დოკუმენტების მოძრაობის ელექტრონული პროგრამების დანერგვა, რითაც მაქსიმალურად ამაღლდება საქმისწარმოების ხარისხი და სისწრაფე.

ახალი ინსტიტუტი სასამართლო სისტემაში

საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საქალაქო, სააპელაციო სასამართლოებში სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტი უკვე რეალურად ამოქმედდა.

ყველა ინსტანციის სასამართლოს ეყოლება სპიკერ-მოსამართლე, რომელიც მასმედიის წარმომადგენლებს განმარტებულ საქმეებზე მათთვის საჭირო და აუცილებელ სამართლებრივ ახსნა-განმარტებებსა და სასამართლოებში განხილულ საქმეებთან დაკავშირებულ ინფორმაციებს ოპერატიულად მიაწვდის.

ქვეყნის პირველი მოსამართლე ქართულ მართლმსაჯულებაში, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის შემოღებას მიმდინარე რეფორმის ნაწილად მიიჩნევს:

„შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ სასამართლოში მიმდინარე სხვა ცვლილებებთან შედარებით სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტი ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ კარგად გავიაზრებთ, ეს ძალიან სერიოზული ცვლილებაა, რომლითაც, ფაქტობრივად, ჩვენ მთლიანად ვცვლით საზოგადოებისადმი მიდგომას. ასეთი მოდელები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს. არიან მოსამართლეები, რომლებიც სასამართლოებში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ გარკვეულ ახსნა-განმარტებას აძლევენ საზოგადოების ფართო ფენებს. სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტი განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის, მით უმეტეს, იმ დროს, როცა მიმდინარეობს რეფორმა, იცვლება ბევრი რამ და ამ ცვლილებების გზაზე ჩვენს სასამართლო სისტემას, სამწუხაროდ, პრობლემები აქვს. პრობლემების დამძიმებას კი მუქ ფერებში მათი გაშუქებაც უწყობს ხელს. ამის მიზეზი არის ის, რომ სასამართლოს საშუალება არ აქვს, საკუთარი პოზიცია ამცნოს საზოგადოებას. ამ პრობლემის მოგვარებას სწორედ სპიკერ-მოსამართლე შეძლებს. დარწმუნებული ვარ, თვითონ ჟურნალისტები მოითხოვენ ამას. პირველ რიგში, მათთვის იქნება ეს საინტერესო. სპიკერ-მოსამართლის საშუალებით ჟურნალისტები კარგად გაიგებენ, რას ეხება საქმე და რომ საქმეს არა აქვს მხოლოდ ერთი მხარე. სპიკერ-მოსამართლე მედიას მეორე მხარესაც დაანახებს და ის არგუმენტები, რომლებიც გადაცემული იქნება სპიკერ-მოსამართლის მიერ, ნეიტრალურ საზოგადოებას მისცემს შესაძლებლობას, სწორად შეაფასოს კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს მიერ დამდგარი შედეგი და განსაზღვროს, თუ რატომ დადგა ეს შედეგი.“

სწორედ სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის შექმნის, მასმედიისა და სასამართლო სისტემის ურთიერთობების პრინციპების ჩამოყალიბებას მიეძღვნა სამდღიანი სემინარი დაბა ბაკურიანში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უზენაესი სასამართლოს, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა, ჟურნალისტებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სამართლის ექსპერტებმა.

სამდღიანი სემინარის სამუშაო შეხვედრის ფორმატი, თეორიულ საკითხებთან ერთად, პრაქტიკულ ნაწილსაც მოიცავდა. სემინარზე ჟურნალისტებისა და მოსამართლეების ერთობლივი მუშაობის შედეგად ის ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელი იქნება მომავალი ნორმების ჩამოყალიბებისათვის და რომლებიც შემდგომში განსაზღვრავს სპიკერ-მოსამართლის უფლება-მოვალეობებს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განმარტებით, ძირითადი აქცენტი გაკეთდება იმ საქმეებზე, რომლებითაც თავად საზოგადოება დაინტერესდება, მაგრამ „ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ ჟურნალისტს სპიკერ-მოსამართლე, თუნდაც გაუხმაურებელ საქმესთან დაკავშირებით,

კომენტარზე ეტყვის უარს. ნებისმიერ საკითხზე, რომელიც დაინტერესებს საზოგადოებას და პრესას, პასუხი გაეცემა სპიკერ-მოსამართლის მიერ. ამ პასუხში იგულისხმება საფუძველი იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც მიიღო სასამართლომ, ის გადმოცემული იქნება არგუმენტირებულად, პოპულარულ ენაზე“, - ასე განუმარტა სემინარზე ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა კოლეგებს სამომავლოდ მათზე დაკისრებული საქმიანობის არსი.



2005 წლის 29 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ოფიციალურად წარადგინა სპიკერ-მოსამართლეები, საქართველოს უზენაეს სასამართლოში – ნუნუ კვანტალიანი, ნინო ქადაგიძე; სააპელაციო სასამართლოში – ლაშა კალანდაძე, მაია ოშხარელი; თბილისის საქალაქო სასამართლოში – მაია კოპალეიშვილი, შორენა გუნცაძე.

ამ ინსტიტუტის შემოღება რეფორმის შემადგენელი ნაწილია: „წინააღმდეგობების მიუხედავად, დაწყებული საქმე აუცილებლად ბოლომდე მივა და დღეს არსებული პრობლემები არავითარ შემთხვევაში არ გახდება რეფორმის შეფერხების მიზეზი. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ პროცესი მტკივნეული და წინააღმდეგობებით აღსავსე იქნებოდა, მაგრამ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ რეფორმა აუცილებლად წარმატებული იქნება და ამას ძალიან მალე იგრძნობს საზოგადოებაც. მეტიც, მოსამართლის მიმართ უკვე ისეთი დამოკიდებულება ჩამოყალიბდება, რომ დღეს არსებული მიმართვის ფორმა – „ბატონო მოსამართლე“ – მალე შეიცვლება ფორმით: „თქვენო ღირსებავ“, – განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა და დასძინა, რომ ქართველი მოსამართლეებისთვის უცხოა ასეთი სტილით მუშაობა, ამიტომ ამ ინსტიტუტის დამკვიდრება-განვითარებას ყველამ ერთად უნდა შეუწყოს ხელი.

სასამართლო რეფორმის უმსახებ კლიპები და ბროშურები მომზადდა

ამერიკის იურისტთა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით, სასამართლო რეფორმის პოპულარიზაციის მიზნით, საინფორმაციო ხასიათის სამი კლიპი მომზადდა. ამ კლიპებით მოსახლეობისთვის უფრო ნათელი გახდება, თუ რას ნიშნავს მაგისტრატ მოსამართლის ინსტიტუტი, რა კატეგორიის საქმეები შეიძლება განიხილოს მაგისტრატმა და რა სიახლეები იქნება სამივე ინსტანციის სასამართლოში.

კლიპებთან ერთად დაიბეჭდა სამი სხვადასხვა შინაარსის ბუკლეტი. ბუკლეტები სასამართლოებში დარიგდება და ისინი ხელმისაწვდომი გახდება მოსახლეობის ფართო ფენებისთვის.



**საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის
შესვენება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის
იუსტიციის მინისტრთან**

საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია სტუმრობდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალბატონი ბრიგიტე ციპრისი.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ კონსტანტინე კუბლაშვილს. შეხვედრაზე ისაუბრეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საკითხებსა და სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის შესახებ.

„ჩემი ვიზიტით მინდა ხაზი გავუსვა იმას, თუ როგორ არის გერმანიის მთავრობა დაინტერესებული, ხელი შეუწყოს სამართლებრივი სისტემის განვითარებას საქართველოში“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა ქალბატონმა ბრიგიტე ციპრისმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა გერმანიის იუსტიციის მინისტრის ვიზიტის თაობაზე ბრძანა: „ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დღეს საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პროცესი.“

შეხვედრისას აღინიშნა, რომ შეიქმნება მოსამართლეთა გადამზადების უმაღლესი სკოლა. ამასთან დაკავშირებით გერმანელთა დელეგაციამ მხარდაჭერისა და პროექტის განხორციელების პროცესში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის
შესვენება ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის ღირებულებების დირექტორთან**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო დახმარების პროგრამების დირექტორ ჯოზეფ ჯოუნსს უმასპინძლა. დეპარტამენტი მოიცავს საზღვარგარეთის საპროკურორო განვითარების, დახმარებისა და სწავლების ოფისს, რომლის უშუალო წარმომადგენელი საქართველოში გახლავთ პიტერ სტრასერი.

შეხვედრაზე ისაუბრეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საკითხებზე და დაგეგმეს სამომავლო თანამშრომლობა და დახმარების შესაძლო პერსპექტივები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბატონ
კონსტანტინე კუბლაშვილის შეხვედრა ლიტვის რესპუბლიკის
იუსტიციის მინისტრთან



ლიტვის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი გ.ბუზინსკასი
საქართველოს უზენაეს სასამართლოში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი კონსტანტინე კუბლაშვილი შეხვდა ლიტვის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ბატონ გინტუტას ბუზინსკას. საუბარი შეეხო იმ რეფორმებს, რომელიც მიმდინარეობს ქართულ სასამართლო ხელისუფლებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა: „ძირითადად იმ პროექტზე გამახვილდა ყურადღება, რომელიც ევროკავშირის დაფინანსებით ამ ორი ქვეყნისთვის ხორციელდება. პროექტი თითქმის დასრულებულია, მაგრამ ერთობლივად მაინც შევიტანეთ ცვლილებები.“

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის მიერ გაართულ სემინარს უმასხინძლა

საქართველოს უზენაეს სასამართლოს პლენუმის დარბაზში გაიმართა სემინარი თემაზე: „საკასაციო სასამართლოს მოდელები“, რომელიც გახსნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა.

სემინარს, რომელიც ორგანიზებული იყო „ეუ ჯასთ თემის-ის“ (EU JUST THEMIS) მიერ, ესწრებოდნენ ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის ხელმძღვანელი ქალბატონი სილვი პანცი, გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი უეე შრამი, გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ბურქარდ იენკე და სხვა ოფიციალური პირები.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა: „სემინარის მიზანია, ორგანიზატორთა მიერ შემოთავაზებული სერიოზული კონცეფციები გამოვიყენოთ ჩვენივე ქვეყნის სასიკეთოდ, რადგან ამ კონცეფციებს ეფუძნება სასამართლოში განსახორციელებელი ცვლილებები. ამ მხრივ, ასევე, მისასაღმებელია, გაითვალისწინოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული საკასაციო სასამართლოს მოდელები, გადავხედოთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ისინი განვითარებად ქვეყნებში, რათა შემდგომში დავინახოთ, თუ რისი განხორციელება შეგვეძლება საქართველოში.“

სემინარი ერთობლივად დაფინანსდა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისა და ფრიდრიხ ერბერტის სახელობის ფონდების მიერ.

საქართველოში სასამართლო სისტემის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩატარდა

2005 წლის 20 სექტემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ წარმოებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც განხორციელდა „იუესაიდი-ს“ (USAID) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

2004 წლის 5 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე საქართველოში სასამართლო სისტემის შესახებ საზოგადოებრივი აზრის საბაზისო კვლევის მიზნით გამოკითხულ იქნა 1200 რესპოდენტი.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების, მათი ცოდნის, ინფორმირებულობისა და გამოცდილების შესწავლა 16 მიმართულებით: სასამართლო სისტემის წარმომადგენელთა საკვალიფიკაციო გამოცდები, მოსამართლის თანამდებობაზე დამტკიცების წესი, მოსამართლეთა შორის საქმეების გადანაწილების წესი, მოსამართლეთა უფლებები და იმუნიტეტი, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოსამართლის საშუალო თვიური ხელფასი, სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება და წესები, მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტები, სახელმწიფოს პოლიტიკური კურსი და სოციალური ინსტიტუტების საქმიანობა, კორუფცია სასამართლო სისტემაში, სასამართლო სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაცია და მათი პროფესიონალიზმი, მოსამართლის შეფასების კრიტერიუმები, სასამართლო სისტემის წარმომადგენელთა სქესი და ეროვნება, სასამართლო სისტემის წარმომადგენელთა უფლებები, სასამართლოებთან სამომავლო ურთიერთობები.

კვლევა ასევე ითვალისწინებდა მოსახლეობის გამოცდილების შესწავლას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სასამართლო პროცესზე დასწრება, სასამართლო პროცესის ამსახველი დოკუმენტების გაცნობა, განაჩენის გასაჩივრება და ბოლო 5 წლის მანძილზე სასამართლო სისტემის წარმომადგენლებთან ურთიერთობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა: „თუკი სასამართლოს დამოუკიდებლობა არ იქნება ისეთ დონეზე, როგორიც არის ნებისმიერ ცივილიზებულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოში, არა მხოლოდ ქართულ სასამართლოს, სახელმწიფოსაც მომავალი არ ექნება.“

„სასამართლო სისტემის რეპუტაციის ხარისხი საქართველოში საკმაოდ დაბალია. ეს ტენდენცია არის გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყანაში და არა მხოლოდ საქართველოში. სასამართლოში რეფორმა მიდის და ხელი უნდა შევუწყოთ, რომ კორუფციული სიტუაცია აღმოიფხვრას და სუსტი მოსამართლეები არ მოხვდნენ სასამართლო ხელისუფლებაში,“ – აღნიშნა ჩვენს ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების იურისტთა ასოციაციის ევროპისა და ევრაზიის პროგრამის დირექტორმა მერილინ ზელინმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო და იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით მომავალში სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამენ სასამართლო სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი – „კანონის უზენაესობა“, რომელიც ორგანიზებული იყო ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ. სიმპოზიუმის მონაწილეები შეეხნენ საზოგადოების ეფექტური არსებობისათვის გამჭვირვალე, სწორი და სამართლიანი მართვის პრინციპებს.

სიმპოზიუმს სპეციალური მიწვევით ესწრებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი კონსტანტინე კუბლაშვილი, რომელიც შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ ჯონ ჯ. რობერტსს, მოსამართლეებს: სანდრა დეი ოკონორს, ანტონი კენედისა და სტეფან ბრეიერსს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მიწვეულ იქნა შეხვედრაზე, რომელიც კამინგტონის საერთაშორისო სამართლის საზოგადოების მიერ ჩატარდა.

მსოფლიო ბანკის აპარატის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე კი ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომელთა წინაშე აღმოჩნდა საქართველოს უზენაესი სასამართლო კანონის უზენაესობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ასევე შეხვდა შვედეთის ელჩს ბატონ გუნარ ლუნდს და ბულგარეთის ელჩს ქალ-ბატონ ელენა პოპოლოროვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უცხოელ კოლეგებს უმხვდა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ევროკომისიის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლებს შეხვდა. დელეგაციაში შედიოდნენ: ევროკომისიის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ჰეიკი ტალვიტიე, ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცი, ევროკომისიის საელჩოს წარმომადგენელი როი ვილსონი, „EUSR-ის“ ოფისის ხელმძღვანელი ვილიამ ბოე.

დელეგაციამ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს წარუდგინა სამართლებრივ სფეროში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებული თავისი სამუშაო გეგმა. შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის შესახებ და დასახეს ერთობლივი სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს ნატოში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის საკითხის გადაწყვეტას.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ვებ-გვერდზე ახალი მონაცემთა ბაზა შეიქმნა

საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის „ეიბიეი/სეელის“ (ABA/CEELI) მხარდაჭერით საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა მონაცემთა ბაზა შეიქმნა.

დაინტერესებულ მოქალაქეს შეუძლია, საქართველოს ნებისმიერი რეგიონიდან სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე ინფორმაცია კომპიუტერის მეშვეობით ოპერატიულად მიიღოს.

მონაცემთა ბაზა დაყოფილია სამ ნაწილად: გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეებზე, გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე და გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. ბაზაში ყოველ კონკრეტულ საქმეზე არსებობს შემდეგი რეკვიზიტები: საქმის ნომერი, გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი, გადაწყვეტილების გამოტანილი სასამართლოს დასახელება, სასამართლოს შემადგენლობა, მომხსენებელი, დავის საგანი ან დანაშაულის სახეობა, მხარეები, კოდექსის დასახელება, კოდექსის მუხლები, კანონის დასახელება, კანონის მუხლები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოსა და ნორმატიული აქტის დასახელება, ნორმატიული აქტის მუხლები, ანბანურ-საგნობრივი საძიებო სიტყვები, გადაწყვეტილების ტექსტი.

გადაწყვეტილებათა ცალკეული ნორმების მიხედვით კომპიუტერული სისტემატიზაცია შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეებს, ამა თუ იმ კოდექსის, კანონის, კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული ნორმის გამოყენებისას გაეცნოს ამ ნორმის გამოყენების დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას.

სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონული ვერსიის შექმნა ხელს შეუწყობს სასამართლო რეფორმისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას – ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ვებ-გვერდი დიდ სამსახურს გაუწევს სხვა დაინტერესებულ პირებსაც. მათ ინტერნეტის მეშვეობით საშუალება ექნებათ, თვალყური ადევნონ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმდინარე სასამართლო პროცესებს.

მონაცემთა ბაზა შეიძლება ინახოს შემდეგ მისამართზე:

www.supremecourt.ge

შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელებთან

2005 წლის 28 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელები მიიღო. ამ შეხვედრის ჩატარება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის დავით კერესელიძის ერთობლივი იდეა იყო.

დიალოგი ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. კონსტანტინე კუბლაშვილმა სტუდენტებს სასამართლოს სისტემაში მიმდინარე რეფორმები გააცნო.

როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, მიმდინარეობს სასამართლო სისტემის ახალი მოსამართლეებით დაკომპლექტება და მათ მაქსიმალურად ობიექტური საკვალიფიკაციო გამოცდები უტარდებათ. ბოლო საკვალიფიკაციო გამოცდაში 1200 კანდიდატიდან გამოცდა მხოლოდ 177-მა, ანუ 15-მა პროცენტმა ჩააბარა. მათგან კი პრეზიდენტს დასამტკიცებლად მხოლოდ 35 კანდიდატურა წარედგინა. „საკვალიფიკაციო გამოცდების სისტემა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სისტემით შეიცვლება, სადაც მოსამართლეები მათთვის საჭირო უნარ-ჩვევებს 14 თვის განმავლობაში შეიძენენ“, – განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

ერთ-ერთი სტუდენტის შეკითხვას – „რა უნდა განხორციელდეს საიმისოდ, რომ სასამართლო ხელისუფლებამ მაქსიმალურად აიცილოს თავიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა?“ – კონსტანტინე კუბლაშვილმა უპასუხა: „სასამართლო სისტემაში ჯერ კიდევ არსებობს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ჩარევის მცდელობის პრეცედენტები, მაგრამ რეფორმის განმავლობაში ყველაფერი კეთდება და იცვლება იმისათვის, რათა ამგვარი ფაქტები შემცირდეს.“

პირველკურსელებთან შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ უნდა მოხდეს ისეთი სასამართლო სისტემის შექმნა, რომლის მიმართ მოსახლეობას ექნება ნდობა და პატივისცემა: „უნდა განხორციელდეს ისეთი მართლმსაჯულება, რომ ადამიანმა, რომელიც სასამართლო პროცესს წააგებს, არ თქვას, უკანონოდ დავარცხდიო“, – განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

შეხვედრის დასასრულს კონსტანტინე კუბლაშვილმა სტუდენტებს საჩუქრად საქართველოს კონსტიტუციის უახლესი გამოცემები გადასცა.



მართლმსაჯულების სასახლო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობა იმთავითვე სასამართლოსათვის იყო გათვალისწინებული. ორი ურთიერთპარალელური კორპუსი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ შენობას მთლიანობაში ჯვრის ფორმა აქვს. მათ შორის ჩადგმულია კიბის ფართო უჯრედები. ხუროთმოძღვრული დამუშავება გვიანი რენესანსისა და ბაროკოს იტალიური (უმეტესად რომაული) პალაცოების ფასადთა მოტივებს ემყარება.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში მაშინდელი სასამართლო პალატის მთელი სასამსახურო შტატი სულ 39 თანამშრომლით განისაზღვრებოდა და აქედან 11 – მოსამართლე იყო. 1921 წლის შემდეგ, ცნობილი მოვლენების გამო, ერთგვარად შეიზღუდა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები. შენობაში დაიწყეს სხვადასხვა უწყების განთავსება. შესაზღვრულ დაწესებულებათა რიცხვმა ბოლოს ჩვიდმეტს მიაღწია. გადაიტვიხრა დარბაზები და ვესტიბიულები. სასამართლო სხდომების ათი დარბაზიდან დარჩა მხოლოდ სამი. დანარჩენები დაიყო პატარა ოთახებად.

ამჟამად უზენაესი სასამართლოს შენობის მე-ნ სართულზე განთავსებულია მოსამართლეთა სამუშაო კაბინეტები, რომლებიც იზოლირებულია გარეშე პირთაგან, ვინაიდან ახალი კანონმდებლობით აკრძალულია მოსამართლესთან მხარეების ცალ-ცალკე შეხვედრა. მოსამართლე მხარებს უნდა შეხვედეს მხოლოდ სასამართლო პროცესზე მეორე მხარის თანდასწრებით. უზენაესი სასამართლოს შენობის ეზოში დგას ცალკე შენობა, რომელშიც საერთო სასამართლოების დეპარტამენტი განთავსებული.

1973 წელს შენობა მთლიანად უზენაეს სასამართლოს დაუბრუნდა.

2005 წელს ჩატარდა მთელი შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები. შეკეთდა მიწისძვრის შედეგად მიყენებული დაზიანებები. დარბაზები დაკომპლექტდა განმოვანების სისტემით.

ფასადის აღდგენა-რესტავრაციამ პირველადი სახე დაუბრუნა მართლმსაჯულების სასახლეს. დღეისათვის უზენაესი სასამართლოს რესტავრირებული შენობა მთლიანად ქართული მართლმსაჯულების სამსახურშია.



სამართლებლო უზენაესი სასამართლო

მართლმსაჯულების სასახლის ცენტრში
განთავსებულ შაკ-თეთრ სფეროზე
ასომთავრული ანბანით წერია შოთა
რუსთაველის უკვდავი სიტყვები: „ბოროტსა
სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელა.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს

პ ლ ე ნ უ მ ი

ქ.თბილისი

24 ივნისი, 2005 წ.

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი სტრუქტურების - კოლეგიისა და პალატების შექმნის, მათი შემადგენლობის, თავმჯდომარეებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1999 წლის 25 მაისის №პლ/5 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი

ა დ გ ე ნ ს :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის წევრი მიხეილ გოგიშვილი არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის თავმჯდომარედ და იმავდროულად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

კონსტანტინე კუბლაშვილი
უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

მიხეილ გოგიშვილი



2005 წლის სექტემბრიდან – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

2000 წლის 8 თებერვლიდან – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

07.10.1966 წ. დაიბადა მცხეთის რაიონის სოფ. მისაქციელში. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

სამუშაო გამოცდილება:

1999-2000 წწ. – თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე.

1996-1999 წწ. – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან

ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის სახელმწიფო მრჩეველი.

1995 წ. – საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის იურიდიული განყოფილების სახელმწიფო მრჩეველი.

1993-1994 წწ. – საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

1992 წ. – დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მოხელე მოადგილე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონი- ტორინგის კომიტეტის წარმომადგენლებსა და ევროპის საბჭოში საქართველოს წარმომადგენელს – ზურაბ ჭიაბერაშვილს შეხვდა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ გოგიშვილი ჩვენს ქვეყანაში ვიზიტად მყოფ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლებსა და ევროპის საბჭოში საქართველოს წარმომადგენელს – ზურაბ ჭიაბერაშვილს შეხვდა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმა სასურველია, განხორციელდეს ევროსაბჭოს სტანდარტების სრული დაცვითა და ევროსაბჭოს ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ასამბლეის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე ცვლილებებზე.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებებს.

შეხვედრა ესტონეთის პარლამენტის საკონსტიტუციო საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლებთან

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ გოგიშვილი შეხვდა ესტონეთის პარლამენტის საკონსტიტუციო საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლებს: ურმას რეინსალუს, მარტ ნატს, იარნო ლაურსა და თინა რუნთალს.

შეხვედრაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს გააცნეს საკონსტიტუციო საკითხთა კომიტეტის სამუშაო წესდება. ის, როგორც წამყვანი კომიტეტი, განიხილავს კანონპროექტებს, რომლებიც არეგულირებს საკონსტიტუციო ინსტიტუტებს, კანონებს, დაკავშირებულს ესტონეთის პარლამენტის, მთავრობისა და სასამართლოების საქმიანობის ორგანიზებასთან.

საკონსტიტუციო საკითხთა კომიტეტი, ასევე, განიხილავს ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მის მიერვე ხდება ევროკავშირის საქმეთა კომიტეტისთვის კანონპროექტების წარდგენა მისი კომპეტენციის ფარგლებში.

შეხვედრაზე ორივე მხარემ სურვილი გამოთქვა სამომავლო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.



ნათია ჯაჰვალაია

2005 წლის 25 თებერვლიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

14.07.1968 წ. დაიბადა ქ. ქუთაისში

სამუშაო გამოცდილება:

2005 წ. – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიჰყავს კურსი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში.

2005 წ. – ადმინისტრაციული პროცესის კომენტარის თანაავტორი.

2005 წ. – ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე

სახელმძღვანელოს თანაავტორი.

2004 წ. – გაეროს ასოციაციის ექსპერტი ადმინისტრაციულ სამართალში.

2002 წ. – დღემდე – სამოსამართლო სწავლების ცენტრის ექსპერტი ადმინისტრაციულ სამართალში. მიჰყავს კურსი მოსამართლეებთან და მოსამართლის თანამშრომლებთან.

2001 წ. – დღემდე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ექსპერტი, სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალში მიჰყავს სპეციალური კურსი სტუდენტებთან.

2000-2005 წწ. – მონაწილეობას იღებდა ადმინისტრაციულ და ჰუმანიტარულ საკითხებზე გამართულ სხვადასხვა სემინარის მუშაობაში, ასევე – ექსპერტის სტატუსით ბრემენში, სტრასბურგში, სტოკჰოლმში და სხვა.

1999-2005 წწ. – თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, 2004 წლამდე ამავე სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარე.

1998 წ. – გაიარა რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული კურსი ადამიანის უფლებების დარღვევის მიღებული აქტის შესაბამისი სერტიფიკატი.

1998 წ. – ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა წარმატებით. მიღებული აქტის შესაბამისი სერტიფიკატი.

1996 წ. – გაიარა TACIS-ის სახელმწიფო მოხელეთა კოლეჯის კურსი. მიღებული აქტის შესაბამისი სერტიფიკატი.

1992-1999 წწ. – საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილების ინსპექტორი, ექსპედიციის გამგე, 1993 წლიდან სამართლებრივი ინფორმატიკისა და კანონმდებლობის სისტემატიზაციის განყოფილების კონსულტანტი.

1991-1992 წწ. – იურიდიული გაზეთ „ცხოვრება და კანონის“ შტატგარეშე კორესპონდენტი.

1990 წ. – დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

„სამართალი ყოველს მადლს სჯობს და უსამართლობა ყოველს ავჯემ უარესი არის“

– პროფესიის არჩევას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. რატომ აირჩიეთ ეს პროფესია? მას შემდეგ, რაც მუშაობა დაიწყეთ, ხომ არ გქონიათ საკუთარი პროფესიისადმი განხიბვლის მომენტი?

– რა მიგაჩნიათ თქვენს ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად?

– როგორ ფიქრობთ, არის თუ არა უზრუნველყოფილი საქართველოში მოსამართლეთა დამოუკიდებლობა?

– რას ეფუძნება მოსამართლის წარმატება და პოპულარობა?

– როგორია მოსამართლეთა შრომის პირობები?

– მოსამართლეთა შრომის პირობები, დღეის მდგომარეობით, არააადამიანურია როგორც სასამართლო დაწესებულებათა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) ინფრასტრუქტურის, ისე – საქმეთა დატვირთვის თვალსაზრისით.

– როგორ წარმოვიდგენიათ რეფორმირებული სასამართლო 5 წლის შემდეგ?

– გააჩნია, როგორ განვითარდება სასამართლო რეფორმა. საუკეთესო შემთხვევაში, შეგვიძლია გვქონდეს თანმიმდევრული და მწყობრი სასამართლო სისტემა ევროპული სტანდარტით, გაცილებით თამამი, პროგრესული და კვალიფიციური სასამართლო კორპუსით, რომელსაც ექნება უნარი, სრულფასოვნად განახორციელოს სასამართლო კონტროლი მართლმსაჯულების მეშვეობით. თუკი ჩვენს ქვეყანაში რომელიმე სასამართლო მოდელის გადმოღებას შევეცდებოდით, ჩემთვის ამ კუთხით მისაღები იქნებოდა ფრანგული სასამართლოს მოდელი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს გარკვეული კორექტივების შეტანაც.

– თქვენი აზრი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ.

– ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრება საქართველოში უნდა იქცეს ფაქტორად, რომელიც გააძლიერებს სასამართლოს დამოუკიდებლობას და ხალხის მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში (არა მხოლოდ სისხლის სამართლის კუთხით, არამედ – რიგ ადმინისტრაციულ საქმეებზეც). ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა უნდა დაამკვიდროს აზრი, რომ სასამართლო ეროვნული ხელისუფლების ნაწილს წარმოადგენს.

– როგორ აფასებთ საქართველოში მიმდინარე სასამართლოს სისტემის რეორგანიზაციის პროცესს? რა კონკრეტულ ზომებს შესთავაზებდით უშუალოდ მესამე ხელისუფლებას?

– სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის პროცესს, სახელმწიფოებრივი და იურიდიული თვალსაზრისით, ვაფასებ უკიდურესად პოზიტიურად. ფაქტობრივი განხორციელების თვალსაზრისით – მოუძაადებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც არც ერთ შემთხვევაში არ არის განპირობებული ობიექტური წინაპირობებით. მესამე ხელისუფლებას (და არა მარტო მას) შემიძლია შევთავაზო შემდეგი კონკრეტული ზომები:

1. სამოსამართლო ასაკის ქვედა ზღვრის 28 წლამდე დაწევა;
2. სამოსამართლო კორპუსის საშუალოდ 600 მოსამართლემდე გაზრდა;
3. სასამართლო ინფრასტრუქტურის განვითარება;
4. სასამართლოს სოლიდური დაფინანსების უზრუნველყოფა;
5. სახელმწიფოს მიერ მოსამართლეთა სწავლების მუდმივი გადამზადების უზრუნველყოფა.

– როგორ ფიქრობთ, ადვილად ახერხებენ თუ არა ხელისუფლების სხვა შტოები სასამართლო ხელისუფლებაში ჩარევას?

– სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში – მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევას ადვილად ახერხებენ ხელისუფლების სხვა შტოების (და არა მხოლოდ) არასახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მენტალიტეტის მქონე წარმომადგენლები, რაც განპირობებულია დაბალი მოქალაქეობრივი შეგნებითა და სამართლებრივი კულტურის არქონით, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად წარმატებულად ხორციელდება ამგვარი ჩარევა. ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას, ვთვლი, რომ აქვს მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია, შეცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება ამ ინსტიტუტისადმი, რადგან სასამართლო აღარ წარმოადგენს ხელისუფლების დანამატს. აუცილებელია, გაღრმავდეს იმ შეხედულებებისა და იმიჯის დამკვიდრება, რომ აქ რეალურად არსებობს სასამართლო კონტროლი და შესაძლებელია დარღვეული უფლების სასამართლო წესით აღდგენა.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გულისხმობს ამ ინსტიტუტის პოლიტიკურ ავტონომიას. მიუხედავად დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებისა, ჩვენთან კვლავაც აქტუალურია ხელისუფლების ტოტალური ყოველშემძლეობის შეზღუდვის საკითხი და, რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით არც ერთ ინსტიტუტს არ გააჩნია იმდენი შესაძლებლობები, რამდენიც – სასამართლოს. მოსამართლის დამოუკიდებლობა უმთავრესად წმინდა სამართლებრივი პრინციპია, რაც იმას გულისხმობს, რომ მართლმსაჯულების კანონით დადგენილ პროცედურაში არა თუ პოლიტიკურ ხელისუფლებას, არამედ თვით სასამართლოს თანამდებობის პირებსაც კი ჩარევის უფლება არა აქვთ.

მიმაჩნია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამართლიანი, მიუკერძოებელი მოსამართლის ინსტიტუტის დამკვიდრება ქვეყანაში ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია, ამიტომ, ინსტიტუციური ფაქტორებიდან გამომდინარე, აუცილებელია, გაფართოვდეს სასამართლოს იურისდიქცია. ქართულ სასამართლო ხელისუფლებას უნდა შეეძლოს კანონთან დაკავშირებული ნებისმიერი კონფლიქტის გადაჭრა. მხოლოდ ასეთი სასამართლო შეიძლება იყოს პოლიტიკური ზეგავლენისადმი შეუვალი და მდგრადი. ჩვენს ქვეყანაში უნდა დაიხვეწოს მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და დაწინაურების მექანიზმი.

– როგორ შეაფასებდით პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობას?

– განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში პარლამენტის კანონშემოქმედება ემყარება ერის კულტურულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ტრადიციებს, რაც საქართველოს საკანონმდებლო ბაზაში ნაკლებადაა ასახული. სამართლის ნორმის შექმნის კულტურა ჩვენთან, ჩემი აზრით, კლასიკური გაგებით არ არსებობს. ობიექტურობისათვის უნდა აღვნიშნო, რომ მიღებულია მრავალი საკანონმდებლო აქტი, რომლებიც შეესაბამება სახელმწიფოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, პასუხობს ადამიანის უფლებათა დადგენილ სტანდარტებს და ემსახურება ამა თუ იმ სამართალურთიერთობის ცივილურ, ლოგიკურ და კონკრეტულ მოწვევრივებს.

– *თქვენი აზრით, დღეისათვის სასამართლო ხელისუფლების წინაშე რა უმთავრესი პრობლემა დგას?*

– სასამართლო ხელისუფლების წინაშე დღეისათვის ყველა შესაძლო პრობლემა დგას. უმთავრესად გამოვეყოფდი მოსამართლის და სასამართლოს ავტორიტეტის, საზოგადოებრივი ნდობის, ეროვნული სასამართლოს დაბალი განცდის, მიუკერძოებელ, კვალიფიციურ და დამოუკიდებელ მოსამართლეთა დეფიციტის პრობლემატურ საკითხებს.

– *რამ გამოიწვია მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების შემოღების აუცილებლობა? რამდენად კარგად იყავით მომზადებული და იყო თუ არა რთული გამოცდის ჩაბარება?*

– მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების შემოღება განაპირობა სასამართლო სისტემის მიმდინარე რეფორმამ. მე, პირიდად, ვთვლიდი, რომ გამოცდის ჩაბარება რთული იქნებოდა, თუმცა, ვფიქრობ, რომ საკმაოდ კარგად მომზადებული ვიყავი.

– *რამდენად შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფის დამკვიდრება?*

– აბსოლუტურად შესაძლებელია პოლიტიკური ნებისა და სააღსრულებო სამსახურის ეფექტურად ამოქმედების შემთხვევაში.

– *წელიწადში საშუალოდ რამდენი საქმის განხილვა-გადაწყვეტაში იღებთ მონაწილეობას? რამდენად შესაძლებელია, რომ თითოეული საქმე სრულყოფილად იქნეს შესწავლილი და გადაწყვეტილი?*

– წლის განმავლობაში დაახლოებით 700-800 საქმის განხილვა-გადაწყვეტაში ვიღებ მონაწილეობას და ეს შესაძლებელია საკუთარი ჯანმრთელობისა და არაადამიანური დატვირთვის ხარჯზე.

– *მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას, რაც, საბოლოოდ, საზოგადოებაში მართლმსაჯულებისადმი უნდობლობას აღვივებს. რა იწვევს ასეთ უნდობლობას? რა მექანიზმები არსებობს საზოგადოებაში მართლმსაჯულების მიმართ ნდობის დასამკვიდრებლად? როგორ უნდა შემცირდეს უნდობლობის ხარისხი? რა უნდა გააკეთოს მოსამართლემ ხალხის ნდობის მოსაპოვებლად?*

– მართლმსაჯულებისადმი უნდობლობა, ჩემი აზრით, საქართველოში გამოწვეულია სახელმწიფოებრიობის, შესაბამისად, ეროვნული სასამართლოს ტრადიციის რამდენიმე საუკუნოვანი წყვეტით. ჩვენთან არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ტრადიცია. თუმცა, ქვეყანაში ყოველთვის (მათ შორის – საბჭოთა რეჟიმის პირობებში) იყვნენ ერთეული დამოუკიდებელი მოსამართლეები, რაც სრულიად არ არის საკმარისი ასეთი ინსტიტუტის

შესაქმნელად და მის მიმართ ნდობის დასამკვიდრებლად. რაკი სასამართლო ახორციელებს სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, ვფიქრობ, საზოგადოებრივი ნდობა უნდა შეიქმნას სახელმწიფო ხელისუფლების კომპლექსში. ქართული სასამართლო უნდა დაუბრუნდეს ქართული მართლმსაჯულების ფესვებს და უნდა აღდგეს ისტორიული კავშირი „მართალი სამართლის“ იდეასთან, ხოლო მოსამართლეებმა სრულად უნდა გააცნობიერონ შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ წყაროებში დამკვიდრებული შეგონება: „სამართალი ყოველს მადლს სჯობს და უსამართლობა ყოველს ავზე უარესი არის“. ნდობის მოპოვების ერთადერთი წინაპირობა ობიექტური, პატიოსანი, მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაა. უნდობლობის ხარისხი შემცირდება იმის პროპორციულად, რამდენად გახდება სასამართლო დარღვეული უფლების აღდგენის გარანტი და თუ რამდენად სრულფასოვნად განახორციელებს სასამართლო კონტროლს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

– როგორ ფიქრობთ, როგორი მეთოდებით უნდა მოხდეს მოსამართლეთა მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და რა ზერზების გამოყენებით?

– სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მოსამართლეთა გადამწავლება მეტიმეტად დატვირთულ სასამართლოებში, მოსამართლეთა პროფესიონალიზმის სისტემატური ამაღლება და ამასთან – მათი სწავლების ეფექტური სისტემის შემუშავება, სამოსამართლო ეთიკის – მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება, აუცილებელია თავიანთი სტატუსისადმი მოსამართლეთა დამოკიდებულების შესწავლა-გაანალიზება, იურიდიული განათლების რეფორმის კუთხით კი სამოსამართლო სწავლების კონცეფციის საფუძველზე მუდმივმოქმედი კონფერენცია-სემინარების ორგანიზება, სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა და ასევე – შექმნილი სამოსამართლო პრაქტიკის კრიტიკული ანალიზის მიწოდებაც.

– რამდენად რთულია მოსამართლის „უღლის“ ტარება?

– მძიმეა, ისევე, როგორც ყოველი საპასუხისმგებლო, წმინდა საქმის კეთება ღვთის წინაშე.

– პროფესიონალიზმის გარდა, კიდევ რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს მოსამართლე?

– ზოგადი ერუდიციით, მაღალი შინაგანი კულტურით, ობიექტურობისა და სამართლიანობის განცდით, პროგრესული აზროვნებითა და მარადიული ღირებულებების პატივისცემით.

– თქვენი აზრით, რა შედეგებს უნდა ველოდოთ სასამართლო რეფორმის დასრულების შემდეგ?

– ინსტიტუციური თვალსაზრისით, სასამართლო რეფორმის დასრულების შემდეგ თითქმის ყველა საქმეზე შესაძლებელი გახდება ორი სასამართლოს დონეზე არსებითი განხილვის უზრუნველყოფა, საკასაციო სასამართლო შეიძენს ბუნებრივ ფუნქციას, რომელიც შეასრულებს ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელ სამართლებრივ მისიას სამართლის ნორმის ლოგიკური,

დინამიკური და პროგრესული განმარტებების საფუძველზე. ასევე, უზენაესი სასამართლო განიტვირთება ისეთი საქმეებისაგან, რომლებიც სრულიად არალოგიკურად წარმოადგენდა მის მიერ განსჯად საქმეებს, რაც გამოიწვევს მოსამართლის დატვირთვის შემცირებას. შედეგად მივიღებთ ფაქტობრივი თვალსაზრისით დამოუკიდებელ, კვალიფიციურ და ობიექტურ მართლმსაჯულებას, რადგან რეფორმის მიზანს წარმოადგენს სასამართლოების ზნეობრივი გაჯანსაღება და მოსამართლეთა პროფესიული დონის ხარისხობრივი ამაღლება.

– როგორ წარმოვიდგინათ სასამართლოს მისია ქართულ სახელმწიფოებრიობის განვითარებაში?

– ვთვლი, რომ საქართველოს თავისი ინტერესებით, ტრადიციით მეტი პოტენციალი გააჩნია და შეუძლია სამართლებრივად გაცილებით მოწესრიგებული კანონმდებლობის და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მეტი გარანტიების შემუშავება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო პროგრამებს უდიდესი წვლილი შეაქვთ სისტემის ფუნქციონირებაში. დახმარებები მიმართულია როგორც მოსამართლეთა, ასევე – სასამართლო აპარატის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სასამართლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისაკენ.

ვთვლი, რომ საქართველოს აქვს ისტორიული შანსი, ჩამოაყალიბოს და დაამკვიდროს სასამართლო ხელისუფლება. რადგან ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია ორიენტირებულია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაზე, შეუძლებელია დამოუკიდებელი სამართლებრივი სახელმწიფო წარმოვიდგინოთ ისეთი სასამართლო სისტემის გარეშე, რომელიც სამართლებრივ გარანტიებს არ ეფუძნება. სასამართლო ხელისუფლების დამკვიდრებას თანაბრად უზრუნველყოფს პოლიტიკური ნება და სამართლებრივი გარემო, საზოგადოების მართლშეგნება, პატიოსანი და პრინციპული, მიუკერძოებელი სასამართლო კადრი. მართლმსაჯულების განხორციელების კულტურა დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან მკვეთრად გამიჯნულ, კონიუნქტურისგან თავისუფალ სასამართლო ხელისუფლებაზე, კონკრეტულ მოსამართლეზე.

რაში მდგომარეობს ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ინტერესი? ვფიქრობ, არაფერია იმაზე ამაზრზენი, ვიდრე უძღური ხელისუფლება. არადა, სასამართლო ხელისუფლების უძღურება ჯაჭვური რეაქციით გამოიწვევს ხელისუფლების დანარჩენი შტოების და, შესაბამისად, სახელმწიფო მექანიზმის დაუძღურებასაც, ვინაიდან საზოგადოებისა და ქვეყნის სამართლებრივი განუვითარებლობა პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ კულტურული ცხოვრების ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია.



თეიმურაზ თორდია

2005 წლის 25 თებერვლიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

15.08.1968წ. დაიბადა ქ. თბილისში, ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

სამუშაო გამოცდილება:

2005 წ. – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიჰყავს სალექციო კურსი ვალდებულებით სამართალში.

2004-2005 წწ. – მოღვაწეობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოში.

2001-2005 წწ. – მუშაობდა შპს „ფარში“ იურისტად, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებთან სახელმწიფო ურთიერთობების საფუძველზე ეწეოდა კერძო სამართლებრივ პრაქტიკას.

1999-2001 წწ. – ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

1999 წ. – ჩააბარა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

1997-1998 წწ. – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიტიკის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს საერთაშორისო სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ოფიცერი. მონაწილეობდა სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭოს სხდომებზე იურისტ-ექსპერტად, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი მუშა ჯგუფების იურისტ-ექსპერტად.

1996 წ. – დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1993-1997 წწ. – საქართველოს გენერალური პროკურატურის საქმეთა სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

1991 წ. – დაამთავრა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1991-1993 წწ. – თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის საჭრისების საამქროს მე-2 თანრიგის ამწყობი ზეინკალი.

1990-1991 წწ. – „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო სპორტული განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი.

ჩემი სურვილია, მოქალაქეებმა კომპეტენტური და ობიექტური სასამართლო იხილონ

**მოსამართლე უპირველესად კანონის ინტერესების დამცველი უნდა
იყოს და არა – საკუთარი იმიჯის**

იურისტთა ოჯახში აღზრდილმა, მამისა და ძმის მსგავსად, იურისტობა აირჩია. თვლის, რომ ეს არ იყო სპონტანური აქტი. მას დღემდე არ ჰქონია არჩევანისადმი სინანულის გრძნობა. პირიქით, რაც დრო გადის, არსებული პრობლემები და სირთულებები კიდევ უფრო არწმუნებს საკუთარი არჩევანის სისწორეში.

მიაჩნია, რომ მოსამართლე ისევეა საზოგადოების წევრი, როგორც – ყველა სხვა, ამიტომ მასაც იმგვარადვე მოეთხოვება ღრმა, ფუნდამენტური ცოდნა, საკუთარი საქმისადმი პასუხისმგებლობა და მისი ღირსეულად შესრულება, როგორც ნებისმიერ სხვა პროფესიის წარმომადგენელს.

თეიმურაზ თოდრიას მიაჩნია, რომ მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა – ქალიშვილის დაბადება – დღემდე მიღწეული ყველაზე დიდი გამარჯვებაა.

– ბატონო თეიმურაზ, არის თუ არა დღევანდელ საქართველოში მოსამართლე დამოუკიდებელი და რამდენადაა დაცული თქვენი უფლებები?

– ჩემი აზრით, არამართო საქართველოში, არამედ ნებისმიერ ქვეყანაში მოსამართლე თვითონვე უზრუნველყოფს საკუთარ დამოუკიდებლობას. თავად მისი პიროვნება უნდა იყოს ამ დამოუკიდებლობის უმთავრესი გარანტი და არა – გარეგანი ფაქტორები. რაც შეეხება უფლებათა დაცვას, მიმაჩნია, რომ მოსამართლეთა უფლებები სავსებით დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და ამ მხრივ დღესაც ბევრი რამ კეთდება.

– რა განაპირობებს მოსამართლისათვის დადებითი რეპუტაციის შექმნას და როგორი შრომითი პირობები აქვს მოსამართლეს?

– მოსამართლის პოპულარობა არ უნდა ხასიათდებოდეს მისი წარმატებულობის მაჩვენებელით, რადგან იგი, უპირველესად, კანონის ინტერესების დამცველი უნდა იყოს და არა – საკუთარი იმიჯის, თუმცა საზოგადოებასა და კოლეგებს შორის მოსამართლის დადებითი რეპუტაცია შეიძლება ჩაითვალოს მისი წარმატებული საქმიანობის შედეგად. მოსამართლეთა შრომის პირობები ამკარად გაუმჯობესდა, მაგრამ ვთვლი, რომ მაინც არასაკმარისად ვართ უზრუნველყოფილი ინფორმაციით. მართალია, მე იურიდიული ლიტერატურის მოძიებასთან დაკავშირებით სირთულებებს არ წავწყდომივარ, მაგრამ, აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ენაზე მათი რაოდენობა ძალზე მცირეა. სასურველია, გვქონდეს უფრო ინტენსიური ურთიერთობები ჩვენს ამერიკელ და ევროპელ კოლეგებთან, დარგის წამყვან სპეციალისტებთან. სემინარებსა და კონფერენციებზე

გამოცდილების გაზიარება კი დიდად წაადგება გარდაქმნისა და განახლების ეტაპზე მყოფ სასამართლო სისტემას.

– თქვენი აზრით, როგორი იქნება რეფორმირებული ქართული სასამართლო ცოტა ხნის შემდეგ?

– სასამართლო რეფორმა არ წარმომიდგენია საზოგადოებაში შესაბამისი ცვლილებების გარეშე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სოციალური ინსტიტუტები საზოგადოების შიგნით არსებობს, მისგან წარმოქმნილი და გამომდინარეა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სასამართლო სისტემა 5 წლის შემდეგ ისეთივე ადეკვატური სახით მოგვევლინება, როგორადაც წარიმართება საზოგადო ცნობიერება.

– რამდენად ქმედუნარიანი იქნება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი?

– ვთვლი, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ ფორმირების პროცესშია, უპრიანი იქნება, თუ კანონის ინტერესების დაცვას მაინც პროფესიონალებს მივანდობთ.

– როგორია თქვენი აზრი სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის შედეგებთან დაკავშირებით? ხომ არ ყოფილა ამ პროცესში გარკვეული შეცდომებიც ?

– სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით, ალბათ უმჯობესია, რეფორმის დასრულების შემდგომ მისი შედეგებიდან გამომდინარე ვისაუბროთ. ვფიქრობ, ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტის შიგნით მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობა არამარტო ხელისუფლებამ ან რომელიმე ჯგუფმა უნდა აიღოს, არამედ – მთელმა საზოგადოებამ. სავარაუდოდ, ეს პროცესები თავად საზოგადოების შიგნით არსებულ ურთიერთობებს ასახავენ. ამდენად, თუ გვინდა რაიმე ქმედითი და ნაყოფის მომცემი მივიღოთ, პირველივე ეტაპზე აუცილებელია შეიცვალოს საზოგადოების განწყობა. ადამიანმა თავი იმ საზოგადოების წევრად უნდა იგრძნოს, რომლის აშენებისკენაც მისწრაფვის. ყველა მათგანი უნდა აღიარებდეს და ემორჩილებოდეს კანონის უზენაესობას, თუმცა ამ ყველაფრის არსებობისათვის აუცილებელია შესაბამისი სოციალური ფონის არსებობაც.

მე, როგორც დღევანდელი სასამართლოს ერთ-ერთი ახალი წევრი, მიმდინარე მოვლენებს თვალს ვადევნებ და ვთვლი, რომ ამ რეფორმის კონცეფცია ჩემთვის მისაღებია, მაგრამ, როგორ იფუნქციონირებს ის დღევანდელ პირობებში, ამას უკვე დრო განსაზღვრავს. ყოველ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ცვლილებების განხორციელების ნება, მაშინ, ალბათ, არც მოსალოდნელი შეცდომები განდება რეფორმის შემაფერხებელი ფაქტორი.

– რა არის მთავარი პრობლემა დღეს მართლმსაჯულების სფეროში?

– სასამართლო ხელისუფლების წინაშე არსებულ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების ნდობის, მისი მაღალი შეფასების მოპოვება, რომლის გარეშეც არ არსებობს

სასამართლო რეფორმა. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის (გარდა სახელმწიფოს მიერ სასამართლო ხელისუფლებაში განხორციელებული აუცილებელი ცვლილებებისა, რომლებიც სხვადასხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს მოსამართლის საქმიანობის სრულყოფის უზრუნველყოფას) დიდი როლი ენიჭება საკადრო ცვლილებებს. არ მინდა ვიყო ბანალური, მაგრამ თითოეული მოსამართლის ცხოვრების წესი და პროფესიონალიზმი წარმოადგენს ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთ უმთავრეს გზას.

– გამართლა თუ არა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების შემოღებამ და გაგიჭირდათ თუ არა ჩაბარება?

– რა თქმა უნდა, საკვალიფიკაციო გამოცდების შემოღების აუცილებლობა გამოწვეული იყო მომავალი მოსამართლეების კვალიფიკაციის შემოწმებით, რაც, თავისთავად, აუცილებელი წინაპირობაა სასამართლო რეფორმის უზრუნველყოფისათვის.

მე საკმაოდ კარგად ვიყავი მომზადებული გამოცდისათვის. უნდა აღვნიშნო, რომ თვით მომზადების პროცესი უფრო რთული იყო, ვიდრე – გამოცდის ჩაბარება.

– თქვენი აზრით, ქართული სასამართლო რომელ მოდელთან უნდა იყოს ახლოს – კონტინენტური ევროპის თუ პრეცედენტული სამართლის ქვეყნების?

– მე არცერთი საზღვარგარეთული სასამართლოს მოდელის მექანიკური გადმოღების მომხრე არა ვარ. გასათვალისწინებელია ის ობიექტური გარემო, იმ სოციალური კონტექსტის სპეციფიკა, სადაც ესა თუ ის სისტემა ფუნქციონირებს. შესაბამისად, უნდა შევარჩიოთ, თუ რისი დამკვიდრება იქნება უფრო მისაღები ქართულ მართლმსაჯულებაში.

– რა ფაქტორებზეა დამოკიდებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის დამკვიდრება?

– ჩვენს ქვეყანაში მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა უკავშირდება არა მხოლოდ სახელმწიფოს იძულებითი მექანიზმების სრულყოფას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების მართლშეგნების დონეს. მიმაჩნია, რომ ჩვენი საზოგადოების პოტენციალი ამ მხრივ საკმაოდ მაღალია და მისი განვითარებისათვის არ არის საკმარისი, შემოვიფარგლოთ მხოლოდ სასამართლო რეფორმის განხორციელებით. ამდენად, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფის დამკვიდრების შესაძლებლობა დამოკიდებულია შეხედულებების, იდეების, განწყობებისა და სხვა სოციალური ფაქტორების არსებობის გათვალისწინებით.

– ძნელია თუ არა მოსამართლის მანტიის ტარება?

– მოსამართლის მანტიის ტარების სირთულე პირდაპირ კავშირშია მის პასუხისმგებლობის გრძობასთან ერის, საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის წინაშე. ის არ არის განყენებული არსება, ამიტომ როგორც სხვა პროფესიის წარმომადგენელს (ექიმს, მასწავლებელს), მასაც

მოეთხოვება ღრმა ფუნდამენტური ცოდნა, საკუთარი საქმისადმი პასუხისმგებლობა და ამასთანავე, ამ საქმის ღირსეულად შესრულება.

– საინტერესოა თქვენი აზრი მოსამართლეთა მომზადება-გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებასა და ცოდნის გაღრმავებასთან დაკავშირებულ მეთოდებსა და ხერხებზე. რაიმე სიახლეს ხომ არ შემოგვთავაზებდით?

– არსებობს მოსამართლეთა მომზადების მრავალი მეთოდი და ხერხი. უპირველესად, უნდა არსებობდეს საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას და სასამართლოში არსებული სამართლებრივი ხასიათის პრობლემური საკითხების განზოგადება-შესწავლას, რომელთა წყაროს წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებები, მოსამართლეთა მოსაზრებები ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ პრობლემაზე. ამ მხრივ, შესაძლებელია შემუშავებულ იქნეს პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა მოსამართლის მოსაზრება მათ პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხების შესახებ. მათივე ანალიზის შემდეგ შემუშავებულ უნდა იქნეს გადამზადების კონკრეტული მეთოდები. ეს უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, თუ რა მოცულობისა და შინაარსის ინფორმაცია უნდა იქნეს მიწოდებული განსაზღვრული რაოდენობის აუდიტორიისათვის და ეს შეიძლება იყოს ლექციები (როდესაც გარკვეული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს განსაზღვრულ წრეს), რომელიმე კონკრეტულ ჯგუფთან დისკუსიები, როდესაც საკითხის განხილვა ეხება გარკვეულ წრეს, განხილვა სპეციალისტთა ჯგუფის მიერ, როცა მოსამართლეთა შორის არსებობს აზრთა სხვაობა და არაერთგვაროვანი პრაქტიკა ამ საკითხთან მიმართებაში.

ასეთ შემთხვევაში უმჯობესია, მოსმენილ იქნეს სხვადასხვა აზრის მქონე მოსამართლეების მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები, რომლის შემდეგ უნდა დადგინდეს განხილვის არსი და შედეგი. მოსაზრებათა შერჩევა კი დამოკიდებული იქნება განსახილველი საკითხის შინაარსსა და მოცულობაზე. რა თქმა უნდა, მათი არჩევის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსამართლეთა მომზადების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს თეორიისა და პრაქტიკის ჰარმონიზაცია.

– როგორია თქვენი ხედვა სასამართლო რეფორმის სავარაუდო შედეგებზე?

– როგორც ჩატარდება რეფორმა, ისეთსავე შედეგს მივიღებთ. პირადად, მე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა კომპეტენტური და ობიექტური სასამართლო იხილონ. ასე რომ არ იყოს, ამ ადგილზე, ალბათ, არ ვიქნებოდი.



ლალი ლაზარაშვილი

2005 წლის 25 მარტიდან – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

15.08.1970 წ. დაიბადა ქ. ბორჯომში.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. მეცნიერებათა მაგისტრი მიწის მართვის სფეროში (სტოკჰოლმი, შვედეთი). გამოქვეყნებული აქვს მეცნიერული შრომები საკორპორაციო სამართლის, სანივთო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე.

სამუშაო გამოცდილება:

2003 წ. – თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე.

2000-2003 წწ. – საქართველოს უზენაესი სასამართლოს

მოსამართლის თანაშემწე.

2000-2001 წწ. – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის მასწავლებელი.

2000 წ. – საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახელშეკრულებო ვალდებულებათა ანალიზისა და კონტროლის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

1999 წ. – სტოკჰოლმის სამეფო ტექნიკური ინსტიტუტის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის (ყოფილი უძრავი ქონებისა და სამშენებლო მენეჯმენტის დეპარტამენტი) უძრავი ქონების დაგეგმვისა და მიწის სამართლის კათედრაზე გაიარა მაგისტრატურის კურსი მიწის მართვის სპეციალობით; 2002 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის საკითხებზე (უზუფრუქტი, სერვიტუტი, აღნაგობა), სტოკჰოლმის სამეფო ტექნიკური ინსტიტუტის მიერ მიენიჭა მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.

1996-2000 წწ. – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო სამართლის სამმართველოს კონსულტანტი, სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრი, კერძო სამართლის სამმართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის განყოფილების უფროსი კონსულტანტი, ამავე სამმართველოს საუწყებო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციის განყოფილების მთავარი კონსულტანტი, კერძო სამართლის დეპარტამენტში – მრჩეველი, სამართალშემოქმედების მეთოდის განყოფილების უფროსი, კანონმდებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. 1998 წ. – პარალელურად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1994-1997 წწ. სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში სამოქალაქო სამართლის სპეციალობით; 1998 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემებზე და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1994 წ. წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლისმცოდნეობის სპეციალობით.

საზოგადოებას უნდა სწავლეს, რომ სასამართლოს შუამდგომლობა უნდა შეასრულოს თავისი ნაპოვინი ფუნქცია – აღასრულოს მართლმსაჯულება

ყოველ მოსამართლეს გათავისებულები უნდა ჰქონდეს:
„მიუხედავად იქნება სასამართლოზე, ერთნაირად მოუსმინეთ მცირეს და დიდს, ნუ შეგეშინდებათ კაცისა, რადგან საღვთო საქმეა სამართალი“...

ძველი აღთქმა, მეორე რჯული, თავი პირველი, 17

– ქალბატონო ლალი, ძნელია თუ არა მანდილოსნისთვის მოსამართლეობა და რატომ აირჩიეთ ეს გზა? ხომ არ გქონიათ საკუთარი პროფესიისადმი განხილვის მომენტი?

– სამოსამართლო საქმიანობის არჩევა იურიდიული მეცნიერებისადმი ჩემმა სიყვარულმა განაპირობა. მიმაჩნია, რომ იურისტისათვის მოსამართლეობა პროფესიული სრულყოფისა და შემოქმედებითი რეალიზაციის ყველაზე შესანიშნავი ასპარეზია. ჩემი საქმიანობის რთულ მომენტებში მქონია იმედგაცრუების წუთებიც, თუმცა ეს უფრო დროებითი ემოცია იყო, რომელიც დიდხანს არ გაგრძელებულა. ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ სამოსამართლო საქმიანობა დავიწყე ქვედა ინსტანციის სასამართლოდან – ვმუშაობდი თბილისის საოლქო სასამართლოში, თუმცა გული მწყდება, რომ არ მქონდა პირველი ინსტანციის სასამართლოში მუშაობის შესაძლებლობაც. ვფიქრობ, საკასაციო ინსტანციაში მოსამართლის ტვირთი უფრო მძიმეა, ვიდრე ქვედა ინსტანციის სასამართლოში, რადგან აქ საბოლოო სიტყვა შენზეა და შეცდომის დაშვების უფლება არა გაქვს, მაგრამ ამ ტვირთის ზიდვას გაძლებინებს იმის შეგრძნება, რომ აკეთებ საჭირო საქმეს, რომელიც გიყვარს და შეგიძლია შენი სამართლიანი მართლმსაჯულებით შენივე ქვეყანა თუნდაც ცოტათი მაინც გახადო უკეთესი. ჩემი, როგორც მოსამართლის, პროფესიული წარმატებაა ის, რომ ვარ ქვეყანაში უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე და შესაძლებლობა მაქვს, უშუალოდ შევიტანო წვლილი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ქართული სამოსამართლო სამართლის განვითარებაში.

– მოსამართლეები ხშირად გამოთქამენ უკმაყოფილობას არასათანადო სამუშაო პირობებზე. თქვენ რას იტყვით ამის თაობაზე?

– შრომის პირობების თვალსაზრისით საქართველოს უზენაეს სასამართლოში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, რასაც ვერ ვიტყვი ქვედა ინსტანციის სასამართლოებზე. ყველაზე მეტად მოსამართლეს თრგუნავს საქმეთა ისეთი სიმრავლე, რომელთა შესწავლა და განხილვა ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსამართლის უსაფრთხოება. ასევე, ის ნაკლებად უნდა იყოს შეწუხებული ყოფითი პრობლემებით. ყოველივე ეს არის ფსიქოლოგიური ტვირთი, რაც მოქმედებს მოსამართლის შინაგან დამოუკიდებლობაზე და აკლებს ჯეროვან ყურადღებას მართლმსაჯულებას.

– თქვენი აზრით, რა პრობლემები აქვს დღეს სასამართლოს და რის გაუმჯობესებას ისურვებდით?

– სასამართლო ხელისუფლება, რომელსაც, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დამაბალანსებელ-გამაწონასწორებელი ფუნქცია აკისრია, სინამდვილეში ძალიან მგრძობიარე ორგანიზმია და მაშინვე უკუერეგირებს მოუმზადებელ ნაბიჯებზე. ვფიქრობ, რომ სისტემა დასახვეწია, მაგრამ ნებისმიერი ცვლილების გატარება მოითხოვს კარგად ორგანიზებულ, ზედმიწევნით გათვლილი ღონისძიებების განხორციელებას, რათა საიმედოდ იყოს დაცული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები.

სასამართლო სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება, სასამართლოს ავტორიტეტის ამაღლება, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება, მოსამართლისათვის ცხოვრებისა და შრომის ღირსეული პირობების შექმნა, პროფესიული კადრების მოზიდვა, მოსამართლეთა მომზადება, სასამართლოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა – ყველაფერი ეს სასამართლო ხელისუფლების უმთავრესი პრობლემებია.

– არის თუ არა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა პროფესიონალიზმის განმსაზღვრელი და როგორ უნდა მოხდეს მოსამართლეთა ცოდნის ამაღლება?

გამოცდა მიზნად ისახავს პროფესიონალიზმის თვალსაზრისით მოსამართლეთა სავარაუდო კანდიდატურების სწორად შერჩევას. ჩემი აზრით, იგი არ წარმოადგენს კონკრეტული პირის ცოდნის ადეკვატური გამოვლენისა და კვალიფიციური მოსამართლის კანდიდატურის შერჩევის ეფექტურ მექანიზმს. გამოცდის ჩატარება არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეობის კანდიდატი პროფესიონალია, ამისათვის კიდევ მნიშვნელოვანი მომზადებაა საჭირო. არანაკლებ მნიშვნელოვანია „მაღალზნეობრივი ცენზის“ შემოღება მოსამართლეთა კანდიდატურების შესარჩევად.

დღეისათვის, როგორც წესი, სამოსამართლო საქმიანობის „მოსამზადებელი პერიოდის“ დანიშნულებას სამოსამართლო საქმიანობის პირველი თვეები ასრულებს, რასაც გარდაუვალი შეცდომებიც ახლავს თან. ზოგჯერ დამწყები მოსამართლე პირველივე შეცდომისთვის იხვეება, რასაც შეიძლება მისი კარიერაც შეეწიროს, ამიტომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია, პრაქტიკული საქმიანობის დაწყებამდე ახალი მოსამართლეებისათვის ინტენსიური მოსამზადებელი კურსის ჩატარება. აუცილებელია მოქმედ მოსამართლეთა პერიოდული გადამზადებაც. სამოსამართლო სწავლების სკოლის შემოღება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამ თვალსაზრისით.

მხოლოდ პროფესიონალიზმიც არ ნიშნავს კარგ მოსამართლეობას. აუცილებელია, მოსამართლე იმავდროულად იყოს მაღალი პასუხისმგებლობის გრძობით აღსავსე, მაღალი ზნეობის, პრინციპული, სამართლიანი, კანონმორჩილი, მიუკერძოებელი, გაწონასწორებული, განსწავლული, კაცთმოყვარე...

– დღეს მოსამართლეებს განსახილველად უამრავი საქმე აქვთ. თქვენი აზრით, აისახება თუ არა საქმეთა სიმრავლე გადაწყვეტილების მიღების ხარისხზე?

დღევანდელი მართლმსაჯულების ერთ-ერთი პრობლემაა საქმეთა სიმრავლე და მოსამართლის უმძიმესი დატვირთვა, რაც, ბუნებრივია, მართლმსაჯულების ხარისხზეც ახდენს გავლენას და იმავედროულად იწვევს საზოგადოების სამართლიან უკმაყოფილებას საქმეთა განხილვის გახანგრძლივების გამო. ეს ყველა ინსტანციის სასამართლოს პრობლემაა, მაგრამ უდავოდ გასათვალისწინებელია, რომ სამოსამართლო საქმიანობა შემოქმედებითი საქმიანობაა. მას სიჩქარე არ უყვარს. მოსამართლე იმაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, რომ „ჩაძირული“ საქმეების გამო ვადები დაერღვევა, რისთვისაც მას პასუხს მოსთხოვს იუსტიციის საბჭო, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ სწორად განმარტოს კანონი და სწორად გადაწყვიტოს ამა თუ იმ კონკრეტული საქმის ბედი.

რაც შეეხება ჩემს კონკრეტულ დატვირთვას, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მუშაობის დაწყებიდან ოთხი თვის განმავლობაში წარმოებაში გადმოძეცა 115 საქმე. თბილისის საოლქო სასამართლოში შემადგენლობის სამი მოსამართლე ერთი წლის განმავლობაში ვინილაგდით დაახლოებით 700-800 საქმეს. მიუხედავად უდიდესი ძალისხმევისა, რომ თითოეული საქმე შესწავლილი და განხილული ყოფილიყო სრულყოფილად, რა თქმა უნდა, არსებული მდგომარეობა ისახებოდა საქმეთა განხილვის ხარისხზე და იმავედროულად, თრგუნავდა მოსამართლის შინაგან დამოუკიდებლობას.

– როგორ უნდა მოხდეს სასამართლოსადმი ნდობის ამაღლება?

– სასამართლოს და, შესაბამისად, მოსამართლის ფუნქცია და დანიშნულებაა დროსა და სივრცეში მოქმედი კანონის სწორად გამოყენებით აღასრულოს მართლმსაჯულება. ამ ფუნქციას სასამართლო ახორციელებს როგორც უფლისაგან მონიჭებულ უფლებას – „ქმნას მართალი სამართალი“. შეუძლებელია, სასამართლო გადაწყვეტილება ყველას მოსაწონი იყოს. სასამართლოსთვის არა აქვს მნიშვნელობა, მოეწონებათ იგი თუ არა და მოიპოვებს თუ არა ამით იგი ვინმეს ნდობას. მისთვის მთავარი და მნიშვნელოვანია, აღასრულოს მართლმსაჯულება. სწორედ ამიტომ სასამართლო და ყოველი მოსამართლე დაცული უნდა იყოს მისი მართლმსაჯულებით უკმაყოფილო პირისაგან, ვინც არ უნდა იყოს იგი. როგორც წესი, გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ყოველთვის რჩება ერთ-ერთი მხარე.

ვისი ნდობა უნდა მოიპოვოს სასამართლომ ასეთ შემთხვევაში – უკმაყოფილო მხარის, დაკმაყოფილებულის, თუ ორივესი ერთად? სასამართლო ვერ იქნება მხარეთა ნდობაზე მომუშავე დაწესებულება. თუკი საზოგადოებას არ სწამს, რომ სასამართლო მას აძლევს სამართლიან მართლმსაჯულებას, ეს არის საზოგადოების და მთელი ქვეყნის პრობლემა. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება არ ენდობა კანონის უზენაესობას და არ აცნობიერებს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც მართლმსაჯულებასთან აქვს შეხება, იგი დგას კანონის იურისდიქციის წინაშე და პატივი უნდა სცეს მას. ნდობაც, შესაბამისად, აქედან გამომდინარეობს, ამიტომ კითხვას, თუ როგორ უნდა მოხდეს სასამართლოსადმი ნდობის ამაღლება, პირველ რიგში, ვუპასუხებდი ასე – უნდა დამკვიდრდეს საზოგადოებაში კანონისადმი პატივისცემა და ეს უნდა გააკეთოთ ყველამ ერთად: სასამართლომ – კანონიერი გადაწყვეტილებებით, ხელისუფლებამ და

საზოგადოებამ – ამ გადაწყვეტილებების პატივისცემითა და აღსრულებით.

– არის თუ არა ქართული სასამართლო დამოუკიდებელი?

– დიდი ხანი არ არის, რაც საქართველო გამოვიდა ტოტალიტარული რეჟიმიდან და აღარ არის იმ ქვეყნის ნაწილი, სადაც, როგორც გამოჩენილი ფრანგი იურისტი რენე დავიდი თავის წიგნში – „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები“ – წერდა: „საბჭოთა კავშირში არ არსებობს მოსამართლეთა კასტა, რომელსაც, თუ უფრო მეტი არა, პრეტენზია მაინც ექნებოდა იმისა, რომ მოეპოვებინა დამოუკიდებლობა სახელმწიფო ხელისუფლებისაგან“.

ბუნებრივია, ასეთი წარსულიდან სულ ახლახანს გამოსულ ახალგაზრდა ქართულ სასამართლო ხელისუფლებას გაუჭირდება, მოიპოვოს სრული ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე თითქმის მოგვარებულია და პრაქტიკაშიც არაერთი გაბედული სასამართლო გადაწყვეტილების მაგალითი გვაქვს, მაგრამ არის სხვა პრობლემა: ჩვენში ჯერ კიდევ ძლიერია არასახელმწიფოებრივი ცნობიერება და სასამართლოს განსაკუთრებული როლისა და დანიშნულების გაუცნობიერებლობა ხელისუფლებისა და საზოგადოების მიერ, რაც განაპირობებს მათი ზოგიერთი წარმომადგენლის ჩარევას სასამართლოთა საქმიანობაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია თითოეული მოსამართლის შინაგანი დამოუკიდებლობის ხარისხიც და რწმენა, რომ არ უნდა დაემორჩილოს არავის და არაფერს, გარდა კანონისა. ყოველ მოსამართლეს გათავისებული უნდა ჰქონდეს შემდეგი: „მიკერძოებული ნუ იქნებით სასამართლოზე, ერთნაირად მოუსმინეთ მცირეს და დიდს, ნუ შეგეშინდებათ კაცისა, რადგან საღვთო საქმეა სამართალი“...

ერთი რამ ცხადზე ცხადია: მხოლოდ დამოუკიდებელ სასამართლოს შეუძლია შეასრულოს თავისი ნამდვილი ფუნქცია – აღასრულოს მართლმსაჯულება, რის გარეშეც წარმოდგენილია დემოკრატიული საზოგადოების განვითარება, ამიტომ, თუ ჩვენ გადავწყვიტეთ, ჩავდგეთ ცივილიზებული, მაღალგანვითარებულ სახელმწიფოთა შორის, თუკი გვინდა, გვქონდეს უკეთესი ქვეყანა და პრეტენზიას ვაცხადებთ, რომ სახელმწიფოს შენება შეგვიძლია, თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ხელი შეუწყოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის რეალურ უზრუნველყოფას, სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულებას. ეს არის ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი საქმე, რისი გაკეთების შესაძლებლობა დღეს ჩვენს ქვეყანას რეალურად მიეცა. ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობას ისტორია, ალბათ, არ გვაპატიებს.

– როგორია თქვენი განწყობა მიმდინარე სასამართლო რეფორმის მიმართ?

– ოპტიმისტური. ალბათ, გარკვეული ეტაპი რთული იქნება, მაგრამ ეს უნდა გადავლახოთ. დიდი იმედი მაქვს, რომ შევძლებთ შევექმნათ ძლიერი, დამოუკიდებელი სისტემა – ქვეყანაში დემოკრატიული მართლმსაჯულებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს უზრუნველყოფის გარანტი.



ზაზა მხივილი

სამსახურებრივი გამოცდილება:

2005 წლის ნოემბრიდან – თბილისის სააპელაციო სასამართლო, თავმჯდომარე.

2003-2005 წწ. – თბილისის საოლქო სასამართლო, მოსამართლე, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

2002-2003 წწ. – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციისა და იმიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის უფროსი;

2001-2002 წწ. – ეროვნული უშიშროების საბჭო, უშიშროების

საკითხთა სამსახურის რეფერენტი;

2000-2003 წწ. – საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრი.

2000 წლიდან – სამოსამართლო სწავლების ცენტრის ლექტორი სისხლის სამართლის პროცესში.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ასოციაციის წევრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.

1997-2001 წწ. – საქართველოს იუსტიციის საბჭო, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწე, სასამართლო პერსონალის სექტორის უფროსი;

1996-1997 წწ. – საქართველოს პროკურატურა, საქართველოს გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილთან არსებული ცალკეული ტერორისტული აქტების, დივერსიებისა და სხვა განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთა გამოძიების სპეციალური ჯგუფის უფროსი პროკურორის თანაშემწე;

1991-1996 წწ. – ფირმა „ისინდი“, იურისტი.

1989-1995 წწ. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 ივნისის განკარგულებით გამოეცხადა მადლობა საქართველოში სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის ორგანიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი, მაღალპროფესიული საქმიანობისათვის.

ქვეყნის სამართლებრივი განვითარების გასაღები დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლო სისტემის შექმნაშია

– როდის შეიქმნა სააპელაციო სასამართლო და ახლავს თუ არა მიმდინარე რეფორმას სირთულეები?

– სააპელაციო სასამართლო 2005 წლის 1 ნოემბრიდან შეიქმნა და გახდა კლასიკური ტიპის სააპელაციო ინსტანცია სამი – სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული – პალატის შემადგენლობით. კანონის შესაბამისად შექმნილია საგამომიებო კოლეგიაც. თბილისის საოლქო სასამართლოს წარმოებაში დარჩენილია პირველი ინსტანციით განსახილველი რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, რომელთა განხილვა ძალე დასრულდება.

სააპელაციო სასამართლოში თავდაპირველად მოსამართლეთა რაოდენობა ოთხივე მიმართულებით განისაზღვრა 25 მოსამართლით, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი, ამიტომ ჩვენთან მოვლინებული არიან მოსამართლეები რეგიონებიდანაც, რადგანაც საქმეების სრულყოფილად და დროულად განხილვისათვის აუცილებელია მოსამართლეთა გარკვეული რაოდენობა. არსებული სიტუაცია მოქმედებს საქმეთა განხილვის ხარისხზეც. რაც უფრო ცოტა საქმე და მეტი დრო ექნება მოსამართლეს, ბუნებრივია, მეტი იქნება ალბათობა ხარისხიანი გადაწყვეტილებების მიღებისა. მოსამართლედ განწესებულ ადამიანს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებაც სჭირდება, ამიტომ, ჩვენი აზრით, უმჯობესია, მან საქმიანობა პირველი ინსტანციის სასამართლოდან დაიწყო.

– თქვენ უშუალოდ იღებდით მონაწილეობას სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის პროცესში. რა დადებით და უარყოფით მხარეებზე შეგიძლიათ ისაუბროთ?

– 1997 წლიდან იუსტიციის საბჭოს პირველ შემადგენლობაში ვმუშაობდი. შესაბამისად, აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი სასამართლო სისტემის რეფორმირების პროცესებში. სამწუხაროა ის, რომ მაშინ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მივიდა და დადგა აუცილებლობა სასამართლო რეფორმის აქტიურ ფაზაში გადაყვანისა. ამას ჰქონდა როგორც ობიექტური, ისე – სუბიექტური მიზეზები. სუბიექტურ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ვარგისი შენობის უქონლობა, მოსამართლეების შრომის დაბალი ანაზღაურება, წესრიგის არასრული დაცვა სასამართლო შენობებში. სამწუხაროდ, საწყის ეტაპზე ფაქტობრივად ყველა სამოსამართლო გამოცდაჩაბარებული განწესდა მოსამართლედ. მოსამართლეთა გამოცდის ჩაბარება, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ხომ შესაძლებელია, თეორიული მომზადება არ იყოს შესაბამისი პრაქტიკულ გამოცდილებასთან? ამ თვალსაზრისით კი პრაქტიკული გამოცდილება მეტად მნიშვნელოვანია. დღეს, რეალურად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შემოიღო კარიერიზმის პრინციპი. იქმნება იუსტიციის უმაღლესი სკოლა, სადაც გამოცდის ჩაბარების გზით მომავალი მოსამართლეები არა მხოლოდ თეორიული შესაძლებლობების მიხედვით შემოწმდებიან, არამედ – პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევების მიხედვითაც.

გამოსწორდა მდგომარეობა მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის კუთხითაც, ასევე, სახ-

ელფასო ანაზღაურებასთან დაკავშირებითაც. ბიუჯეტის გაზრდამ გამოიწვია აპარატის თანამშრომელთა ხელფასთა მატებაც. თუ 1 ნოემბრამდე მოსამართლის თანამშემწის ხელფასი იყო 150 ლარი, ახლა 550 ლარია, რაც მომავალში კიდევ გაიზრდება. სასამართლოში ჩვენ გვჭირდება ძლიერი საჯარო მოხელე, რომელიც მატერიალურადაც იქნება უზრუნველყოფილი.

რეფორმის ფარგლებში გამოყოფილი თანხების საშუალებით სააპელაციო სასამართლოში სრულდება რემონტი, გაიზარდა სხდომათა დარბაზების რაოდენობა, რაც აღარ გამოიწვევს საქმეთა გადადება-გაჭიანურებას, შემოდის სასამართლო მანდატურის სამსახური, რაც განაპირობებს წესრიგის დაცვას. სააპელაციო სასამართლოს შენობის კონსტრუქცია შესაძლებლობას იძლევა, რომ მოსამართლე ცალკე ფლიგელით შევიდეს სხდომის დარბაზში, ხოლო მხარე – სხვა შესასვლელით. სისხლის სამართლის საქმეებზე კი ბადრაგის მიერ პატიმრის მიყვანა მოხდება იზოლირებულად, რაც თავიდან აგვაცილებს ყოველგვარ გაუგებრობებს. ეს არის ის ნაბიჯები, რომლებიც ერთობლიობაში განაპირობებს დამოუკიდებელი, ძლიერი სასამართლო ხელისუფლების შექმნას. მოსამართლის დამოუკიდებლობა მხოლოდ კანონიერი, სამართლიანი გადაწყვეტილებების გამოტანაში არ გამოიხატება. მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შემადგენელი საშუალებებია მაღალი ხელფასიც, ლამაზი სასამართლო შენობაც, იმიტომ, რომ მოქალაქემ შენობაში შესვლისთანავე უნდა იგრძნოს, რომ იქ პატივი უნდა სცეს კანონის უზენაესობას. ერთი შეხედვით ეს პრობლემები ვითომ მეორეხარისხოვანი და უმნიშვნელოა, მაგრამ, სინამდვილეში, ერთად აღებული, მნიშვნელოვანი გარანტია ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლებისა.

– რამდენად რთულია მოსამართლეობა დღევანდელ პირობებში, მაშინ, როცა სასამართლოსადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია და უმეტესწილად უარყოფითი?

– მოსამართლეობა საპასუხისმგებლო საქმიანობაა. ჩემი ღრმა რწმენით (ამით, რა თქმა უნდა, არ ვაკნინებ სხვა თანამდებობებს), იურისტიკისათვის საჯარო სამსახურში საქმიანობის პიკი სწორედ მოსამართლეობაა. მოსამართლეს დიდ უფლებასთან ერთად დიდი მოვალეობაც აკისრია, რადგან მას ბევრი გადაწყვეტილების მიღება უხდება, ყველა მათგანი კი მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება საქმეები დაიყოს კვლელობის, ქურდობის თუ სხვა კატეგორიის მიხედვით. საქმე რეზონანსულობას იძენს მაშინ, როცა ის აღმოჩნდება საზოგადოების ყურადღების ცენტრში მასმედიის ან თავად მხარეების მხარდამჭერი პირების მეშვეობით, მაგრამ აქტუალური ხდება არა მოსამართლისათვის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მისთვის ყველა საქმე მნიშვნელოვანია. ნებისმიერმა ჩვენგანმა, განწასებულმა მოსამართლედ, ღრმად უნდა იცოდეს, რომ მას აქვს ძალიან დიდი თმენის ვალდებულება, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში გადაწყვეტილება ერთი მხარისათვის ყოველთვის მიუღებელია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ყველაფერს აქვს თავისი ფორმა, მათ შორის, პროტესტის გამოხატვასაც და პრეტენზიის წარმოთქმასაც. მთავარია არ დაიკარგოს იდეა, რასაც სასამართლოსადმი პატივისცემა ჰქვია და საზოგადოებამ სწორად შეაფასოს სასამართლოს საქმიანობა. ამას სასამართლო ხელისუფლება ვერ შეძლებს მხოლოდ ობიექტური, კანონიერი გადაწყვეტილებების გამოტანით. დღესდღეობით ობიექტურ ჭეშმარიეტიბას ხედავენ მხოლოდ დაინტერესებულ მხარეთა პოზიციის ფართო ფენებამდე მიტანით. ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა თაობაზე საუბრობს მხოლოდ დაინტერესებული მხარე, რომელსაც მოტივაციაც კი არ აქვს წაკითხული, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას გამოდის და ამბობს,

რომ თურმე მოსამართლეს არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება მიუღია. ხომ შესაძლებელია, რომ მოტივაციის წაკითხვის შემდეგ იგი დაეთანხმოს მოსამართლეს? ხშირ შემთხვევაში ასეც ხდება, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიუხედავად შინაგანი თანხმობისა, ხშირად მხარე მაინც თავის პოზიციაზე რჩება. სწორედ ამიტომ მისასაღებელია სპიკერ-მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოღება, რომლის საშუალებათაც მოხდება სასამართლოს პოზიციის დაფიქსირება და საზოგადოების ფართო ფენებამდე მიტანა.

აუცილებელია, ჩამოყალიბდეს სამართლებრივი კულტურა – ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც პატივს სცემს სამართლიანობის იდეას, შესაბამისად, უნდა სცემდეს პატივს სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

– როგორ წარმოვიდგენიათ მომავალში რეფორმირებული სასამართლო?

– პირველ რიგში, აუცილებელია შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება სასამართლოსადმი. სასურველია, ამ მიმართულებითაც იმუშაოს ხელისუფლებამ. სწორად შერჩეული კურსი, მასმედიასთან ურთიერთობა სპიკერ-მოსამართლის საშუალებით, მოსამართლეთა კონტიგენტის გაზრდა და კანონიერი გადაწყვეტილებები საშუალებას მოგვცემს, სრულყოფილი გავხადოთ სასამართლო ხელისუფლება.

აუცილებელია სასამართლოსადმი დამოკიდებულების გააზრებაც. აქ ყველა პოტენციურ მხარეს წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად ყველა სუბიექტურია. სუბიექტურობა კი არ უნდა დადგეს რეალობაზე მაღლა.

და რაც ყველაზე მნიშველოვანია: მოსამართლეს უნდა სწამდეს ხვალინდელი დღისა. უნდა ჰქონდეს იმედი, რომ საკუთარი ობიექტური, სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილებებით შეიცვლება დამოკიდებულება სასამართლო ხელისუფლებისადმი. ვინატრებდი, რომ ძალიან მაღე ქვეყანას ჰყოლოდეს ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება.



გიორგი შავლიაშვილი

2005 წლის 5 ივლისიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

11.08.1973 წ. დაიბადა ქ. ყვარულში

სამსახურებრივი გამოცდილება:

2006 წლის 6 თებერვლიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2005 წლის 20 ივნისს – დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ.

2002 წელს - ჩააბარა სამოსამართლო სკვალიფიკაციო გამოცდა.

1994-2005 წწ. – საქართველოს უზენაესი სასამართლოს ექსპედიტორი, ინსპექტორი, სხდომის მდივანი, კოლეგიის თავმჯდომარის თანაშემწე.

1996 წ. - დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

საქალაქო სასამართლო მოქალაქისათვის სქემისაწვდომი და ეფექტური გახდება

– რა ცვლილებები განხორციელდა საქალაქო სასამართლოს შექმნიდან დღემდე?

– თბილისის საქალაქო სასამართლო 2005 წლის 5 მაისს შეიქმნა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. პირველ რიგში, სასამართლო დასაკომპლექტებელი იყო მოსამართლეებით. მათმა არასაკმარისმა რაოდენობამ საქმეთა დაგროვება გამოიწვია და განხილვა შეაფერხა. ეს კი, ბუნებრივია, მოქალაქეთა და განსასჯელთა ობიექტური უკმაყოფილების მიზეზი გახდა. გასულ წელს საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა ორმოცდარამდე გაიზარდა და, როგორც ჩემთვის ცნობილია, უახლოეს დღეებში კიდევ თერთმეტი მოსამართლე შეგვემატება. ვფიქრობთ, საქმეთა სიმრავლის გათვალისწინებით, ეს არ იქნება საბოლოო შემომატება. მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა გულისხმობს სასამართლოს აპარატის გამსხვილებას. ამის გამო, ვაკანტური საშტატო ერთეულების დასაკავებლად ზაფხულში ჩატარდა კონკურსი და შეირჩა შესაფერისი კანდიდატურები. მორიგი კონკურსი უახლოეს პერიოდში ჩატარდება. როგორც მოსამართლეებს, ისე – აპარატის თანამშრომლებს მნიშვნელოვნად გაეზარდათ ხელფასი, დაარქივდა მასალები, პრაქტიკულად, პრობლემა მოხსნილია საქმეთა მოძიების თვალსაზრისითაც. თუ ამისათვის მოქალაქეს საათობით და ზოგჯერ დღეობით უწევდა ლოდინი, დღეს ეს პრობლემა, ფაქტობრივად, გადაჭრილია. თქვენ მოგეხსენებათ, რომ დღესდღეობით თბილისის საქალაქო სასამართლო განთავსებულია სამ შენობაში, ქალაქის სამ სხვადასხვა ადგილას. ბუნებრივია, ეს გვიქმნის მრავალ პრობლემას ადმინისტრირების კუთხით. სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია უზენაესი სასამართლოს შენობიდან გადავიდა დილოში, ყოფილი ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის შენობაში. მართალია, თითქმის ერთი თვის განმავლობაში არ გვქონდა სატელეფონო და კომპიუტერული ქსელი, მაგრამ, ამის მიუხედავად, საქმეთა განხილვა მაინც ინტენსიურად გრძელდებოდა. ამჟამად მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 3,5 მილიონი ლარი. რემონტის დამთავრების შემდეგ სასამართლოს სამივე კოლეგია აქ განვთავსდება.

– გარდა მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობისა, კიდევ რა ფაქტორებმა განაპირობა საქმეთა რაოდენობის გაზრდა?

– დღეს, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა დამნაშავე თემიდას სამსჯავროზე ხვდება, ვინაიდან აღარ „კვდება“ საქმეები პოლიციაში, აღარც კორუფციულ გარიგებებს აქვს ადგილი. ამასთან, საქმეთა რაოდენობის გაზრდის სხვა მიზეზების შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ. მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდით შესაძლებელი გახდება მართლმსაჯულების დროულად განხორციელება სამივე მიმართულებით და მინდა გითხრათ, რომ ეს არის ძალიან ახლო მომავლის პერსპექტივაა.

– როგორ აფასებთ მიმდინარე სასამართლო რეფორმას?

ვფიქრობთ, ყველაზე პესიმისტი ადამიანისთვისაც კი თვალშისაცემია ის პოზიტიური ცვლილე-

ბები, რაც სასამართლო სისტემაში ხდება. მნიშვნელოვანია თითოეული მიმართულება, რაც მართლმსაჯულებაში არსებული პრობლემების გადაჭრას შეუწყობს ხელს, კერძოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა, სადაც მათ ექნებათ გადაწყვეტი ხმის უფლება, მომატებული ხელფასებით უზრუნველყოფა, სპიკერ-მოსამართლეთა ინსტიტუტის ამოქმედება, ანუ მასმედიასთან უფრო ეფექტური თანამშრომლობა და ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნა, მოქმედი მოსამართლეების გადამზადების სისტემის ჩამოყალიბება. უმნიშვნელოვანესია მანდატურის სამსახურის შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგის დამყარებას სასამართლო დარბაზებში და შეიქმნება ისეთივე გარემო, როგორიც ნებისმიერი ცივილური ქვეყნის სასამართლოშია. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებითა და ამოქმედებით კი მოიხსნება სასამართლოზე ზეწოლის ეჭვი. წარმოუდგენელი იქნება, თორმეტივე მათგანზე ზემოქმედების განხორციელების რაიმე მექანიზმის გამოყენება, თანაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო იქნება, რაც კიდევ უფრო გაზრდის პასუხისმგებლობის ხარისხსა და გამორიცხავს შეცდომის დაშვების ალბათობასაც.

– რას ნიშნავს იყო მოსამართლე და საერთოდაც, როგორი უნდა იყოს მოსამართლე?

– ჩემთვის მოსამართლეობა, პირველ რიგში, უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. მე ვფიქრობ, მოსამართლის ცნობიერებაში უნდა არსებობდეს ორი განმსაზღვრელი ფაქტორი: მისი შინაგანი სურვილი – იყოს ღირსეული მოსამართლე და პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძნება. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სამართლიანობის გაცნა და რაც მთავარია, არ უნდა დაუშვას უპატიებელი შეცდომა. სამწუხაროა, რომ დღეს არ ხდება ფაქტების საზოგადოებამდე სწორად მიწოდება. მათი ნეგატიური კუთხით გაშუქება სასამართლოს ავტორიტეტზე მოქმედებს, რასაც ემატება არაკვალიფიციური და სუბიექტური კომენტარებიც. არ შეიძლება ასე ხელაღებით მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე საუბარი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს სასამართლოა, სადაც ერთი მხარე ბუნებრივია, ყოველთვის უკმაყოფილო რჩება.

– როდისთვის მიიღებს დასრულებულ სახეს საქალაქო სასამართლო და რა სიახლეებს უნდა ველოდოთ?

– საქალაქო სასამართლო დასრულებულ სახეს მიიღებს მაშინ, როდესაც კადრებით სრულად დაკომპლექტდება, დასრულდება შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სრულად ჩამოყალიბდება შიდა ადმინისტრირების ძირითადი საკითხები. ასე რომ, სასამართლო მიმდინარე წლის ბოლოს იმოქმედებს იმ რეჟიმში და იმ ფორმით, რა მიზნითაც იგი შეიქმნა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ იუსტიციის საბჭოს ახალი წევრები წარადგინა



2006 წლის 1 მარტს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა ნაცვლად 9 წევრისა განისაზღვრა 18 წევრით. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, 2006 წლის 6 თებერვალს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა ადმინისტრაციულ კომიტეტს იუსტიციის საბჭოს ექვსი ახალი წევრი წარუდგინა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრები მოსამართლეები არიან: გიორგი შავლიაშვილი (თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე), მაია კოპალეიშვილი (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარე), ლაშა კალანდაძე, ომარ ჯორბენაძე (თბილისის სააპელაციო სასამართლო), ლევან მურუსიძე (თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია), მალხაზ გურული (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა, თუკი აქამდე იუსტიციის საბჭოში მოსამართლეები მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი, ახალი საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, მათი რაოდენობა გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ მიღებულ ყოველ გადაწყვეტილებაში გადამწყვეტი ხმა უკვე მოსამართლეებს ექნებათ.

**უზენაესი სასამართლოს აპარატის
რ მ გ ლ ა მ ე ნ ტ ი**

**თავი I
ზოგადი დებულებანი**

მუხლი 1. აპარატის მიზანი და მისი შექმნის წესი

1. საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამოსამართლო საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების მიზნით იქმნება აპარატი, რომლის სტრუქტურა და საქმიანობა განისაზღვრება ამ რეგლამენტით.
2. უზენაესი სასამართლოს აპარატის მუშაობას წარმართავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
3. აპარატის უფროსს, მოხელეებსა და სხვა მუშაკებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 2. აპარატის სტრუქტურა

1. უზენაესი სასამართლოს აპარატი შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:
 - ა) თავმჯდომარის ბიურო;
 - ბ) საერთო განყოფილება;
 - გ) სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება;
 - დ) სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილება;
 - ე) საფინანსო-სამეურნეო განყოფილება;
 - ვ) სასამართლო მანდატურის სამსახური.
2. უზენაეს სასამართლოს აქვს მრგვალი ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

თავი II

მუხლი 3. აპარატის უფროსი

1. აპარატის უფროსი უზრუნველყოფს შინაგანაწესის დაცვასა და შესრულებას, კოორდინაციას უწევს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას; შეიმუშავებს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს წარუდგენს რეკომენდაციებს, გეგმებსა და წინადადებებს სასამართლოს ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტური მართვისა და აპარატის მოხელეთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის, ამ მიმართებით ადგენს სასწავლო პროგრამებს; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს მოსამსახურეთა მატერიალური წახალისების, დაწინაურების, დისციპლინური დევნის აღძვრის, განთავისუფლების შესახებ; კონტროლს უწევს მოსამსახურეთა შორის ფუნქციების განაწილებას; "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად ახორციელებს საერთო კონტროლს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესრულებაზე, ამზადებს მასალებს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისაგან ზოგიერთ უფლებათა დელეგირების შემთხვევაში აპარატის უფროსი უზენაეს სასამართლოს წარმოადგენს სხვადასხვა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ სტრუქტურაში.
2. შიდა კონტროლის სამსახურის უფროსი კონსულტანტი ახორციელებს:

- ა) კონტროლს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობაზე;
- ბ) კონტროლს აპარატის შინაგანაწესის დაცვასა და შესრულებაზე;
- გ) კონტროლს უზენაეს სასამართლოში შემოსული დოკუმენტაციების წერილობით და კომპიუტერულ აღრიცხვასა და განაწილების სისწორეზე, მათი შესრულების ხარისხსა და ვადებზე;
- დ) კონტროლს შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით სასამართლო საქმეთა განხილვისა და განხილულ საქმეთა გაგზავნის ვადებზე და ამის შესახებ პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას აპარატის უფროსს;
- ე) კონტროლს კვირის მანძილზე ჩანიშნულ საქმეთა გრაფიკების შედგენასა და გამოქვეყნებაზე;
- ვ) კონტროლს უზენაეს სასამართლოში დაგეგმილი ღონისძიებების მომზადებაზე;
- ზ) საჯარო ინფორმაციის გაცემას კანონით დადგენილი წესით;
- თ) კონტროლს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და აპარატის უფროსის განკარგულებების შესრულებაზე, რის თაობაზეც ყოველკვირეულად ამზადებს ინფორმაციას აპარატის უფროსთან წარსადგენად.

3. მთავარი სპეციალისტ – რეფერენტი უზრუნველყოფს:

- ა) აპარატის უფროსის სახელზე სამდივნოში შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვა-განაწილებას და მათ შესრულებაზე კონტროლს.
- ბ) შემოსულ დოკუმენტებზე, ოფიციალურ კორესპონდენციებსა და მიმართვებზე პასუხების პროექტების მომზადებას, დაბეჭდვასა და კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის შექმნას;
- გ) "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად საჯარო რეესტრის წარმოებას;
- დ) აპარატის უფროსის მიერ გამართული თათბირების ორგანიზაციულ მომზადებას;
- ე) ასრულებს აპარატის უფროსის სხვა სამსახურებრივ დავალებებს.

მუხლი 4. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიურო

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს ქმნიან: თავმჯდომარის ბიურო და საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სამსახური.

1. თავმჯდომარის ბიურო

თავმჯდომარის ბიურო შედგება: ბიუროს უფროსის, თავმჯდომარის თანაშემწის, მთავარი კონსულტანტის, კონსულტანტის, მთავარი სპეციალისტ - რეფერენტისაგან.

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსი - კოორდინაციას უწევს თავმჯდომარის ბიუროს და საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობას; შეიძულებს თავმჯდომარის საშუალო განრიგს და უზრუნველყოფს მის დაცვას, თავმჯდომარის მითითებით ოფიციალურ კორესპონდენციებსა და მიმართვებზე ამზადებს პასუხების პროექტებს; თავმჯდომარის დავალებით ხვდება მოქალაქეებს და უწევს მათ კონსულტაციებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით ინიშნება საიდუმლო საქმეთა მწარმოებლად და კანონით დადგენილი წესით წარმართავს საიდუმლო საქმის წარმოებას უზენაეს სასამართლოში. მას ევალება საიდუმლო დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა, აგრეთვე საიდუმლოების რეჟიმის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება; სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების მიღება, შედგენა, დაბეჭდვა და გამრავლება.

ბ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწე - უზრუნველყოფს დიდი პალატის მიერ განსახილველ საქმეთა დღის წესრიგისა და მასთან დაკავშირებულ სხვა საორგანიზაციო საკითხთა მომზადებას,

თავმჯდომარის დავალებით ასრულებს პლენუმის მდივნის მოვალეობას და ადგენს პლენუმის დადგენილებების პროექტებსა და სხდომის ოქმებს; თავმჯდომარის დავალებით ასევე შეისწავლის და ადგენს მოქალაქეთა განცხადებებზე პასუხების პროექტებს; აგვარებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე საერთო სასამართლოებიდან და უზენაესი სასამართლოდან შემოსულ საქმეებზე საპატიმრო ვადის გაგრძელებისა და განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის ტექნიკურ მხარეს. აწესრიგებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სტუმართა მიღებასა და ოფიციალური მიღებების გამართვასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს.

გ) მთავარი კონსულტანტი - უზრუნველყოფს ბიუროში შემოსული კორესპონდენციებისა და მასალების გაცნობასა და პასუხების მომზადებას; იღებს ინფორმაციას მათზე რეაგირების შესახებ და კონტროლს უწევს მათ შესრულებას, ინფორმაციას აწვდის ბიუროს უფროსს თავმჯდომარისათვის მოსახსენებლად. შეიმუშავებს მოხსენებების, ოფიციალური მიმართვებისა და გამოსვლების ტექსტების პროექტებს.

დ) კონსულტანტი - უზრუნველყოფს თავმჯდომარის სამუშაო განრიგის დაცვასა და დავალებების შესრულებას. აღრიცხავს ბიუროში შემოსულ განცხადებებსა და კორესპონდენციებს რეგისტრაციის ჟურნალებში, უზრუნველყოფს მათ დროულად გადაცემას ადრესატებისათვის და ბიუროში მომზადებული პასუხების გაგზავნას. ასევე უზრუნველყოფს კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანას.

ე) მთავარი სპეციალისტი - რეფერენტი უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, მოსამართლეებისა და სასამართლო პერსონალის სამსახურებრივი ვიზიტების მომზადებას. ასევე აწესრიგებს უზენაესი სასამართლოს სტუმართა მიღებასა და ოფიციალური მიღებების გამართვასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს.

2. საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სამსახური შედგება: მთავარი კონსულტანტის, უფროსი კონსულტანტისა და კონსულტანტისაგან.

3. საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სამსახური უშუალოდ ექვემდებარება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

4. საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ეფექტური სისტემის შექმნის მიზნით:

ა) აწყობს ბრიფინგებს, პრესკონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკმაყოფილებს პრესისა და სხვა მასობრივ საშუალებათა მოთხოვნებს ინფორმაციის მიწოდებაზე;

გ) ამზადებს პრესრელიზებს, საინფორმაციო ფურცლებსა და სხვა ბეჭდურ მასალას;

დ) კოორდინაციას უწევს სხვა სასამართლოებში მედიისა და სპიკერი მოსამართლეების ურთიერთობას;

ე) ახდენს ჟურნალისტთა აკრედიტაციას უზენაეს სასამართლოში;

ვ) უზრუნველყოფს ბეჭდური და ელექტრონული მედიიდან ინფორმაციის შვერცხვასა და ანალიზს.

5. მთავარი კონსულტანტი – საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში:

ა) განსაზღვრავს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მუშაობის სტრატეგიას, აყალიბებს ტაქტიკას;

ბ) კოორდინაციას უწევს სხვა სასამართლოებში მედიისა და სპიკერი მოსამართლეების ურთიერთობას;

გ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან ათანხმებს და კოორდინაციას უწევს ბრიფინგების, პრესკონფერენციებისა და სხვა შეხვედრების მომზადებას.

6. უფროსი კონსულტანტი:

ა) საზოგადოების ინფორმირების მიზნით ამზადებს სპიკერი მოსამართლისთვის მასალებს;

ბ) უზენაესი სასამართლოს სახელით აქვეყნებს განცხადებებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ამზადებს გამოხმაურებას, შენიშვნას, გასწორებას.

7. კონსულტანტი:

ა) უზრუნველყოფს ინფორმაციის განყოფილებისათვის მასალების გადაცემას უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებლად;

ბ) ამზადებს და ავრცელებს პრესრელიზებს;

გ) მისი აუდიოფირებს, პუბლიკაციებსა და ფოტოარქივებს;

დ) უზრუნველყოფს პრესიდან ამონაკრების შეგროვებას და პრესის ანალიზს;

ე) უზრუნველყოფს ჟურნალისტებისთვის შესაბამისი წესით საარქივო მასალების გაცნობას.

თავი III

უზენაესი სასამართლოს განყოფილებები და მათი კომპეტენცია

მუხლი 5. საერთო განყოფილება

1. საერთო განყოფილება შედგება: პალატებისა და სადისციპლინო კოლეგიის სამდივნოების, კადრებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორებისაგან.

2. განყოფილების უფროსი საერთო ხელმძღვანელობას უწევს პალატებისა და სადისციპლინო კოლეგიის სამდივნოების, კადრებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორების საქმიანობას.

3. საერთო განყოფილება:

ა) შეიმუშავებს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად წარუდგენს უზენაესი სასამართლოს შინაგანაწესის პროექტს; აწარმოებს უზენაესი სასამართლოს წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა პირად საქმეებს, მოხელეთა ნამსახურობის ნუსხას და შრომის წიგნაკებს; უზენაესი სასამართლოს თანამშრომლებს უწევს კონსულტაციებს მათი სამართლებრივი მდგომარეობისა და სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე; კანონით დადგენილი წესით ორგანიზებას უწევს კონკურსის ჩატარებას სახელმწიფო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, ქმნის საკადრო რეზერვს, ორგანიზაციას უწევს საკლასო ჩინების მინიჭებას სახელმწიფო მოხელეთა თანამდებობრივი რეესტრის შესაბამისად; ორგანიზაციას უწევს მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებას და ატესტაციის ჩატარებას;

ბ) ამზადებს და პერიოდულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას საჯარო სამსახურის ბიუროს;

გ) მოითხოვს უზენაესი სასამართლოს მოხელეთა მიერ საგადასახადო სამსახურიდან ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციებთან დაკავშირებული ყოველწლიური ცნობის წარმოდგენას;

დ) უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებთან და აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს უზენაესი სასამართლოს წევრთა და მოხელეთა ყოველწლიური შვებულებების გრაფიკს; ამზადებს შვებულებასთან, აგრეთვე, საავადმყოფო ფურცელსა და მივლინებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;

ე) კანონის შესაბამისად ამზადებს წარდგინების პროექტს უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და მისი სამისდღეშიო საპენსიო უზრუნველყოფაზე გადაყვანის შესახებ;

ვ) აპარატის თანამშრომელთა პენსიაზე გასვლისას ადგენს სათანადო დოკუმენტაციას და აგზავნის შესაბამის რაიონულ სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში;

ზ) ამზადებს ბრძანებათა პროექტებს მოსამსახურეთა მატერიალური წახალისების შესახებ;

თ) ახორციელებს შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს; ამზადებს ბრძანების პროექტს მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ;

ი) ამზადებს საბუთებს არქივში ჩასაბარებლად;

კ) გასცემს პირადობის მოწმობებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე, აპარატის მოხელეებსა და სხვა მუშაკებზე;

ლ) ორგანიზებას უწევს მოქალაქეთა მიღებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული ინფორმაციის გაცემას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იურიდიული კონსულტაციების გაწევას, აგრეთვე, უზრუნველყოფს პალატების სამდივნოებთან მოქალაქეთა ურთიერთობის კოორდინირებას; დაინტერესებულ პირთათვის სასამართლო საქმის მასალებისა და სხვა დოკუმენტების გაცნობას;

მ) უზრუნველყოფს უზენაეს სასამართლოში შემოსული და გასული სასამართლო საქმეების, დოკუმენტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვას, კუთვნილებსამებრ დახარისხებას, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის გადაცემას, აგრეთვე სასამართლო საქმეებისა და სხვა მასალების დაგზავნა-დატარებას, შესაბამის სტატისტიკურ და კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის შექმნას.

4. კადრების სექტორის მთავარი კონსულტანტი:

ა) ხელმძღვანელობს სექტორის საქმიანობას;

ბ) აწარმოებს უზენაესი სასამართლოს წევრთა და აპარატის თანამშრომელთა პირად საქმეებს. შეაქვს ჩანაწერები მათ შრომის წიგნაკებში;

გ) ამზადებს ბრძანებათა პროექტებს უზენაესი სასამართლოს წევრისა და მოსამსახურეთა შვებულებების, მივლინებებისა და სხვათა თაობაზე;

დ) კანონით დადგენილი წესით ამზადებს ბრძანების პროექტს უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და საპენსიო უზრუნველყოფაზე გადაყვანის შესახებ;

ე) უზრუნველყოფს სამსახურში ახლად დანიშნულ თანამშრომელთა მიერ საჯარო მოსამსახურის ფიცის დადებისა და შინაგანაწესის გაცნობის შესახებ ხელწერილების ჩამორთმევას;

ვ) კონტროლს უწევს სამხედრო აღრიცხვიანობას;

ზ) აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან გამოითხოვს საჭირო მონაცემებსა და მასალებს;

თ) აწარმოებს მიმოწერებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ი) გასცემს აპარატის თანამშრომელთა პირადობის მოწმობებს.

5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორის მთავარი კონსულტანტი:

ა) ხელმძღვანელობს სექტორის საქმიანობას;

ბ) იღებს მოქალაქეებს და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უწევს იურიდიულ კონსულტაციას;

გ) კოორდინაციას უწევს პალატების სამდივნოებთან მოქალაქეთა ურთიერთობას;

დ) მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს;

ე) კოორდინაციას უწევს მთავარი სპეციალისტების (საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში), შიკრიკებისა და დამხმარე მოსამსახურეების (სასამართლო საქმეთა გაცნობის საკითხებში) საქმიანობას.

6. საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორის მთავარი სპეციალისტი უზრუნველყოფს:

ა) შემოსული და გასაგზავნი სასამართლო საქმეებისა და კორესპონდენციების აღრიცხვასა და ადრესატებისათვის დაგზავნა-გადაცემას;

ბ) დაინტერესებული პირებისათვის (მოქალაქეებისათვის) საქმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

გ) შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფისათვის წინადადებების შეიმუშავებას;

დ) სტატისტიკური ცნობების შედგენას.

7. საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორის დამხმარე მოსამსახურეები - შიკრიკები უზრუნველყოფს

ოფენ მასალების დაგზავნა - დატარებას;

8. საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორის დამხმარე მოსამსახურეები სასამართლო საქმეთა გაცნობის საკითხებში უზრუნველყოფენ მასალებისა და დოკუმენტების კანონით დადგენილი წესით მხარეებისათვის გაცნობას, ამის თაობაზე შესაბამისი რეესტრის წარმოებას;

9. მთავარი სპეციალისტ - მთარგმნელი უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და სხვა საპროცესო დოკუმენტების, კორესპონდენციების თარგმანს.

10. მთავარი სპეციალისტ - საარქივო საქმისმწარმოებელი თავის საქმიანობას წარმართავს საარქივო კანონმდებლობისა და ამ რეგლამენტის საფუძველზე;

11. განყოფილებას აქვს მრგვალი ბეჭედი წრეზე წარწერით: „საქართველოს უზენაესი სასამართლო“, შუაში: „სამივილინებო მოწმობისათვის“, მრგვალი ბეჭედი წრეზე წარწერით: „საქართველოს უზენაესი სასამართლო“, შუაში: „კადრების სამსახური“, შტამპი წარწერით: „საქართველოს უზენაესი სასამართლო“.

მუხლი 6. საერთო განყოფილების სტრუქტურული ქვედანაყოფები -სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა, ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებისა და სადისციპლინო კოლეგიის სამდივნოები და მათი კომპეტენცია

1. პალატების სამდივნოები საქმისმწარმოებას ახორციელებენ "საერთო სასამართლოების შესახებ" და "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონებით, შესაბამისად - საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების, უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებისა და ამ რეგლამენტის საფუძველზე;

2. პალატებისა და სადისციპლინო კოლეგიის სამდივნოების საქმიანობას ხელმძღვანელობს საერთო განყოფილების უფროსი, ხოლო საერთო კონტროლს ახორციელებს უზენაესი სასამართლოს აპარატის უფროსი;

3. პალატების სამდივნოს ქმნიან: სამდივნოს უფროსები, მოსამართლის თანაშემწეები, რეფერენტები, სხდომის მდივნები, მთავარი სპეციალისტები, სპეციალისტ - რედაქტორები, პალატების თავმჯდომარეთა მთავარი სპეციალისტ - რეფერენტები, სპეციალისტ - მბეჭდავები.

4. სადისციპლინო კოლეგიის სამდივნოს ქმნიან: მთავარი კონსულტანტი და მთავარი სპეციალისტი.

მუხლი 7. პალატების სამდივნოები

1. სამდივნოების მუშაობის ძირითადი ამოცანებია:

- ა) დოკუმენტების სწორი აღრიცხვა და ოპერატიული გადაცემა;
- ბ) შემოსული და გასული დოკუმენტების რეგისტრაცია;
- გ) დოკუმენტების შენახვის უზრუნველყოფა;
- დ) სტატისტიკური ანგარიშების შედგენა;
- ე) ყოველკვარტალური და წლიური ინფორმაციის წარდგენა;
- ვ) შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის სრულყოფა.

2. სამდივნოში შემოდის:

- ა) საკასაციო და კერძო საჩივრები;
- ბ) განცხადებები გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ;
- გ) შუამდგომლობები უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ;
- დ) გენერალური პროკურორის წარდგინებები ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ;
- ე) სხვა სახის განცხადებები და მასალები.

3. მეორე პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებში მითითებული საჩივრები და განცხადებები აღირიცხება საბარათო სისტემით და ანბანური წესით განმცხადებელთა გვარების მიხედვით. „ე“ ქვეპუნქტში მითითებული განცხადებები და მასალები რეგისტრაციის ჟურნალში აღირიცხება ანბანური წესით.

4. განსახილველი საქმეები და განცხადებები (ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო) ნაწილდება რიგითობის მიხედვით, რაც გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით, რომლებიც გადაეცემა მოსამართლის თანაშემწეებს.

5. შემოსული საქმეები და განცხადებები აღირიცხება შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში, რომელშიც აისახება ყველა საჭირო ინფორმაცია მათი მოძრაობისა და განხილვის შედეგების შესახებ.

6. სამდივნოს უფროსი:

ა) წარმართავს საქმისწარმოებას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციების, საჩივრების, განცხადებების დროულად განხილვას და ოპერატიულად გადაცემას სათანადო პირთათვის;

ბ) ხელმძღვანელობს სამდივნოს საქმიანობას და ანგარიშვალდებულია პალატის თავმჯდომარისა და საერთო განყოფილების უფროსის წინაშე;

გ) უზრუნველყოფს განსახილველ საქმეთა განრიგების შედგენას და მათ გამოქვეყნებას, მათ გადაცემას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, პალატის თავმჯდომარისა და პრესსამსახურისათვის;

დ) უზრუნველყოფს მოსამართლის თანაშემწეებისგან საქმეებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის მიღებას და კონტროლს უწევს კომპიუტერის შესაბამის პროგრამაში მათ დროულ შეტანას;

ე) უზრუნველყოფს სასამართლო სხდომების დამთავრების შემდეგ სხდომის მდივნებისაგან ინფორმაციის მიღებას და თითოეულ საქმეზე მიღებული ყოველგვარი გადაწყვეტილების შესახებ (საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, გადადება, შეწყვეტა, შეჩერება და ა.შ.) ინფორმაციის კომპიუტერის შესაბამის პროგრამაში შეტანას;

ვ) კვირის პირველ სამუშაო დღეს პალატის თავმჯდომარესა და საერთო განყოფილების უფროსს აწვდის ინფორმაციას სამდივნოში არსებული მდგომარეობის შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას კანონით დადგენილი წესით;

თ) კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით აკონტროლებს საქმეთა განხილვის, გადაწყვეტილებების (განჩინებების) შედგენის, განხილულ საქმეთა გაგზავნის კანონით დადგენილი ვადების დაცვას და მოახსენებს პალატის თავმჯდომარესა და საერთო განყოფილების უფროსს;

ი) მოსამართლის თანაშემწეებს უნაწილებს სამდივნოში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებს (საჩივრები, წერილები), მაშინაც კი, როდესაც ისინი არ უკავშირდება მოსამართლის წარმოებაში არსებულ კონკრეტულ საქმეს.

7. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა და ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატების მოსამართლის თანაშემწე ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომაზე განსახილველად,

კერძოდ:

ა) რეგისტრაციის ჟურნალში აღრიცხავს სამდივნოდან მიღებულ საქმეებს (შემოსვლის თარიღი, საქმის ნომერი, საჩივრის ავტორი და მოწინააღმდეგე მხარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება) და მისი მიმღები სასამართლოს დასახელება განმხილველი შემადგენლობის მითითებით, ინფორმაცია სახელმწიფო ბაჟის შესახებ, საჩივრის წარმოებაში მიღებისა და განსახილველად დანიშვნის თარიღი, ფაქტობრივი განხილვის თარიღი და შედეგი, სამდივნოში დაბრუნების თარიღი) საქმის მოძრაობის შესახებ ყველა მონაცემის შემდგომი მითითებით;

ბ) სსსკ-ის 401-ე მუხლით დადგენილ ვადაში ამოწმებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს. შემოწმების შედეგად:

თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს სსსკ-ის 393-ე, 396-ე მუხლების მოთხოვნებს, ადგენს მისი წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების პროექტს და გადასცემს მოსამართლეს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს უგზავნის საკასაციო საჩივრისა და თანდართული მასალების ასლებს. მოწინააღმდეგე მხარის მიერ წერილობითი პასუხის წარმოდგენის შემთხვევაში პასუხისა და თანდართული მასალების ასლებს უგზავნის კასატორს. უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტების ასლების მხარეებისათვის დროულად მიწოდებას;

გ) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მოსამართლესთან შეთანხმებით, ადგენს განჩინების პროექტს ხარვეზის შევსების შესახებ და უზრუნველყოფს აღნიშნული განჩინების ასლის კასატორისათვის (კერძო საჩივრის ავტორისათვის) დროულად გაგზავნას;

დ) თუ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, ადგენს განჩინების პროექტს საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და წარუდგენს მოსამართლეს;

ე) საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს სამი დღისა, ატყობინებს მხარეებს სხდომის დღეს (ადგილის, თარიღისა და დროის მითითებით), კონტროლს უწევს კანონით დადგენილი წესით სასამართლო უწყებების გაგზავნას და სასამართლო სხდომამდე 7 დღით ადრე საფოსტო განყოფილებაში ამოწმებს მხარეებისთვის გაგზავნილი უწყებების ჩაბარების შესახებ შეტყობინების არსებობას (სავალდებულო შემოწმება ფოსტის მეშვეობით). შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მხარეებისთვის საქმის განხილვის თარიღის შესახებ ინფორმაციის განმეორებით მიწოდებას;

ვ) განსახილველად დანიშნულ საქმეზე, მისი წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, ადგენს დავის მოკლე შინაარსის ამსახველ ფაბულას და შეაქვს განსახილველად დანიშნული საქმეების საერთო ცხრილში;

ზ) თანამემწე იღებს მოქალაქეებს, უზრუნველყოფს შემოსულ განცხადებებსა და კორესპონდენციებზე პასუხებისა და შესაბამისი საპროცესო დოკუმენტების პროექტების მომზადებას და შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას შესაბამის პირთათვის;

თ) რეგისტრაციის ჟურნალის მიხედვით აკონტროლებს საქმეთა განხილვის ვადებს, რაზედაც პირადად აგებს პასუხს და მოსალოდნელი დარღვევების თავიდან ასაცილებლად აცნობებს მოსამართლესა და სამდივნოს;

ი) ამოწმებს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობათა დასაშვებობას, ადგენს შესაბამისი საპროცესო დოკუმენტების პროექტებს და წარუდგენს მოსამართლეს;

კ) ამოწმებს გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებების დასაშვებობას და ახსენებს მოსამართლეს; შესაბამისად ადგენს საპროცესო დოკუმენტების პროექტებს;

ლ) მხარის ან მისი წარმომადგენლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საქმეს, მისი გაცნობის

მიზნით, აბარებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორს;

მ) მოსამართლის თანაშემწესა და უზენაესი სასამართლოს სხვა მოხელეს უფლება არა აქვთ, სასამართლოს შენობიდან გაიტანონ საქმე მისი გაცნობის ან ქსეროასლის გადაღების მიზნით. მხარეებისათვის (მესამე პირების, მათი წარმომადგენლებისათვის) საქმის გაცნობა უნდა მოხდეს სასამართლოს შენობაში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში;

ნ) მოსამართლის თანაშემწე და უზენაესი სასამართლოს სხვა მოხელე საკასაციო საჩივარს, გადაწყვეტილებას (განჩინებას) ან სხვა პროცესუალურ დოკუმენტებს მხარეს (მესამე პირს, მათ წარმომადგენელს) გადასცემენ უზენაესი სასამართლოს მისაღების უფლებამოსილი პირის მეშვეობით, რომელიც დადგენილი წესით (სათანადო ხელწერილის ჩამორთმევით) მათ აბარებს ადრესატს;

ო) საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შემთხვევაში მხარეს, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უგზავნის დასაბუთებული გადაწყვეტილების (განჩინების) ასლს, ხოლო, ზეპირი განხილვის გარეშე საქმის განხილვის შემთხვევაში, მხარეებს წინასწარ (საქმის განხილვამდე) ატყობინებს სასამართლოს მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესახებ და უგზავნის დასაბუთებული გადაწყვეტილების (განჩინების) ასლებს (სავალდებულო გაგზავნა);

პ) საქმის მოძრაობასთან დაკავშირებულ ყველა სახის მონაცემს (ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადა და ხარვეზის მიზეზი; წარმოებაში მიღების თარიღი და განსახილველად დანიშნვის თარიღი) აწვდის პალატის სამდივნოს და პასუხისმგებელია მათ სისწორეზე;

ჟ) უზრუნველყოფს საქმის განხილვიდან 14 დღის ვადაში მოსამართლის მიერ შედგენილი გადაწყვეტილების (განჩინების) რეგისტრაციას სამართლებრივი ინფორმატიზაციის განყოფილებაში და მათი ასლების დროულად ჩაბარებას სამდივნოში;

რ) მოსამართლის მიერ მითითებულ კონკრეტულ საქმეზე ადგენს სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) პროექტს. ამ მიმართებით მოსამართლის დავალებით მოიძიებს სათანადო სამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკის მასალებს;

ს) თუ საქმეზე გამოტანილია გადაწყვეტილება (განჩინება), რომელიც ექვემდებარება აღსრულებას, სათანადო წესის დაცვით ადგენს სააღსრულებო ფურცლის პროექტს და წარუდგენს მოსამართლეს;

ტ) საქმეში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აკერებს: საცნობარო ფურცელს, განჩინებას (გადაწყვეტილებას), სასამართლო სხდომის ოქმს, საქმეზე თანდართულ დოკუმენტებს;

ფ) ნომრავს საქმის ფურცლებს და საცნობარო ფურცელზე აფიქსირებს საქმეში არსებული დოკუმენტების ნუსხას ფურცლების ნომრების მითითებით;

ქ) საქმის განხილვიდან 30 დღის ვადაში უზრუნველყოფს საკასაციო წარმოების მასალებთან ერთად შეკერილი საქმის ჩაბარებას პალატის სამდივნოში;

ღ) ყოველი კვარტლის ბოლოს ახდენს მოსამართლის მიერ გაწეული მუშაობის სტატისტიკურ აღრიცხვას, უზრუნველყოფს მონაცემების მიწოდებას სამდივნოსათვის და პასუხისმგებელია მათ სისწორეზე;

ყ) მოსამართლესთან შეთანხმებით ამზადებს პასუხებს (შუალედური პასუხი ან/და საბოლოო პასუხი) შემოსულ განცხადებებზე, შუამდგომლობებზე, რეკომენდაციებსა და მომართვებზე, მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში და უზრუნველყოფს მათი შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას (შუალედური პასუხის ან/და საბოლოო პასუხის ასლი) სათანადო პირთათვის (თუ კორესპონდენცია შესასრულებლად გადაცემულია თავმჯდომარის ბიუროს მეშვეობით, შესრულების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა თავმჯდომარის ბიუროს და პალატის სამდივნოს; სხვა დანარჩენ კორესპონდენციაზე კი – პალატის სამდივნოს);

შ) ასრულებს მოსამართლის სხვა სამსახურებრივ დავალებებს.

8. სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწე:

ა) რეგისტრაციის ჟურნალში აღრიცხავს სამდივნოდან მიღებულ საქმეებს შემოსვლის თარიღის, საქმის ნომრის, მსჯავრდებულის გვარის, ქმედების კვალიფიკაციის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანი სასამართლოს, პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა და შედეგის, საქმის სამდივნოში დაბრუნების თარიღის მითითებით;

ბ) ამზადებს ჩასანიშნ საქმეებს სასამართლო სხდომაზე განსახილველად და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას აწვდის სამდივნოს;

გ) აღგენს განსახილველ საქმეთა ფაბულას და აწვდის სამდივნოს;

დ) უზრუნველყოფს მხარეთათვის საქმის მასალების გაცნობასა და შესაბამისი დოკუმენტების ასლების გაცემას;

ე) მსჯავრდებულის მოთხოვნისა და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე უზრუნველყოფს მსჯავრდებულის წარმოდგენას პალატის სხდომაზე და მის დაბრუნებას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში;

ვ) საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში ატყობინებს მხარეებს სხდომის დღეს (ადგილის, თარიღისა და დროის მითითებით), უზრუნველყოფს სასამართლო უწყების დროულად გაგზავნას;

ზ) იღებს მოქალაქეებს, უზრუნველყოფს შემოსულ განცხადებებსა და კორესპონდენციებზე პასუხების მომზადებას. მოსამართლის მითითებით ამზადებს სასამართლო გადაწყვეტილებისა და სხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტებს. ამ მიმართებით მოიძიებს სათანადო სამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკის მასალებს;

თ) თუ საქმეზე გამოტანილია განჩინება მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ, უზრუნველყოფს სათანადო დოკუმენტების დროულად გაგზავნას შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში;

ი) საქმის განხილვიდან 14 დღის ვადაში უზრუნველყოფს პალატის განჩინების რეგისტრაციას სამართლებრივი ინფორმატიზაციის განყოფილებაში და განჩინების ასლების ჩაბარებას სამდივნოში;

კ) მოსამართლის თანაშემწესა და უზენაესი სასამართლოს სხვა მოხელეს უფლება არა აქვთ, სასამართლოს შენობიდან გაიტანონ საქმე მისი გაცნობის ან ქსეროასლის გადადების მიზნით. მხარეებისათვის საქმის გაცნობა უნდა მოხდეს სასამართლოს შენობაში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში;

ლ) მოსამართლის თანაშემწე და უზენაესი სასამართლოს სხვა მოხელე საკასაციო საჩივარს, განჩინებას ან სხვა პროცესუალურ დოკუმენტებს მხარეს გადასცემენ უზენაესი სასამართლოს მისაღების უფლებამოსილი პირის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს დადგენილი წესით (სათანადო ხელწერილის ჩამორთმევით) მათ ჩაბარებას ადრესატისათვის;

მ) საქმეში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აკერებს: საცნობარო ფურცელს, განჩინებას (გადაწყვეტილებას), სასამართლო სხდომის ოქმს, საქმეზე თანდართულ დოკუმენტებს;

ნ) ნომრავს საქმის ფურცლებს და საცნობარო ფურცელზე აფიქსირებს საქმეში არსებული დოკუმენტების ნუსხას ფურცლების ნომრების მითითებით;

ო) საქმის განხილვიდან 30 დღის ვადაში უზრუნველყოფს საკასაციო წარმოების მასალებთან ერთად შეკერილი საქმის ჩაბარებას პალატის სამდივნოში;

პ) ასრულებს მოსამართლისა სხვა სამსახურებრივ დავალებებს.

9. რეფერენტი:

ა) პალატის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საქმის განსახილველად მომზადებისა და საპრო-

ცესო დოკუმენტების პროექტების მომზადებასთან დაკავშირებულ საქმიანობას;

ბ) ეხმარება მოსამართლესა და თანაშემწეს მათი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებაში.

10. მთავარი სპეციალისტი: შემოსულ საქმეებს, განცხადებებსა და კორესპონდენციებს აღრიცხავს რეგისტრაციის ჟურნალებში, უზრუნველყოფს სათანადო პირთათვის მათ დროულ გადაცემას, შესაბამისად იღებს ინფორმაციას შესრულების შესახებ. შეაქვს კომპიუტერულ პროგრამაში საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაცია და პასუხისმგებელია მათ სისწორეზე. კერძოდ:

ა) მოსამართლის თანაშემწეებისაგან იღებს ინფორმაციას საქმის მოძრაობის შესახებ;

ბ) სხდომის მდივნებისაგან სასამართლო სხდომების დამთავრებისთანავე იღებს ინფორმაციას თითოეულ საქმეზე მიღებული ყოველგვარი გადაწყვეტილების შესახებ.

11. პალატების სპეციალისტ-რედაქტორები უზრუნველყოფენ საპროცესო დოკუმენტებისა და სხვა მასალების სტილისტურ გამართულობას, მათი გადაცემიდან არაუგვიანეს მეორე დღისა. კორექტირებულ მასალას მარჯვენა ზედა კუთხეში დაესმის ოთხკუთხედი ტვიფრი რედაქტორის სახელისა და გვარის მითითებით.

12. სპეციალისტ-მბეჭდავები უზრუნველყოფენ მასალის დაბეჭდვას გადაცემიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, რისთვისაც აწარმოებენ შესაბამის რეესტრს.

13. პალატების თავმჯდომარეთა მთავარი სპეციალისტ-რეფერენტები პასუხისმგებელი არიან საზოგადოებასთან ურთიერთობის კორექტულად წარმართვის, შესაბამისი პალატის თავმჯდომარის სამუშაო განრიგის დაცვისა და მიღებული დავალებების შესრულებაზე, შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვა-შესრულებაზე.

14. სხდომის მდივანი:

ა) სასამართლო სხდომის დაწყებამდე ამოწმებს, განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა, ჩაპბარდათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს უწყებები კანონით დადგენილი წესით და რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ;

ბ) კანონით განსაზღვრული წესით ადგენს სასამართლო სხდომის ოქმს, რომელიც უნდა დაიბეჭდოს და ხელმოწერილ იქნეს სხდომის დამთავრების ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულებიდან არაუგვიანეს 3 დღეში;

გ) სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ, იმავე დღეს, თითოეულ საქმეზე მიღებული ყოველგვარი გადაწყვეტილების თაობაზე (საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, გადადება, შეწყვეტა, შეჩერება და სხვ.) შესაბამის ინფორმაციას აწვდის პალატის სამდივნოს, საქმის განმხილველ მოსამართლეთა თანაშემწეებს და პასუხისმგებელია მათ სისწორეზე;

დ) სხდომის მდივანი, მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, თავისი ხელმოწერით ადასტურებს სამიწვინებო მოწმობას, გასცემს ცნობას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მხარის (მესამე პირის, მათი წარმომადგენლის) გამოცხადების შესახებ და პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციის სისწორეზე.

მუხლი 8. სადისციპლინო კოლეგიის სამდივნო

1. საქმისწარმოებას წარმართავს მთავარი კონსულტანტი, რომელიც ხელმძღვანელობს სამდივნოს საქმიანობას და პასუხისმგებელია სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის წინაშე.

2. სამდივნოს მუშაობის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამდივნოში შემოსული და გასული საქმეებისა და დოკუმენტების (საჩივრების, განცხადებების, მიმართვების, წერილებისა და სხვ.) რეგისტრაცია;

ბ) მათი სწორი აღრიცხვა და შესაბამისი პირებისთვის (მოსამართლეებისთვის, მხარეებისთვის და ა.შ) ოპერატიული გადაცემა;

- გ) დოკუმენტების შენახვის უზრუნველყოფა;
- დ) სტატისტიკური ანგარიშების შედგენა;
- ე) ყოველკვარტალური და წლიური ინფორმაციის წარდგენა.

3. სადისციპლინო კოლეგიის მთავარი კონსულტანტი:

ა) უზრუნველყოფს სამდივნოში შემოსული დისციპლინური საქმეების რეგისტრაციასა და სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარისათვის მათი შემდგომი განაწილების მიზნით გადაცემას; განაწილების შემდეგ საქმეების მოსამართლეთათვის გადაცემას;

ბ) უზრუნველყოფს სამდივნოში შემოსულ საქმეთა აღრიცხვასა და მათთან დაკავშირებულ მიმოწერას;

გ) უზრუნველყოფს სამდივნოში შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და წერილების რეგისტრაციას, აღრიცხვას და მათზე კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით რეაგირებას;

დ) განსახილველად ამზადებს დისციპლინურ საქმეს, რეგისტრაციის ჟურნალში აღრიცხავს სასამართლოს მისაღებიდან მიღებულ საქმეებს (შემოსვლის თარიღი, საქმის ნომერი, საჩივრის ავტორი და მოწინააღმდეგე მხარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მისი მიძღები ორგანოს დასახელება) საქმის მოძრაობის შესახებ ყველა მონაცემის შემდგომი მითითებით;

ე) „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონით დადგენილ ვადაში ამოწმებს საჩივრის დასაშვებობის საკითხს. თუ საჩივარი აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნებს, ადგენს მისი წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების პროექტს და გადასცემს მოსამართლეს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს უგზავნის საჩივრისა და თანდართული მასალების ასლებს. მოწინააღმდეგე მხარის მიერ წერილობითი პასუხის წარმოდგენის შემთხვევაში პასუხისა და თანდართული მასალების ასლებს უგზავნის საჩივრის ავტორს. უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტების ასლების მხარეებისათვის დროულად გადაცემას;

ვ) თუ არ არსებობს საჩივრის დასაშვებობის კანონით დადგენილი პირობა, ადგენს განჩინების პროექტს საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და წარუდგენს მოსამართლეს;

ზ) უზრუნველყოფს მხარეებისათვის საქმის განხილვის თარიღის შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდებას;

თ) ვალდებულია, სადისციპლინო კოლეგიის წევრთა დავალებით მოიწვიოს შესაბამისი პირები სხდომაზე დასასწრებად და მასში მონაწილეობის მისაღებად;

ი) მხარის ან მისი წარმომადგენლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საქმეს, მისი გაცნობის მიზნით, აბარებს მოქალაქეთა მისაღების სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

კ) უფლება არა აქვს, სასამართლოს შენობიდან გაიჭანოს საქმე მისი გაცნობის ან ქსეროასლის გადაღების მიზნით. მხარეებისათვის (მესამე პირების, მათი წარმომადგენლებისათვის) საქმის გაცნობა უნდა მოხდეს სასამართლოს შენობაში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში;

ლ) უზრუნველყოფს კოლეგიაში შემოსულ განცხადებებსა და კორესპონდენციებზე პასუხებისა და შესაბამისი საპროცესო დოკუმენტების პროექტების მომზადებას და შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას შესაბამის პირთათვის;

მ) რეგისტრაციის ჟურნალის მიხედვით აკონტროლებს საქმეთა განხილვის ვადებს, რაზედაც პირადად აგებს პასუხს და მოსალოდნელი დარღვევების თავიდან ასაცილებლად აცნობებს სადისციპლინო კოლეგიის წევრებს.

ნ) საჩივარს, გადაწყვეტილებას (განჩინებას) ან სხვა პროცესუალურ დოკუმენტებს მხარეს (მათ წარმომადგენელს) გადასცემს უზენაესი სასამართლოს მისაღების უფლებამოსილი პირის მეშვეობით, რომელიც დადგენილი წესით (სათანადო ხელწერილის ჩამორთმევით) მათ აბარებს ადრესატს;

ო) ამზადებს სასამართლო აქტების (გადაწყვეტილებების, განჩინებების) პროექტებს;

პ) ვალდებულია, დაიცვას დისციპლინურ საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა,

ჟ) კოორდინაციას უწევს კოლეგიის სამდივნოს მუშაობას;

რ) უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას კანონით დადგენილი წესით;

ს) ასრულებს სადისციპლინო კოლეგიის წევრთა სხვა სამსახურებრივ დავალებებს, მათ შორის სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის დავალებით სადისციპლინო კოლეგიის მთავარი სპეციალისტის უფლებამოსილებას – მხოლოდ მისი არყოფნის შემთხვევაში.

4. მთავარ სპეციალისტს ევალება:

ა) აწარმოოს სადისციპლინო კოლეგიის სხდომის ოქმი და შესაბამისად, განახორციელოს ამ რეგლამენტით სხდომის მდივნისთვის გათვალისწინებული ყველა უფლებამოსილება;

ბ) უზრუნველყოს მხარეებისათვის საქმის განხილვის თარიღის შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდება, სხდომის დღის შესახებ ხელწერილის ჩამორთმევა, მხარეებისთვის სასამართლო უწყებების (დეპეშები) დაგზავნა;

გ) იზრუნოს დისციპლინური საქმეებისა და სხვა მასალების სათანადოდ შენახვასა და დაცვაზე;

დ) დაიცვას დისციპლინურ საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

ე) უზრუნველყოს განსახილველი საქმეების განრიგის წარმოებას;

ვ) ვალდებულია, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლები გაუგზავნოს დისციპლინური სამართალწარმოების მონაწილეებს;

ზ) შეასრულოს სადისციპლინო კოლეგიის წევრების დავალებები; ხოლო მთავარი კონსულტანტის არყოფნის შემთხვევაში კოლეგიის თავმჯდომარის დავალებით - მისი უფლებამოსილება.

5. განსახილველი საქმეები (საჩივრები) ნაწილდება რიგითობის მიხედვით და სადისციპლინო კოლეგიის (პალატის) თავმჯდომარის წერილობითი მითითებით გადაეცემა სადისციპლინო კოლეგიის წევრებს (მოსამართლებებს).

მუხლი 9. სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

1. სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება (შემდგომში "განყოფილება") შედგება: სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, პერიოდული გამოცემების, საბიბლიოთეკო სექტორებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრისაგან.

2. სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილებას ქმნიან: განყოფილების უფროსი, მთავარი კონსულტანტები, კონსულტანტები და სპეციალისტები.

3. განყოფილების უფროსი:

ა) ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, შეიმუშავებს კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც აისახებიან კვარტალურ, ყოველწლიურ სამუშაო გეგმაში;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს განყოფილების თანამშრომელთა შორის;

გ) უზრუნველყოფს ცალკეული კატეგორიის საქმეებზე (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის

სამართლის) სასამართლო პრაქტიკის მასალების სისტემატიზაციას;

გ) ამზადებს სისტემატიზებულ მასალებს პერიოდულ გამოცემებში გამოსაქვეყნებლად;

დ) შეისწავლის და აანალიზებს განყოფილების საქმიანობას, შეიმუშავებს წინადადებებს განყოფილების სრულყოფის მიზნით;

ე) უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას კანონით დადგენილი წესით;

ვ) საკანონმდებლო ცვლილებების შესწავლისა და სწორი გამოყენების მიზნით, ორგანიზაციას უწევს ტრენინგების ჩატარებას;

ზ) კოორდინირებას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, პერიოდული გამოცემების, საბიბლიოთეკო სექტორებსა და ადამიანის უფლებათა ცენტრს.

4. სასამართლო პრაქტიკის შესწავლის სექტორი:

ა) უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის მასალების სისტემატიზაციას;

ბ) შეისწავლის კონკრეტულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკას და აანალიზებს (განაზოგადებს) მას;

გ) უზრუნველყოფს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე შესაბამისი იურიდიული ლიტერატურის მოძიებას, დამუშავებასა და შესწავლას.

5. სასამართლო პრაქტიკის შესწავლის სექტორის საქმიანობა კოორდინირებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განყოფილებებისა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობასთან.

6. სასამართლო პრაქტიკის შესწავლის სექტორს ქმნიან: მთავარი კონსულტანტი და კონსულტანტები.

7. სასამართლო პრაქტიკის შესწავლის სექტორის მთავარი კონსულტანტი:

ა) ახორციელებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების (განჩინებების) დარგობრივ სისტემატიზაციას;

ბ) შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას ცალკეული კატეგორიის საქმეებზე (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართალი);

გ) სისტემატურად აბარებს ანგარიშს განყოფილების უფროსს შესრულებული სამუშაოს შესახებ;

დ) აკონტროლებს კონსულტანტების საქმიანობას შესრულებული სამუშაოს სრულყოფის მიზნით;

ე) სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნებსა და წინადადებებს;

ვ) მონაწილეობს სემინარულ და საკონსულტაციო მუშაობაში.

8. სასამართლო პრაქტიკის შესწავლის სექტორის კონსულტანტები:

ა) ახორციელებენ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების (განჩინებების) დარგობრივ სისტემატიზაციას;

ბ) შეისწავლიან კონკრეტულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკას;

გ) ამზადებენ დასკვნებს განზოგადებულ მასალებზე.

9. პერიოდული გამოცემის სექტორი:

ა) ახორციელებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების, მისი ყოველწლიური კრებულების (ბეჭდვითი და ელექტრონული ვერსიით) გამოქვეყნებას ქართულ და სხვა ენებზე;

ბ) უზრუნველყოფს სხვა კრებულების, წიგნების, ჟურნალების, ბროშურებისა და სტატიების გამოქვეყნებას.

10. პერიოდული გამოცემის სექტორს ქმნიან: მთავარი კონსულტანტი, კონსულტანტი და სპეციალისტ-რედაქტორი.

11. პერიოდული გამოცემის სექტორის მთავარი კონსულტანტი:

ა) ხელმძღვანელობს პერიოდული გამოცემის სექტორს;

- ბ) უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას;
 - გ) ახორციელებს კოორდინირებულ საქმიანობას აპარატის სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან;
 - დ) ორგანიზაციას უწევს პერიოდული გამოცემების გავრცელებას;
 - ე) ახორციელებს სხვა კრებულების, წიგნების, ჟურნალების, ბროშურებისა და სტატიების გამოქვეყნებას.
12. პერიოდული გამოცემის სექტორის კონსულტანტი:
- ა) ასრულებს მთავარი კონსულტანტის დავალებებს;
 - ბ) ამოწმებს სპეციალისტის მიერ შესრულებულ სამუშაოს;
 - გ) უზრუნველყოფს კომპიუტერული ვერსიის საბოლოო მომზადებას (მასალების მოძიება, ტექსტის შეყვანა, დაკაბადონება და სხვა).
13. პერიოდული გამოცემის სექტორის სპეციალისტ-რედაქტორი:
- ა) ასრულებს მთავარი კონსულტანტის დავალებებს;
 - ბ) ახორციელებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების რედაქტირებას, კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის შექმნას;
 - გ) უზრუნველყოფს პერიოდული გამოცემების მასალების მოპოვებას როგორც საერთო სასამართლოდან, ასევე სახელმწიფო ან კერძო სხვა სტრუქტურებიდან;
 - დ) უზრუნველყოფს პერიოდული გამოცემების გავრცელებას.
14. ადამიანის უფლებათა ცენტრს ქმნიან: კონსულტანტი და სპეციალისტი.
15. ადამიანის უფლებათა ცენტრის კონსულტანტი:
- ა) ანალიზებს, განაზოგადებს და განავრცობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკას;
 - ბ) ამზადებს ანალიტიკურ მასალებს;
 - გ) ყოველი კვარტლის ბოლოს ადგენს ანგარიშს შესრულებულ სამუშაოს შესახებ და წარუდგენს განყოფილების უფროსს.
16. ადამიანის უფლებათა ცენტრის სპეციალისტი:
- ა) მოიპოვებს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის მასალებს;
 - ბ) ამზადებს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მასალებს გამოსაქვეყნებლად;
 - გ) ასრულებს განყოფილების უფროსის სხვა დავალებებს.
17. საბიბლიოთეკო სექტორი საქმიანობას წარმართავს „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონითა და უზენაესი სასამართლოს რეგლამენტის საფუძველზე.
18. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და აპარატის მოხელეთათვის, იურისტთა ფართო წრისათვის იურიდიული ლიტერატურისა და საკანონმდებლო მასალების მოძიებასა და მიწოდებას, ინტერნეტის მეშვეობით მოძიებული მასალების ცნობარების შედგენასა და შესაბამისი კატალოგების შექმნას.
19. ბიბლიოთეკის მომსახურების ძირითადი ამოცანებია:
- ა) მკითხველთა სწრაფი და სრული უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით;
 - ბ) შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და მათი მიწოდება მკითხველისათვის.
20. უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკას ქმნიან: საბიბლიოთეკო სექტორის ხელმძღვანელ – კონსულტანტი და ბიბლმცოდნე – სპეციალისტი-ბიბლმცოდნე.

21. საბიბლიოთეკო სექტორის ხელმძღვანელ – კონსულტანტი:

- ა) ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას ბიბლიოთეკის საქმიანობაზე და ანგარიშვალდებულა განყოფილების უფროსის წინაშე;
- ბ) განყოფილების უფროსს წარუდგენს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების დასაბუთებულ პროგრამას;
- გ) სისტემატურად ამდიდრებს ფონდებს პროფილის შესაბამისი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით და ოპერატიულად უზრუნველყოფს მათ ასახვას ბიბლიოთეკის საცნობარო-საძიებო საშუალებებში;
- დ) აწარმოებს საბიბლიოთეკო სტატისტიკას;
- ე) ადგენს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს;
- ვ) იღებს შესაბამის ზომებს იმ პირობაში, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს ან მატერიალურ ზარალს აყენებენ მას;
- ზ) მონაწილეობს კომპიუტერული პროგრამებისათვის ამოცანების შემუშავებასა და დანერგვაში, საინფორმაციო ბაზის შევსებაში.

22. სპეციალისტი-ბიბლმცოდნე:

- ა) უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და აპარატის მოხელეთათვის, პროკურორებისა და ადვოკატებისათვის, იურისტთა ფართო წრისათვის იურიდიული ლიტერატურისა და საკანონმდებლო მასალების მოძიებასა და მიწოდებას, ინტერნეტის მეშვეობით მოძიებული მასალების ცნობარების შედგენასა და შესაბამისი კატალოგების შექმნას;
- ბ) უზრუნველყოფს მკითხველთა მომსახურების მაღალ დონეს, მათი ინტერესების შესწავლისა და საბიბლიოთეკო რესურსების კოპირირების საფუძველზე;
- გ) მკითხველს გააცნობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს;
- დ) ახდენს ბიბლიოთეკაში მკითხველთა ჩაწერას.

მუხლი 10. სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილება

1. სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილებას ქმნიან: განყოფილების უფროსი, უფროსი კონსულტანტი ინფორმატიზაციის დარგში, კონსულტანტ-პროგრამისტი, კონსულტანტ-ვებ-მასტერი, კონსულტანტი კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების დარგში, კონსულტანტი ამოცანების დანერგვისა და მონაცემთა ბაზების შევსების დარგში, უფროსი კონსულტანტი სტატისტიკის დარგში, კონსულტანტი სტატისტიკის დარგში, წამყვანი სპეციალისტი სტატისტიკის დარგში.

2. სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილება:

- ა) მონაწილეობს უზენაესი სასამართლოს ინფორმატიზაციის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამუშაოებში;
- ბ) ქმნის უზენაესი სასამართლოს ერთიან კომპიუტერულ ქსელს და შესაბამისი დაცვის სისტემას, უზრუნველყოფს ქსელის ფუნქციონირების კოორდინაციასა და ტექნიკურ ექსპლუატაციას;
- გ) უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს შესახებ ინფორმაციის განთავსებას ვებ-გვერდზე, სხვა ქვედანაყოფებთან ერთად მონაწილეობს ვებ-გვერდის შევსების გვერდის შედგენასა და განხორციელებაში, სრულყოფს ვებ-გვერდის პროგრამულ საშუალებებს, სისტემატურად უწევს კონსულტაციას ინტერნეტის ქსელში მოძიებაზე უზენაესი სასამართლოს წევრებსა და თანამშრომლებს საჭირო ინფორმაციის მოძიებაში;
- დ) ამუშავებს და ნერგავს უზენაეს სასამართლოში სამართალწარმოების კომპიუტერულ პროგრამებს,

ქმნის საინფორმაციო ბაზას, უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზებისა და პროგრამული საშუალებების განახლებასა და ადმინისტრირებას;

ე) იღებს და კომპიუტერზე ამუშავებს სასამართლოების კვარტალურ და წლიურ სტატისტიკურ ანგარიშებს, ადგენს კრებსით ანგარიშს და აანალიზებს სასამართლო სისტემის მუშაობის ძირითად მიმართულებებს; ახდენს სასამართლოებში შემოსულ და დამთავრებულ სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკური ბარათების კომპიუტერულ დამუშავებას. ამზადებს გამოსაცემად ყოველწლიურ სტატისტიკურ კრებულს "მართლმსაჯულება საქართველოში".

3. განყოფილების უფროსი:

ა) ახორციელებს განყოფილების საერთო ხელმძღვანელობასა და თანამშრომელთა მიერ შრომისა და სამემსრულებლო დისციპლინის დაცვაზე ზედამხედველობას;

ბ) ამზადებს უზენაეს სასამართლოში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დამუშავებისა და დანერგვის გეგმებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას;

გ) უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემების უწყვეტ ფუნქციონირებას;

დ) ორგანიზაციას უწევს მოსამართლეებისა და აპარატის თანამშრომელთა კომპიუტერზე მუშაობისა და პროგრამული სისტემების შესწავლას;

ე) სახაკვს ამოცანებს სამართალწარმოების კომპიუტერული პროგრამების დამუშავებისათვის, აანალიზებს შედგენილი კომპიუტერული პროგრამების ექსპლუატაციის შედეგებს, ხელმძღვანელობს დამუშავებული პროგრამების დანერგვის სამუშაოებს;

ვ) განაზოგადებს სასამართლო სტატისტიკის მონაცემებს და აანალიზებს სასამართლო სისტემის მუშაობის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს ყოველწლიური სტატისტიკური კრებულის "მართლმსაჯულება საქართველოში" გამოსაცემად მომზადებას;

ზ) უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

4. უფროსი კონსულტანტი ინფორმატიზაციის დარგში:

ა) უზრუნველყოფს უზენაეს სასამართლოში სამართალწარმოების კომპიუტერული პროგრამების დამუშავებას, დანერგვასა და ექსპლუატაციას;

ბ) მონაწილეობს უზენაესი სასამართლოს კომპიუტერული ქსელის დაპროექტებასა და დანერგვაში;

გ) საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ქსელის ოპერაციული სისტემის, მასზე ინსტალირებული სერვისების ადმინისტრირებას, ახალი ვერსიებით განახლებას, მომხმარებლების რეგისტრაციას;

დ) უზრუნველყოფს მრავალწერტილიანი კომპიუტერული ქსელისა და კომპიუტერული პარკის ტექნიკურ მეთვალყურეობას;

ე) ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკური ბარათების დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის კომპიუტერული პროგრამის დამუშავებასა და ექსპლუატაციას;

ვ) ახდენს კომპიუტერული ქსელის, ახალი ტექნიკური და პროგრამული საშუალებების დამონტაჟებასა და ინსტალაციას, შემოწმებას, დანერგვასა და ექსპლუატაციას;

ზ) აკონტროლებს აპარატურის მომწოდებელი ორგანიზაციების მიერ საგარანტიო პირობებით გათვალისწინებულ ურთიერთობათა შესრულებას;

თ) გამოავლენს კომპიუტერული სისტემებისა და პროგრამების ხარვეზებს და იღებს ზომებს მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად;

ი) უზრუნველყოფს ტექნიკური და სარემონტო მომსახურების ხარისხის შემოწმებას, მატერიალური რესურსების ხარჯვაზე კონტროლს და თანამშრომლებისათვის კომპიუტერზე მუშაობის სწავლებას;

კ) განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

5. კონსულტანტ-პროგრამისტი:

ა) მონაწილეობს კომპიუტერული პროგრამებისათვის ამოცანის შემუშავებასა და ტექნიკური დავალების შედგენაში, ამუშავებს და ნერგავს სამართალწარმოების კომპიუტერულ პროგრამებს საკასაციო პალატებისათვის;

ბ) ახდენს დანერგილი მონაცემთა ბაზებისა და კომპიუტერული პროგრამების თანხლებასა და ადმინისტრირებას, განსაზღვრავს მონაცემთა ბაზების მოცულობას, სტრუქტურას, კონტროლისა და შენახვის მეთოდებს;

გ) მონაწილეობს უზენაესი სასამართლოს კომპიუტერული ქსელის დაპროექტებასა და დანერგვაში;

დ) საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ქსელის ოპერაციული სისტემის, მასზე ინსტალირებული სერვისების ადმინისტრირებას, ახალი ვერსიებით განახლებას, მომხმარებლების რეგისტრაციას;

ე) უზრუნველყოფს მრავალწერტილიანი კომპიუტერული ქსელისა და კომპიუტერული პარკის ტექნიკურ მეთვალყურეობას;

ვ) ამუშავებს და ექსპლუატაციას უწევს სასამართლოების სტატისტიკური ანგარიშების კრებისით ფორმების მიღების კომპიუტერულ პროგრამებს;

ზ) ამუშავებს, ნერგავს და თანხლებას უწევს უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკის კომპიუტერულ პროგრამას;

თ) უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს თანამშრომლებისათვის კომპიუტერზე მუშაობისა და პროგრამული სისტემების სწავლებას.

6. კონსულტანტ-ვებ-მასტერი:

ა) უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს შესახებ ინფორმაციის განთავსებას ვებ-გვერდზე, სხვა ქვედანაყოფებთან ერთად მონაწილეობს ვებ-გვერდის შევსების გეგმის შედგენასა და განხორციელებაში;

ბ) სისტემატურად სრულყოფს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდის პროგრამულ საშუალებებს;

გ) კონსულტაციას უწევს ინტერნეტის ქსელში მომუშავე უზენაესი სასამართლოს წევრებსა და თანამშრომლებს საჭირო ინფორმაციის მოძიებაში;

დ) მონაწილეობს უზენაესი სასამართლოს კომპიუტერული ქსელის დაპროექტებასა და დანერგვაში;

ე) საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ქსელის ოპერაციული სისტემის, მასზე ინსტალირებული სერვისების ადმინისტრირებას, ახალი ვერსიებით განახლებას, მომხმარებლების რეგისტრაციას;

ვ) უზრუნველყოფს მრავალწერტილიანი კომპიუტერული ქსელისა და კომპიუტერული პარკის ტექნიკურ მეთვალყურეობას;

ზ) კონსულტანტ-პროგრამისტთან ერთად მუშაობს სამართალწარმოების კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების შექმნაზე, შემდგომში ამ ბაზების ინფორმაციის ინტერნეტში განთავსების მიზნით;

თ) უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს თანამშრომლებისათვის კომპიუტერზე მუშაობისა და პროგრამული სისტემების სწავლებას.

7. კონსულტანტი კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების დარგში:

ა) უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის მიმდინარე სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებასა და მათ გამართულ მუშაობას, დაზიანებული ან მოძველებული მოწყობილობების შეკეთება-განახლებას;

ბ) უზრუნველყოფს ექსპლუატაციაში ახლად შესყვანი მოწყობილობების, მათ შორის - კაპიტალური რემონტიდან, მიღებასა და შემოწმებას;

გ) მონაწილეობს უზენაესი სასამართლოს კომპიუტერული ქსელის დაპროექტებასა და დანერგვაში;

დ) საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ქსელის ოპერაციული სისტემის, მასზე ინსტალირებული სერვისების ადმინისტრირებას, ახალი ვერსიებით განახლებას, მომხმარებლების რეგისტრაციას;

ე) უზრუნველყოფს მრავალწერტილიანი კომპიუტერული ქსელისა და კომპიუტერული პარკის ტექნიკურ მეთვალყურეობას;

ვ) უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის მომხმარებელთა მუშა სადგურებზე ოპერაციული სისტემებისა და სისტემური პროგრამული საშუალებების ინსტალაციას.

8. კონსულტანტი ამოცანების დანერგვისა და მონაცემთა ბაზების შევსების დარგში:

ა) ასრულებს კომპიუტერული პროგრამების დანერგვისა და დანერგილ მონაცემთა ბაზების განახლებისა და ადმინისტრირების სამუშაოებს; უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს პალატების გადაწყვეტილებების კომპიუტერული ფაილების ბაზის ფორმირებასა და თანხლებას;

ბ) მონაწილეობს კომპიუტერული პროგრამებისათვის ამოცანის ჩამოყალიბებასა და ტექნიკური დავალების შედგენაში;

გ) უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს თანამშრომლებისათვის კომპიუტერზე მუშაობისა და პროგრამული სისტემების სწავლებას.

დ) ამზადებს და აკაბადონებს ინფორმაციას კომპიუტერზე;

ე) ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეთა ბარათების კომპიუტერულ დამუშავებას;

ვ) ახორციელებს სასამართლოების კვარტალური და წლიური ანგარიშების კომპიუტერზე დამუშავებას.

9. უფროსი კონსულტანტი სტატისტიკის დარგში:

ა) ამუშავებს საქართველოს საერთო სასამართლოების კვარტალურ და წლიურ სტატისტიკურ ანგარიშებს, ასევე ადგენს კრებსით ანგარიშებს და ანალიზებს სასამართლო სისტემის მუშაობის ძირითად მიმართულებებს;

ბ) უზენაესი სასამართლოს მუშაობის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ამზადებს ანალიტიკურ ცნობებს და წარუდგენს მას სასამართლოს ხელმძღვანელობას;

გ) უზრუნველყოფს სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი სამსახურებიდან სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის სისტემატურად მიღებას;

დ) უზრუნველყოფს სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოებისათვის სასამართლო სტატისტიკის მონაცემების მოთხოვნისამებრ მიწოდებას, აგრეთვე - დაინტერესებულ პირთათვის საჯარო სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდებას;

ე) ამზადებს მასალებს ყოველწლიური სტატისტიკური კრებულის "მართლმსაჯულება საქართველოში" გამოსაცემად;

ვ) შეიმუშავებს წინადადებებს სტატისტიკური ანგარიშების ფორმებისა და მათი შევსების ინსტრუქციების სრულყოფისა და შედგენისათვის;

ზ) მონაწილეობს სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამებისათვის ამოცანების შემუშავებასა და დანერგვაში.

10. კონსულტანტი სტატისტიკის დარგში:

ა) ადგენს უზენაეს სასამართლოში განხილულ საქმეებზე კვარტალური და წლიური სტატისტიკური ანგარიშების ფორმებს, ამზადებს, საჭიროებისამებრ, უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობისათვის ანალიტიკურ-სტატისტიკურ ცნობებს პალატებისა და კოლეგიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ბ) ამზადებს ანალიტიკურ ცნობებს სასამართლოებში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა შემოსვლისა და განხილვის შესახებ;

გ) ამზადებს მასალებს ყოველწლიური სტატისტიკური კრებულის "მართლმსაჯულება საქართველოში"

გამოსაცემად;

დ) ახორციელებს სასამართლოში შემოსულ და განხილულ საქმეთა აღრიცხვის სტატისტიკური ბარათების მიღებას, შემოწმებასა და კომპიუტერში შეტანას, ბარათების კომპიუტერული ფაილის სისრულისა და სისწორის კონტროლს; უზრუნველყოფს ცალკეული სასამართლოებისათვის სტატისტიკური ანგარიშების კომპიუტერზე შედგენას;

ე) ახორციელებს სასამართლოების კვარტალური და წლიური სტატისტიკური ანგარიშების ფორმების მონაცემთა კომპიუტერში შეტანას, კონტროლსა და კრებისითი ცხრილების მიღებას;

ვ) მონაწილეობს სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამებისათვის ამოცანების შემუშავებასა და დანერგვაში.

11. სპეციალისტი სტატისტიკის დარგში:

ა) ახორციელებს სასამართლოში შემოსულ და განხილულ საქმეთა აღრიცხვის სტატისტიკური ბარათების მიღებას, შემოწმებასა და კომპიუტერში შეტანას, ბარათების კომპიუტერული ფაილის სისრულისა და სისწორის კონტროლს; უზრუნველყოფს ცალკეული სასამართლოებისათვის სტატისტიკური ანგარიშების კომპიუტერზე შედგენას;

ბ) ახორციელებს სასამართლოების კვარტალური და წლიური სტატისტიკური ანგარიშების ფორმების მონაცემთა კომპიუტერში შეტანას, კონტროლსა და კრებისითი ცხრილების მიღებას;

გ) უზრუნველყოფს კომპიუტერზე ანალიტიკური სტატისტიკური ცხრილებისა და გრაფიკების შედგენას;

დ) მონაწილეობს სტატისტიკური კრებულების შედგენაში.

მუხლი 11. საფინანსო-სამეურნეო განყოფილება

1. საფინანსო-სამეურნეო განყოფილება ადგენს:

ა) უზენაესი სასამართლოს ბიუჯეტისა და უზენაესი სასამართლოს საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების პროექტებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ კანონით დადგენილი წესით წარსადგენად; აღრიცხავს, აკონტროლებს და აანალიზებს სახსრების ხარჯვას;

ბ) ორგანიზებას უწევს საბუღალტრო აღრიცხვას; ადგენს კვარტალურ და წლიურ ბალანსებს და სხვა ანგარიშებს;

გ) კანონით დადგენილი წესით ადგენს წლიურ გეგმას სახელმწიფო შესყიდვებისათვის, ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ პროცედურებს, აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას.

2. განყოფილება უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს შენობის მოვლა-პატრონობას, სანიტარული წესებისა და სახანძრო უსაფრთხოების დაცვას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კავშირგაბმულობის, გათბობისა და წყალმომარაგების სისტემების გამართულ მუშაობას; სამეურნეო მომსახურებას უწევს უზენაესი სასამართლოს წევრებს და აპარატის ქვედანაყოფებს, უზრუნველყოფს, აგრეთვე, უზენაესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციული ღონისძიების განხორციელებას;

3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს საქმიანი წერილების პროექტებს;

4. უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციული ღონისძიების განხორციელებას;

5. განყოფილების უფროსი:

ა) ახორციელებს განყოფილების საერთო ხელმძღვანელობას;

- ბ) ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს უზენაესი სასამართლოს პლენუმსა და შესაბამის ორგანოებს.
- გ) კონტროლს უწევს ფინანსების ეკონომიურად ხარჯვას.
6. მთავარი კონსულტანტ - მთავარი ბუღალტერი:
- ა) ადგენს ბალანსს;
- ბ) ახორციელებს სწორ დარიცხვას, ბიუჯეტში თანხების დროულად გადარიცხვას, ყოველთვიურად ანგარიშსწორებას ფინანსთა სამინისტროსთან, ბანკთან, მემორიალური ორდერების დამუშავებას;
- გ) საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.
7. უფროსი კონსულტანტ - ბუღალტერი (შრომის ანაზღაურებისა და სხვა უწყისების წარმოებისთვის):
- ა) ადგენს ხარჯთაღრიცხვის პროექტს, ანგარიშს ფაქტობრივი ხარჯების შესახებ;
- ბ) ადმინისტრაციული ნაწილის კონსულტანტთან ერთად უზრუნველყოფს ბალანსზე რიცხული მატერი-
ალური-ტექნიკური ბაზის ინვენტარიზაციას კანონმდებლობის შესაბამისად;
- გ) ორგანიზებას უწევს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სახაზინო სამსახურთან შესაბამისი
ლოკუმენტაციის მომზადებას;
- დ) ასრულებს მივლენებისა და სხვა თანხების ნაღდი ანგარიშსწორებისათვის ანგარიშვალდებული
პირის მოვალეობას.
8. უფროსი კონსულტანტ-ბუღალტერი (სამეურნეო და ადმინისტრაციულ ნაწილში):
- ა) სამეურნეო ნაწილის კონსულტანტთან ერთად ახორციელებს მიღებული საქონლის შემოსავალ-
გასავლის მასალების, ინვენტარის, საწყობის მასალების აღრიცხვას;
- ბ) უზრუნველყოფს სახელფასო, საპენსიო, სამივლინებო თანხების დარიცხვასა და უწყისების წარმოე-
ბას;
- გ) ასრულებს მივლენებისა და სხვა თანხების ნაღდი ანგარიშსწორებისათვის ანგარიშვალდებული
პირის მოვალეობას.
9. უფროსი კონსულტანტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში:
- ა) უზრუნველყოფს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ
მოთხოვნათა შესრულებას, ადგენს წლიური გეგმების პროექტებს;
- ბ) შესყიდვების განსახორციელებლად კანონით დადგენილი წესით ამზადებს შესაბამის ლოკუმენტა-
ციას, თანამშრომლობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, ასრულებს შესყიდვებთან დაკავშირებულ
სხვა პროცედურებს.
10. კონსულტანტი სამეურნეო ნაწილში უზრუნველყოფს საკანცელარიო და სამეურნეო საქონლით
მომარაგებას, საჭირო ინვენტარის შეძენასა და მოვლას; საწყობზე რიცხული მატერიალური ფასეულობის
შენახვას. მიღებული საქონლის შემოსავალში აღებას და შემოსავალ-გასავლის ოპერაციების სწორად
ჩატარებას.
11. მთავარი სპეციალისტი ეხმარება სამეურნეო ნაწილის კონსულტანტს მიმდინარე სამუშაოებში.
ზრუნავს აუზის მოწესრიგებაზე და შესაბამის მომსახურებას უწევს თანამშრომლებს.
12. კონსულტანტი ადმინისტრაციული შენობის ნაწილში:
- ა) უზრუნველყოფს ჩასატარებელი ღონისძიებების მომსახურებას;
- ბ) უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს შენობაში სისუფთავის დაცვას;
- გ) აკონტროლებს დამხმარე მომსახურე პერსონალისა და დამლაგებლების საქმიანობას.
13. სამედიცინო პუნქტის სპეციალისტ-ექიმი:

საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურებას უწევს თანამშრომლებს, პროცესზე დამსწრე და სამართალში მიცემულ პირებს.

14. სხვა დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს საკუთარი მოვალეობის შესრულებას.

მუხლი 12. სასამართლოს მანდატურის სამსახური

1. სასამართლოს მანდატურის სამსახურის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სასამართლოს შენობის დაცვა და სასამართლოს შენობაში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა.

2. სასამართლოს მანდატურის სამსახურის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

3. სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სასამართლოს მანდატურის სამსახურის საქმიანობას, პასუხს აგებს სასამართლოს მანდატურის სამსახურის ამოცანების შესრულებაზე;

ბ) უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ასევე სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის მითითებების დროულ და სათანადო შესრულებას;

გ) აძლევს შესაბამის მითითებებს სასამართლოს მანდატურებს მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით;

დ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. სასამართლოს მანდატური:

ა) უზრუნველყოფს მოსამართლეების, სასამართლო პროცესის მონაწილეებისა და მოწმეების უსაფრთხოებას;

ბ) ახორციელებს სასამართლოს შენობასა და სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას;

გ) ასრულებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მითითებებს წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;

დ) იცავს სასამართლოს შენობას;

ე) ამოწმებს სასამართლო პროცესის დაწყებისათვის სასამართლო სხდომის დარბაზის მზადყოფნას, მოსამართლის მითითებით უზრუნველყოფს სასამართლო სხდომის დარბაზში სისხლის სამართლის საქმისა და ნივთმტკიცებების გადატანასა და დაცვას;

ვ) აღკვეთს სასამართლოს შენობაში სამართალდარღვევას, ავლენს დამრღვევებს, აუცილებლობის შემთხვევაში აკავებს მათ პოლიციისათვის გადასაცემად და ამის თაობაზე ადგენს დაკავების ოქმს, რომლის ფორმასაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

5. სასამართლოს მანდატურის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უფლება აქვს:

ა) გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და იარაღი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

ბ) აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს პოლიციას.

თავი IV დასკვნითი დებულებანი

მუხლი 13.

უზენაესი სასამართლოს აპარატის საქმიანობის გაუმჯობესების, მისი სტრუქტურის სრულყოფის მიზნით, დასაშვებია აპარატის რეორგანიზაცია უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, კანონის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
დიდი პალატის

ბ ა დ ა ვ ა ტ უ რ ა ტ ი ლ ე ბ ე ბ ი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ბს-1117-954-კ-04

6 აპრილი, 2005 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა

შემადგენლობა:

თავმჯდომარე **კ. კუბლაშვილი**
მოსამართლეები: **მ. ვაჩაძე (მომხსენებელი),**
 მ. ტურავა,
 მ. გოგიშვილი,
 ბ. კობერიძე,
 გ. ქაჯაია,
 ნ. სხირტლაძე,
 მ. ცისკაძე,
 რ. ნადირიანი

კასატორი (მოსარჩელე) – შპს „კვარციტი“, წარმომადგენლები: გ. სულაკაძე და ქ. გოგნაძე
მოწინააღმდეგე მხარეები (მოპასუხეები):

1. რუსთავის საგადასახადო ინსპექცია, წარმომადგენლები: ზ. ძნელაშვილი და ს. ნაგლაძე
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე დ. გალეგაშვილი, წარმომადგენლები: დ. არჩვაძე და ვ. ხანიშვილი

მესამე პირი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, წარმომადგენელი – კ. აბულაძე

დავის საგანი: შემოწმების აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 3 დეკემბერს შპს „კვარციტი“ სარჩელით მიმართა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: ბოლნისის ზონალური საგადასახადო ინსპექციისა და რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიმართ და ბოლნისის ზონალური საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 19 ნოემბრის საგადასახადო შემოწმების აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ბოლნისის ზონალური საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 26 თებერვლის №19 ბრძანების საფუძველზე, შპს „კვარციტი“ ჩატარდა საგადასახადო შემოწმება, რომელიც 2000 წლის 1 ივლისიდან 2002 წლის 1 ივლისამდე პერიოდს მოიცავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2002 წლის 19 ნოემბერს შედგა საგადასახადო შემოწმების აქტი.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს მიერ 1996 წლის 28 მაისს შპს „კვარციტი“ უცხოური ინვესტიციების №13 ლიცენზია გაიცა, რომლის თანახმად, შპს „კვარციტი“ სარგე-

ბლობდა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათებით. 1996 წლის 28 მაისიდან 2001 წლის 28 მაისამდე პერიოდისათვის შპს „კვარციტს“ სადავო აქტით ქონების გადასახადის სახით – 7 881 ლარი, ფინანსური სანქცია – 19 000 ლარი, ხოლო მოგების გადასახადის სახით (ძირითადი თანხა და ფინანსური სანქცია) – 5343258 ლარი დაერიცხა.

მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული უცხოური ინვესტიციების ზემოაღნიშნული ლიცენზიის პირობებს და „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა, რის გამოც შემოწმების აქტი მითითებულ ნაწილში ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

მოსარჩელის განმარტებით, „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისის კანონის 9.1 მუხლის თანახმად: „იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში უცხოური ინვესტიციების დაცვის პირობები შეიცვლება და იგი გააუარესებს უკვე განხორციელებული ინვესტიციის პირობებს, ასეთ საკანონმდებლო აქტს არა აქვს უკუქცევითი ძალა ამგვარი ინვესტიციებისათვის 5 წლის მანძილზე აქტის მიღების მომენტიდან“. აქტი, რომელმაც გააუარესა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისის კანონის მე-5 კარის 21-ე მუხლით მინიჭებული დამატებითი ხელშეწყობის პირობები, ძალაში შევიდა 1996 წლის 12 ნოემბერს. ამდენად, საგადასახადო შეღავათების ათვლის საწყისი პერიოდი იწყება არა 1996 წლის 28 მაისიდან, არამედ 1996 წლის 12 ნოემბრიდან და შესაბამისად, 21-ე მუხლით მინიჭებული დამატებითი ხელშეწყობის პირობებმა ძალა დაკარგა არა 2001 წლის 28 მაისს, არამედ – 2001 წლის 12 ნოემბერს.

მოსარჩელე ასევე არ დაეთანხმა საგადასახადო შემოწმების აქტის იმ ნაწილს, სადაც მითითებულია, რომ სამეცნიერო კვლევა-განვითარებაზე გაწეულ ხარჯებში შპს „კვარციტს“ 1997 წლიდან აღრიცხული აქვს 6440161 ლარი, რომელიც აღიარებული იყო აქტივად და ცვეთის სახით გამოიქვეითებოდა ხარჯებში. 2001 წელს აღნიშნული აქტივის ცვეთის სახით გამოიქვეითულმა თანხამ 648 957 ლარი შეადგინა. შემოწმების შედეგად აღნიშნული აქტივის არსებობის შესახებ საწარმომ ვერანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარადგინა და, შესაბამისად, მასზე დარიცხული ცვეთა გამოქვეითებიდან ამოღებულ იქნა.

მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2000 წლის 10 აგვისტოს №151-01 წერილის საფუძველზე, ბოლნისის საგადასახადო ინსპექციის 2000 წლის 19 აგვისტოს №83 ბრძანებით შპს „კვარციტში“ ჩატარდა 1999 წლის 1 იანვრიდან 2000 წლის 1 ივლისამდე პერიოდის საგადასახადო შემოწმება. შემოწმების აქტით ეჭვქვეშ არ დამდგარა აქტივის წარმოშობის რეალობა, მისი მოცულობა, ღირებულება და ბალანსზე ასახვის სისწორე, არამედ შემცირდა გამოქვეითვას დაქვემდებარებული დარიცხული ამორტიზაციის თანხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ შემოწმებისას საგადასახადო ორგანოს მიერ უხეშად დაირღვა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნები, ანუ, თუ მეწარმე შეამოწმა უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ, დაუშვებელია საქმიანობის იმავე საკითხთან დაკავშირებით იგი შეამოწმოს სხვა მაკონტროლებელმა ორგანომ ან იმავე მაკონტროლებელი ორგანოს სხვა დანაყოფმა.

შპს „კვარციტი“ არ დაეთანხმა საგადასახადო შემოწმების აქტის იმ ნაწილსაც, სადაც მითითებულია, რომ მას გაანგარიშების დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში არ წარუდგენია, რომლის მიხედვითაც ქონების გადასახადმა 77583 ლარი შეადგინა. აღნიშნულზე, ამ აქტის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 253-ე მუხლის შესაბამისად, შპს „კვარციტს“ 19 000 ლარი დაერიცხა.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 253-ე მუხლის შესაბამისად, 2000 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარუდგენლობის გამო, შპს „კვარციტს“ შესამოწმებელ პერიოდში ფინანსური სანქციის სახით უნდა დარიცხვოდა 2001 წლის აპრილში 1000 ლარი, ხოლო 2001 წლის მაისიდან 2002 წლის 1 ივლისამდე – 2800 ლარი, სულ – 3800 ლარი. შესაბამისად, შემცირებას უნდა დაქვემდებარებოდა საგადასახადო შემოწმების აქტით ქონების გადასახადში დარიცხული ფინანსური სანქციის თანხა – 15200 ლარი.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 6 თებერვლის განჩინებით საქმეში მოპასუხედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი ჩაება.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით შპს „კვარციტის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ბოლნისის ზონალური საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 19 ნოემბრის საგადასახადო შემოწმების აქტი შპს „კვარციტისათვის“ მოგების გადასახადის ძირითადი თანხის – 3943932 ლარის, ჯარიმის – 1 313 296 ლარის, ქონების გადასახადის – 7 881 ლარისა და ჯარიმის – 15200 ლარის დაკისრების ნაწილში.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა, რომლითაც შპს „კვარციტის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდებოდა.

აპელანტი განმარტავდა, რომ შპს „კვარციტის“ უცხოური ინვესტიციების განხორციელების უფლება საქართველოს ეკონომიკისა და საგარეო ურთიერთობის სამინისტროს მიერ 1996 წლის 28 მაისს გაცემული უცხოური ინვესტიციის №13 ლიცენზიით ჰქონდა მინიჭებული, რომელიც „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონის 16.1 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა უცხოური ინვესტიციების განხორციელებისათვის აუცილებელ დოკუმენტს, ე.ი. უცხოური ინვესტიციის ლიცენზია წარმოადგენდა მხოლოდ ნებართვას ინვესტიციის განხორციელებისათვის და რაიმე შეღავათს საწარმოს არ ანიჭებდა.

ამავე კანონის 21.2-ე მუხლის თანახმად, შეღავათები ვრცელდება მხოლოდ უცხოურ ინვესტიციაზე ან უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოზე, სადაც უცხოელი ინვესტორის წილი შეადგენს საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20%-ს და 100000 აშშ დოლარს.

ამასთან, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის თანახმად: „უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს, რომლებმაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აიღეს უცხოური ინვესტიციების ლიცენზია, მისი გაცემის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში უნარჩუნდებთ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1996 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები საქმიანობის იმ სფეროში, რომელზეც გაცემულია უცხოური ინვესტიციის ლიცენზია“.

აპელანტი მიუთითებდა, რომ შპს „კვარციტის“ შემთხვევაში აღნიშნულ ხუთწლიან პერიოდში ინვესტორის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, რომელიც მიღებულია საწესდებო კაპიტალში, 100000 აშშ დოლარზე ნაკლებია. ამდენად, აპელანტი მიიჩნევდა, რომ საწარმო „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათებით ქონებისა და მოგების გადასახადებში უსაფუძვლოდ სარგებლობდა.

აპელანტი ასევე უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად თვლიდა რაიონული სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შემოწმებლებს არ ჰქონდათ 2001 წელს დარიცხული ცვეთის თანხის რეალობის შემოწმების უფლება. საგადასახადო შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამეცნიერო კვლევა-განვითარებაზე გაწეულ ხარჯებში შპს „კვარციტის“ 1997 წლიდან აღრიცხული აქვს 6440161 ლარი, რომელიც აღიარებული იყო აქტივად და ცვეთის სახით გამოიქვითებოდა ხარჯებში. 2001 წელს აღნიშნული აქტივის ცვეთის სახით გამოქვითულმა თანხამ შეადგინა 648957 ლარი, საგადასახადო შემოწმებისას აღნიშნული აქტივის არსებობის შესახებ საწარმომ ვერანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარადგინა, რის გამოც მასზე დარიცხული ცვეთა ამოღებულ იქნა გამოქვითვიდან.

აპელანტის მოსაზრებით, შპს „კვარციტისათვის“ დეკლარაციების დაგვიანებით წარდგენისათვის სანქციების დარიცხვა საგადასახადო კანონმდებლობის დაცვით მოხდა, ვინაიდან 2000 წელს შპს „კვარციტის“ საავანსო ქონების გადასახადის სახით დარიცხული ჰქონდა 155 964 ლარი, ხოლო გადასახადის ფაქტობრივი გაანგარიშების დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში არ წარუდგენია. შემოწმებით დადგინდა, რომ

საზოგადოების ქონების საშუალო წლიურმა ღირებულებამ 7 758 281 ლარი, ხოლო ქონების გადასახადმა 77 583 ლარი შეადგინა. აღნიშნულზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 253-ე მუხლის თანახმად, სწორად დაერიცხა სანქცია – 19 000 ლარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 30 აპრილის ახალი გადაწყვეტილებით ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება და შპს „კვარციტს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ბოლნისის ზონალური საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 26 თებერვლის №19 და საგადასახადო დეპარტამენტის 2002 წლის 20 აგვისტოს №359 ბრძანებების საფუძველზე ჩატარდა გასვლითი საგადასახადო შემოწმება შპს „კვარციტში“, შედგა შემოწმების აქტი, რომელმაც მოიცვა 2000 წლის 1 ივლისიდან 2002 წლის 1 ივლისამდე პერიოდი. აღნიშნული აქტით შპს „კვარციტს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 7722416 ლარი, ძირითადი გადასახადის თანხა შეადგენს 3872549 ლარს, ფინანსური სანქცია – 3363112 ლარს, ხოლო საურავი - 496 576 ლარს. დარიცხული თანხიდან მოგების გადასახადზე მოდის 5343258 ლარი, აქედან ძირითადი თანხა შეადგენს 3 986 947 ლარს, ხოლო ფინანსური სანქცია (ჯარიმა) – 1356311 ლარს, ქონების გადასახადზე მოდის 26 881 ლარი, საიდანაც ძირითადი თანხა 7881 ლარია, ხოლო ფინანსური სანქცია – 19000 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სასამართლოს 1995 წლის 16 აგვისტოს №23/4-6 დადგენილებით სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა შპს „კვარციტი“, რომლის საწესდებო კაპიტალიც განისაზღვრა 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით, ხოლო იმავე სასამართლოს 1997 წლის 17 იანვრის დადგენილებით შპს „კვარციტის“ საწესდებო კაპიტალი 100000 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს მიერ შპს „კვარციტზე“ 1996 წლის 28 მაისს გაიცა უცხოური ინვესტიციების ლიცენზია, რომელიც „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონის 16.1 მუხლის შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების განხორციელებისათვის აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენდა. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, უცხოური ინვესტიციის ლიცენზია წარმოადგენს მხოლოდ ნებართვას ინვესტიციის განხორციელებისათვის და, თავისთავად, რაიმე შეღავათს საწარმოს არ ანიჭებს.

ამავე კანონის 21.2 მუხლის თანახმად, შეღავათები ვრცელდება მხოლოდ უცხოელ ინვესტორზე ან უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოზე, სადაც უცხოელი ინვესტორის წილი შეადგენს საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20%-ს და 100000 აშშ დოლარს.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ 1996 წლის 12 ნოემბრის კანონის მე-13 მუხლის თანახმად: „უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს, რომლებმაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აიღეს უცხოური ინვესტიციების ლიცენზია, მისი გაცემის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში უნარჩუნდებათ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები საქმიანობის იმ სფეროში, რომელზეც გაცემულია უცხოური ინვესტიციის ლიცენზია“.

მითითებული ნორმების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ შპს „კვარციტი“ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლე სუბიექტს წარმოადგენდა, რამეთუ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ხუთწლიან პერიოდში (ანუ 1996 წლის 26 მაისიდან 2001 წლის 28 მაისამდე) უცხოელი ინვესტორის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, რომელიც ჩაიღო საწესდებო კაპიტალში, 100000 აშშ დოლარზე ნაკლები იყო.

სააპელაციო სასამართლო აქვე მიუთითებდა საგადასახადო შემოწმების აქტზე, რომლითაც დადგენილი

იყო, რომ სამეცნიერო კვლევა-განვითარებაზე გაწეულ ხარჯებში შპს „კვარციტს“ 1997 წლიდან აღრიცხული ჰქონდა 6440161 ლარი, რომელიც აღიარებული იყო აქტივად და ცვეთის სახით გამოიქვითებოდა ხარჯებში. 2001 წელს აღნიშნული აქტივის ცვეთის სახით გამოქვითულმა თანხამ 648957 ლარი შეადგინა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახადო შემოწმების აქტით აქტივზე დარიცხული ცვეთა – 648957 ლარი სწორად იქნა ამოღებული გამოქვითვებიდან.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ შპს „კვარციტს“, ქონების გადასახადის დეკლარაციების წარუდგენლობის გამო, საგადასახადო შემოწმების აქტით უნდა დარიცხვოდა 3800 ლარი და არა 19000 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „კვარციტზე“ სანქციების დარიცხვა დეკლარაციების დაგვიანებით წარდგენისათვის საგადასახადო კოდექსის 253-ე მუხლის შესაბამისად მოხდა.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უსაფუძვლო იყო სარჩელი საგადასახადო შემოწმების აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „კვარციტმა“ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით, იურიდიული შეფასება არ მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, კერძოდ, მან წინასწარ დადგინილი სავალდებულო ძალა მიანიჭა სადავო საგადასახადო აქტში მითითებულ გადასახადის ოდენობას ისე, რომ არ გამოუკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და გაანგარიშება, რომელიც აქტს საფუძვლად დაედო.

შპს „კვარციტის“ მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი განმარტება მისცა საგადასახადო კოდექსსა და „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ კანონის ნორმებს, რომელიც მას შეღავათებს უწყესებად.

კასატორი დამატებით ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სასამართლომ არ იმსჯელა შპს „კვარციტის“ სადამფუძნებლო დოკუმენტებზე, სადაც მითითებულია, რომ საწესდებო კაპიტალში 100000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა უცხოელი ინვესტორის მიერ, ხოლო სს „მადნეულის“ წილი საწესდებო კაპიტალში მხოლოდ ლიცენზიით განისაზღვრა.

კასატორი, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის ნორმის დარღვევაზეც მიუთითებს და განმარტავს, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიებაზე გაწეული ხარჯის – 6440161 ლარის, როგორც აქტივის, არსებობა 1997 წლიდან სადავო არ გამხდარა, იგი საგადასახადო ორგანოთა მიერ შემოწმების საგანი უკვე იყო და ხსენებული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ერთი და იმავე საკითხის ხელშეკრულად შემოწმება კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა.

შპს „კვარციტი“ მისთვის ჯარიმის სახით 19000 ლარის დარიცხვასაც უკანონოდ მიიჩნევს და განმარტავს, რომ, რადგან მას გადასახადი სრულად და დროულად ჰქონდა გადახდილი, დეკლარაციის ვადაში წარუდგენლობისათვის მხოლოდ 3 800 ლარი უნდა დაკისრებოდა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორმა დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით დასტურდება, რომ შპს „კვარციტის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, აქედან სს „მადნეულის“ წილი 50%, ანუ 50000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარია, ხოლო 50% – ავსტრალიური კომპანია „კროპუდ ლიმიტედის“ საკუთრებაა. აქვე წარმოდგენილ იქნა შპს „კვარციტის“ შექმნისა და საქმიანობის შესახებ სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „მხარეები შეთანხმდნენ, რომ „მადნეულის“ წილს საწესდებო ფონდში /ე.ი 50%/ შეიტანს ავსტრალიის მხარე და საწესდებო ფონდის თითოეული ცვლილებისას „მადნეულის“ წილი დარჩება მუდმივი.“

კასატორმა თავისი მოთხოვნა კიდევ ერთხელ სასამართლო სხდომაზეც დააზუსტა და განმარტა, რომ

შპს „კვარციტი“ საწესდებო კაპიტალის შევსება 100 000 აშშ დოლარით მთლიანად უცხოელი ინვესტორის მიერ განხორციელდა, ხოლო სს „მადნეულის“ წილი საწესდებო კაპიტალში მხოლოდ ლიცენზიით განისაზღვრა.

კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის არ გამოყენებაზეც ისაუბრა და განმარტა, რომ, ვინაიდან სამეცნიერო კვლევა-ძიებაზე გაწეული ხარჯის, როგორც აქტივის, არსებობა საგადასახადო ორგანოებს 1997 წლიდან სადავოდ არ გაუზღდათ, გასაჩივრებული აქტივაც საგადასახადო ორგანო უფლებამოსილი იყო, მხოლოდ ამორტიზაციის დარიცხვისა და არა თვით აქტივის არსებობის კანონიერებაზე ემსჯელა, ვინაიდან ეს უკანასკნელი უკვე იყო საგადასახადო შემოწმების საგანი.

დიდ პალატაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას კასატორმა დამატებით „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა. მისი მოსაზრებით, აღნიშნული კანონის მოქმედება შპს „კვარციტზე“ უნდა გავრცელდებოდა. კერძოდ, კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზანია, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ხასიათის განსაკუთრებული და დროებითი ღონისძიების სახით, არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების გამოვლენისა და აღიარების მიზნით, ასეთი შემოსავლის (ქონების) ლეგალიზების პირობებისა და წესის განსაზღვრა და მისი დაფარვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლების დადგენა. ამასთან, კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება გადასახადის გადამხდელებზე, რომლებმაც 2004 წლის 1 იანვრამდე არ განახორციელეს საგადასახადო ვალდებულებათა დეკლარირება ან გადახდა. აქ მოიაზრება არა მარტო საგადასახადო ვალდებულებათა დეკლარირება, არამედ გადახდაც, რადგან წერია სიტყვა „ან“, ხოლო რაც შეეხება მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს, „დეკლარირებული, დარიცხული და აღრიცხული“ უნდა იყოს ერთად, რადგან წერია სიტყვა „და“.

ამდენად, კასატორის მოსაზრებით, ამნისტია უნდა გავრცელდეს საგადასახადო ორგანოების მიერ დარიცხულ გადასახადებზეც, რომელიც გადაუხდელია და რომელზეც მიმდინარეობს დავა სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის, შპს „კვარციტის“ ადმინისტრაციულ დავაზეც.

საბოლოოდ, კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელმა არ ცნო შპს „კვარციტის“ საკასაციო საჩივარი და მიუთითა შემდეგზე:

ამნისტიის კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულებას წარმოადგენს სახელმწიფოს წინაშე ფულადი ფორმით გამოხატული ვალდებულება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით დეკლარირებას ან/და გადახდას ექვემდებარება. აღნიშნულში, ერთი მხრივ, იგულისხმება ის გადასახადები, რომელსაც გადამხდელი დეკლარაციის საფუძველზე გადაიხდის გადასახადის გაანგარიშებისა და საგადასახადო ორგანოში წარდგენის გზით, ხოლო, მეორე მხრივ, გადასახადები, რომლებიც არ ექვემდებარება დეკლარაციების წარდგენის გზით გადახდას და დეკლარაციებისა და გაანგარიშების წარდგენის გარეშე გადაიხდება. ამდენად, მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებით, ამ კანონის მე-4 მუხლში მითითებულ სიტყვებში: „არ განახორციელეს დეკლარირება ან/და გადახდა“, იგულისხმება დეკლარაციებით გადასახდელი გადასახადები და ის გადასახადები, რომლებიც ექვემდებარება დეკლარაციის გარეშე გადახდას და რომელიც არ გადახდილა 2004 წლის 1 იანვრამდე.

საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ასევე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, „ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო ორგანოებში კანონმდებლობით დადგენილი წესით დეკლარირებულ, დარიცხულ და აღრიცხულ, მაგრამ

გადაუხდელ საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებზე“. დარიცხვა და აღრიცხვა ურთიერთშემავსებელი ტერმინებია, ერთობლიობაში, ერთ ტერმინად უნდა განვიხილოთ და მივიჩნიოთ, რომ ამ სიტყვებში, ნებისმიერ შემთხვევაში, დეკლარირებული გადასახადები იგულისხმება.

თავისი პოზიცია საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დიდი პალატის სხდომაზე კიდევ ერთხელ გამოხატა და განმარტა, რომ კასატორზე „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზების შესახებ“ კანონი ვერ გავრცელდებოდა, ვინაიდან ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული დარიცხვა, აღრიცხვა და დეკლარირება ურთიერთშემავსებელი ტერმინებია, თუმცა სიტყვა „და“ არ გულისხმობს სამივე გარემოების ერთად არსებობის აუცილებლობას.

საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელმა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის მოთხოვნებზეც ისაუბრა და განმარტა, რომ, ვინაიდან ამორტიზაცია დენადი და უწყვეტი პროცესია, მისი კანონიერების შემოწმება უდავოდ შეეხებოდა წინა პერიოდსაც, რაც ხსენებული კანონის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევად არ უნდა იქნეს მიჩნეული. ამასთან, მართალია, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია, თუ ვინ ჩადო შპს „კვარციტის“ საწესდებო კაპიტალში 100000 აშშ დოლარი, მაგრამ აღნიშნულიც რომ დადასტურდეს, მასზე შედავათები ვერ გავრცელდება, რადგან სამეწარმეო რეესტრში სრული თანხა ინვესტორზე არ ფიქსირდება.

საბოლოოდ, საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება მოითხოვა, რასაც დაეთანხმნენ რუსთავის საგადასახადო ინსპექციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილა საქმის მასალები, შემოწმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ შპს „კვარციტის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს როგორც შეჯიბრებითობის, ისე – სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს აქტიურ სასამართლოს, რომელიც ყოველმხრივ იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, უფრო მეტიც, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი).

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული

საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. საქმეში არ მოიპოვება შპს „კვარციტის“ სადამფუძნებლო დოკუმენტები: წესდება, დამფუძნებელი ხელშეკრულება, საწესდებო კაპიტალის აფასების აქტი; ასევე, შპს „კვარციტის“ უცხოური ინვესტიციის ლიცენზიის დედანი, თანდართული დოკუმენტები და, მათ შორის, 100000 აშშ დოლარის ღირებულების უცხოური ინვესტიციის განხორციელების მასალები.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ საქმეზე წარმოდგენილი დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, საქართველო-ავსტრალიის ერთობლივი საწარმოს „ეს კვარციტის“ შექმნისა და საქმიანობის შესახებ“ ბოლნისის გამგეობის 1994 წლის 28 იანვრის №28 გადაწყვეტილებით რეგისტრირებული დამფუძნებელი ხელშეკრულება, რომლის 6.5 პუნქტის თანახმად: „მხარეები შეთანხმდნენ, რომ „სსგ მადნეულის“ წილს საწესდებო ფონდში (ე.ი. 50%) შეიტანს ავსტრალიის მხარე და საწესდებო ფონდის ცვლილებისას „სსგ მადნეულის“ წილი დარჩება მუდმივი“.

ამასთან, საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლოში კასატორი – შპს „კვარციტი“ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „სსგ მადნეული“ ავსტრალიურ კომპანია „კროპუდთან“ ერთად ერთობლივ საწარმოში შესულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ ლიცენზიით, რაზეც სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია.

ამდენად, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება, რომ შპს „კვარციტი“ არ წარმოადგენს უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს და არ აკმაყოფილებს „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 30 ივნისის კანონის 21-ე მუხლის 21.2 პუნქტის მოთხოვნებს, არ ემყარება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლეულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს. ამ გარემოებათა გამოსაკვლევად სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილება.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თვლის, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს შპს „კვარციტის“ სადამფუძნებლო დოკუმენტები, ასევე, შპს „კვარციტზე“ გაცემული უცხოური ინვესტიციის ლიცენზიის მასალები და მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელოს, წარმოადგენს თუ არა აღნიშნული საწარმო „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლის 21.2 პუნქტით გათვალისწინებულ უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს, რომელზეც ვრცელდება ამავე მუხლის 21.12 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ იმაზეც უნდა იმსჯელოს, აღნიშნული ხომ არ გამორიცხავს მასზე ამავე მუხლის სხვა დებულებებით დადგენილი შეღავათების გავრცელებას.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის განხილვისას არ გამოიყენა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი ცხადყოფს, რომ აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდება საგადასახადო ორგანოებზე. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „თუ მეწარმე შეამოწმა უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ, დაუშვებელია საქმიანობის იმავე საკითხთან დაკავშირებით იგი შეამოწმოს სხვა მაკონტროლებელმა ორგანომ ან იმავე მაკონტროლებელი ორგანოს სხვა დანაყოფმა.“ დიდი პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რადგან სასამართლოს

საერთოდ არ უმსჯელია, გასაჩივრებული საგადასახადო აქტით ხომ არ დარღვეულა ზემოთ დასახელებული კანონის ნორმები, კერძოდ, შპს „კვარციტის“ წინა წლების შემოწმების აქტები ეხებოდა თუ არა სამეცნიერო კვლევა-განვითარებაზე გაწეულ ხარჯებში შპს „კვარციტის“ მიერ 1997 წლიდან აღრიცხულ 6 440 161 ლარს, რომელიც აღიარებული იყო აქტივად და ცვეთის სახით გამოიქვეთებოდა ხარჯებში, მით უმეტეს, რომ გასაჩივრებული საგადასახადო შემოწმების აქტი 2000 წლის 1 ივლისიდან 2002 წლის 1 ივლისამდე განვილი პერიოდს მოიცავდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელშეორედ განხილვისას საქმეში არსებულ წინა შემოწმების აქტებზეც უნდა იმსჯელოს იმ საფუძველზე, ხომ არ არის საგადასახადო ორგანოების მიერ რამდენჯერმე შემოწმებული სადავო აქტივების წარმოშობის რეალობა შპს „კვარციტში“, რის შემდეგაც შეიძლება გამოიყენოს „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონი.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ასევე მიაქცევს შემდეგ გარემოებას: თუ საქმის განხილვისას დადგინდება, რომ შპს „კვარციტი“ უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოა და მასზე „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი საგადასახადო შეღავათები ვრცელდება, შესაბამისად, გასაჩივრებული საგადასახადო შემოწმების აქტით დადგენილ დარიცხვებში ცვლილებები უნდა შევიდეს და კანონის თანახმად ხელახლა გადაანგარიშდეს. კერძოდ, უნდა გადაისინჯოს შპს „კვარციტისათვის“ საგადასახადო დეკლარაციის წარუდგენლობის გამო სანქციის სახით დარიცხული 19 000 ლარის ოდენობა.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, ამასთან, ვერ გაიზიარებს შპს „კვარციტის“ წარმომადგენელთა მოსაზრებას „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შპს „კვარციტის“ მიმართ გამოყენებისა და ამნისტიის გამო მოცემული საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაციის წესი არ ვრცელდება შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში კანონმდებლობით დადგენილი წესით დეკლარირებულ, დარიცხულ და აღრიცხულ, მაგრამ გადაუხდელო საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებზე“. საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადის თანხების დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოში კონკრეტული საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის კუთვნილი გადასახადის თანხის აღრიცხვას. დიდი პალატა იზიარებს საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელთა პოზიციას და თვლის, რომ დარიცხვა და აღრიცხვა ურთიერთშემავსებელი ტერმინებია და ერთობლიობაში, ერთ ტერმინად უნდა იქნეს განხილული. ამასთან, ეს ტერმინები უკავშირდება დეკლარირებას, ანუ საგადასახადო ვალდებულების არსებობას. შეიძლება საწარმოსათვის საგადასახადო ვალდებულებები წარმოშობილ იქნეს მას შემდეგ, რაც იგი შეამოწმა საგადასახადო ან სხვა ფისკალურმა ორგანომ და, შესაბამისად, მოახდინა მისი ფაქტობრივად დეკლარირება, რაც დაირიცხა (აღრიცხა) საგადასახადო ვალდებულებად. თუ საგადასახადო ვალდებულება წარმოშობილია 2004 წლის 1 იანვრისათვის და ეს ცნობილია საგადასახადო ან სხვა ფისკალური ორგანოებისათვის, ეს ვალდებულება რჩება ძალაში და მასზე ამნისტიის კანონი ვერ გავრცელდება. შესაბამისად, არ შეწყდება ადმინისტრაციული საქმე, თუ იგი იხილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოში. ის საგადასახადო ვალდებულება კი, რაც ფაქტობრივად არ არსებობს, არ ჩანს და არც არის დეკლარირებული (გამოვლენილი) საგადასახადო ან სხვა ფისკალური ორგანოებისათვის, აღარ წარმოიშობა, შესაბამისად, ვერც გამოვლინდება. აღნიშნული ამნისტიის მიზანი სწორედ ამ სახის არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაციაა.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ასევე იზიარებს საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელთა მოსაზრებას „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სიტყვებში „ექვემდებარება დეკლარირებას ან/და გადახდას“ იგულისხმება, ერთი მხრივ, ის გადასახადები,

რომლებიც თავისი გადახდის ბუნებით გადამხდელის მიერ დეკლარაციის საფუძველზე გადაიხდებიან გადასახადის გადაანგარიშებისა და საგადასახადო ორგანოებში წარდგენის გზით (დღგ, აქციზი, მოგების გადასახადი და სხვა), ხოლო, მეორე მხრივ, გადასახადები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დეკლარაციის წარდგენის გზით გადახდას (მიწის გადასახადი, ფიზიკური პირის ქონების გადასახადი და სხვა) და გადამხდელის მიერ დეკლარაციებისა და გაანგარიშების წარდგენის გარეშე გადაიხდება.

„ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ გადასახადის გადამხდელებზე, აგრეთვე, საგადასახადო აგენტებზე, რომლებმაც 2004 წლის 1 იანვრამდე არ განახორციელეს საგადასახადო ვალდებულებით დეკლარირება ან/და გადახდა“. სიტყვებში – „არ განახორციელეს დეკლარირება ან/და გადახდა“ - იგულისხმება ზემოთ მოყვანილი დეკლარაციების წარდგენით გადასახდელი გადასახადები და ის გადასახადები, რომლებიც ექვემდებარებოდა გადამხდელის მიერ დეკლარაციების წარდგენის გარეშე გადახდას და რომლის გადახდაც არ განხორციელებულა 2004 წლის 1 იანვრამდე.

ამდენად, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ „ამნისტიის და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი შპს „კვარციტის“ მიმართ საგადასახადო ორგანოთა მიერ საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხულ საგადასახადო ვალდებულებებზე ვერ გავრცელდება. აღნიშნულ საგადასახადო ვალდებულებათა დარიცხვის კანონიერება შემოწმდება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა თვლის, რომ შპს „კვარციტის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „კვარციტის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №ბს-713-300(კ-05)

7 ოქტომბერი, 2005 წ.,ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა

შემადგენლობა:

თავმჯდომარე	კ. კუბლაშვილი
მოსამართლეები:	მ. გოგიშვილი, ი. ბიბილაშვილი, ჯ. განთაკიძე, მ. გაჩაძე, ი. ლეგაშვილი, რ. ნადირიანი, ნ. სხირტლაძე, ნ. წიკვაძე (მომხსენებელი)

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

კასატორი – (მოსარჩელე) ნელი ხიზანიშვილი

მოწინააღმდეგე მხარე – (მოპასუხე) თელავის რაიონის გამგეობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინება

დავის საგანი: განკარგულების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ხიზანიშვილმა სარჩელი აღძრა თელავის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე თელავის რაიონის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვა თელავის რაიონის გამგეობის 2004 წლის 6 სექტემბრის №289 განკარგულების გაუქმება, მისი შეჩერება, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელე 1998 წლის 24 მარტიდან 2004 წლის 6 სექტემბრამდე მუშაობდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის დირექტორად. ამ თანამდებობაზე დაინიშნა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კონკურსის საფუძველზე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში წარმატებით ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რასაც ადასტურებს მის მიერ წარმოდგენილი ავტობიოგრაფია და შესაბამისი სერტიფიკატები.

2004 წლის 6 სექტემბერს თელავის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გ. მამაცაშვილმა აცნობა №289 განკარგულების გამოცემის შესახებ, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან – თელავის რაიონის გამგეობის 2004 წლის 17 აგვისტოს დადგენილების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის 2004 წლის 3 სექტემბრის მიმართვის საფუძველზე. მიუხედავად მოსარჩელის არაერთგზის სიტყვიერი თუ წერილობითი მოთხოვნისა, გამგეობამ მას არ გადასცა 2004 წლის 17 აგვისტოს დადგენილება და ჯანდაცვის დეპარტამენტის მიმართვა, რომელიც მის

გათავისუფლებას დაედო საფუძვლად.

მოსარჩელის განმარტებით, №289 განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, მისი მომზადების დროს კი დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის და 52-ე მუხლის II ნაწილის მოთხოვნები, ვინაიდან აღნიშნულ განკარგულებაში არ არის მითითებული მისი გასაჩივრების შესაძლებლობის, ვადის და ადგილის შესახებ, ასევე, დარღვეულია მითითებული კანონის 53-ე მუხლის I-V, VIII ნაწილების მოთხოვნები – განკარგულება არ არის წერილობით დასაბუთებული, დასაბუთება წინ არ უძღვის აქტის სარეზოლუციო ნაწილს და ა.შ. განკარგულება გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ და იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის დებულების მე-4 თავის მე-2 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. №289 განკარგულებას მოსარჩელის გათავისუფლებაზე კი ხელს აწერს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი და არა გამგებელი, რითაც დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნა. აღნიშნული აქტის მომზადების დროს გამგეობა ვალდებული იყო, ერთი კვირით ადრე ოფიციალურად ეცნობინა მოსარჩელისათვის მომავალი სხდომის ჩატარების ადგილი, დრო, დღის წესრიგი, რაც არ განხორციელდა, რითაც დაირღვა ზემოაღნიშნული ნორმის 34-ე მუხლის I ნაწილის მოთხოვნები. ასევე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი გათავისუფლების დროს დაირღვა „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის მოთხოვნები და დებულების მე-4 თავის მე-2 მუხლის მოთხოვნა.

მოპასუხე თელავის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გ. მამაცაშვილმა რაიონულ სასამართლოში წარდგინდა შესაგებელში სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე ნ. ხიზანიშვილი 1998 წლის 24 მარტიდან 2004 წლის 6 სექტემბრამდე მუშაობდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის დირექტორად. აღნიშნულ თანამდებობაზე ის დაინიშნა თელავის რაიონის გამგეობის 1998 წლის 24 თებერვლის №24 დადგენილებით დამტკიცებული „საზოგადოებრივი ჯანდაცვის კახეთის სამხარეო ცენტრად“ წოდებული თელავის რაიონული ცენტრის დებულების შესაბამისად, რის გამოც მისი სამუშაოზე მიღება წარმოადგენდა და წარმოადგენს რაიონის გამგეობის პრეროგატივას. 2004 წლის 17 აგვისტოს თელავის რაიონის გამგეობისათვის ცნობილი გახდა, რომ ნ. ხიზანიშვილმა გამოსცა ბრძანება 2004 წლის 11 აგვისტოდან საკუთარი თავის შვებულებაში გაშვების შესახებ ისე, რომ იგი არ შეათანხმა არც რაიონის გამგეობასთან და არც ჯანდაცვის დეპარტამენტთან. მოპასუხე მიიჩნევს, რომ არც „შრომის კანონთა კოდექსი“ და არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით არ არის განსაზღვრული, თუ ვინ უნდა გაუშვას ხელმძღვანელი პირი შვებულებაში, მაგრამ რადგან ნ. ხიზანიშვილი თავად იყენებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 93-ე მუხლს, მისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ, თუ არ არსებობს კონკრეტული ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები, სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის I ნაწილის თანახმად, გამოიყენება კანონის ანალოგია, ანუ, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს, შესაბამისად, მოხელის შვებულებაში გაშვების უფლება იმავე პირს ან დაწესებულებას გააჩნია.

მოპასუხეს მიაჩნია, რომ სასამართლომ ნ. ხიზანიშვილის სარჩელის განხილვისას უნდა იხელმძღვანელოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. ამასთან, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მოხელე, რომელიც თვითნებურად (5 დღეზე მეტი ხნით) მიატოვებს სამსახურს, გათავისუფლებულად ჩაითვლება სამსახურის დატოვების მეორე სამუშაო დღიდან. ნ. ხიზანიშვილი გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს, არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ განკარგულებაზე, რადგან ჯანდაცვის რაიონული ცენტრის

დებულების თანახმად, ცენტრის დირექტორის გათავისუფლების უფლება აქვს რაიონის გამგებელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით და არა რაიონის გამგებლის მოადგილეს, №289 განკარგულებას კი ხელს აწერს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გ. მამაცაშვილი, რაც უსაფუძვლოა, რადგან „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, გ. მამაცაშვილი უფლებამოსილი იყო ნ. ხიზანიშვილი გაეთავისუფლებინა. ასევე, ნ. ხიზანიშვილი სასარჩელო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლზე, რაც ეხება არა ადმინისტრაციულ გარიგებას, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რის გამოც უსაფუძვლოა აღნიშნულ მუხლზე მითითება.

თელავის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ხიზანიშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

თელავის რაიონის გამგეობის 1998 წლის 24 თებერვლის №24 დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის კახეთის სამხარეო ცენტრად“ წოდებული თელავის რაიონული ცენტრი, მისი ახალი დებულება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის დირექტორად დანიშნა ნ. ხიზანიშვილი. თელავის რაიონის გამგეობის 2001 წლის 28 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, თელავის რაიონის საკრებულოს 2002 წლის 23 იანვრის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით განხორციელდა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის კახეთის სამხარეო ცენტრის“ რეორგანიზაცია და შეიქმნა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრი“, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მიღებულ იქნა მისი დებულება, რომელიც დამტკიცდა თელავის რაიონის გამგებლის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, აღნიშნულ ცენტრსაც კვლავ ნ. ხიზანიშვილი ხელმძღვანელობდა.

2004 წლის 11 აგვისტოს ნ. ხიზანიშვილმა გამოსცა ბრძანება საკუთარი თავის 9 სექტემბრამდე შევუბრუნებაში გასვლის შესახებ ისე, რომ აღნიშნულის შესახებ არ შეათანხმა არც თელავის რაიონის გამგეობასთან და არც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, თუმცა შევუბრუნებაში გასვლის შემდეგ ამ უკანასკნელს აცნობა, რომ იმყოფებოდა კუთვნილ შევუბრუნებაში. იმ დროს, როდესაც ნ. ხიზანიშვილმა საკუთარი თავის შევუბრუნებაში გაშვების შესახებ მიიღო ბრძანება, მისი მოადგილეც არ იმყოფებოდა სამსახურში, რომელიც ჯერ შევუბრუნებაში, შემდეგ კი საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა, ამიტომ ნ. ხიზანიშვილმა თავისი მოვალეობის შესრულება დაავალა ექიმ მ. კიკნაძეს. აღნიშნულის შესახებ თელავის რაიონის გამგეობისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 2004 წლის 17 აგვისტოს, როცა დანიშნული იყო რაიონის გამგეობის სხდომა, რადგან სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული არ იყო ნ. ხიზანიშვილის მიერ რაიონის გამგეობასთან შეთანხმების გარეშე თვითნებურად შევუბრუნებაში გასვლის საკითხის განხილვა. მითითებული საკითხის განხილვა შეტანილი იქნა „სხვადასხვა“ საკითხების განხილვაში. სხდომაზე მოხდა აღნიშნული საკითხის განხილვა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნ. ხიზანიშვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რაც ამავე დადგენილების თანახმად, კანონიერ ძალაში შევიდოდა ჯანდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმების შემდეგ. ამ უკანასკნელმა ნ. ხიზანიშვილის გათავისუფლებაზე თავისი თანხმობა თელავის რაიონის გამგეობას აცნობა 2004 წლის 3 სექტემბრის №07/31-565 წერილით და თელავის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის – გ. მამაცაშვილის მიერ 2004 წლის 6 სექტემბერს გამოცემული №289 განკარგულებით ნ. ხიზანიშვილი გათავისუფლდა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის“ დირექტორის თანამდებობიდან – თელავის რაიონის გამგეობის 2004 წლის 17 აგვისტოს სხდომის

დადგენილების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის 2004 წლის 3 სექტემბრის მიმართვის საფუძველზე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ თელავის რაიონის გამგეობის 1998 წლის 24 თებერვლის №24 დადგენილებით, რომლითაც ნ. ხიზანიშვილი დაინიშნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის „კახეთის სამხარეო ცენტრად“ წოდებულ თელავის რაიონული ცენტრის დირექტორად, ფიზიკურ პირს – ნ. ხიზანიშვილსა და თელავის რაიონის გამგეობას შორის წარმოიშვა სამოქალაქო სამართლებრივი შრომითი ურთიერთობა, მათ შორის დაიღო სამოქალაქო სამართლებრივი შრომითი გარიგება. 2000 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ნოვაციის სახით, გათვალისწინებულია ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი – „ადმინისტრაციული გარიგება“ /თავი V/, კერძოდ, მითითებული კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული გარიგება არის „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება“. განსახილველ შემთხვევაში, თელავის რაიონის გამგეობის მიერ 2004 წლის 6 სექტემბერს გამოცემული №289 განკარგულებით შეწყდა ადმინისტრაციული გარიგება მხარეებს შორის, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ემსჯელა არა განკარგულების, როგორც ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე, არამედ – ადმინისტრაციული გარიგების შეწყვეტის კანონიერებაზე, მისი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონთან, „შრომის კანონთა კოდექსთან“, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 თავთან, თელავის რაიონის გამგეობის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის დებულებასთან შესაბამისობაზე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 93-ე მუხლსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ „ცენტრის“ ხელმძღვანელს დებულების შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რაიონული სამსახურის ხელმძღვანელებს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონის გამგებელი, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, განკარგულება ნ. ხიზანიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული უნდა ყოფილიყო თელავის რაიონის გამგებლის მიერ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ამ უკანასკნელთან ნ. ხიზანიშვილის გათავისუფლება შეთანხმებული იყო გამგეობის მიერ. ამასთან, №289 განკარგულება ნ. ხიზანიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გამოსცა თელავის რაიონის გამგებლის პირველმა მოადგილემ გ. მამაცაშვილმა, რომელიც ასრულებდა გამგებლის მოვალეობას. რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის I ნაწილი, თელავის რაიონის გამგეობის დებულების მე-20 მუხლი და განმარტა, რომ გ. მამაცაშვილი უფლებამოსილი იყო, გამოეცა №289 განკარგულება ნ. ხიზანიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ნ. ხიზანიშვილის საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნის და გათავისუფლების უფლება ჰქონდა გ. მამაცაშვილს, მისი კუთვნილ შვებულებაში გასვლაც მასთან უნდა შეთანხმებულიყო, რაც მოსარჩელის მიერ არ იქნა გათვალისწინებული და ა.წ. 11 აგვისტოს თვითნებურად დაწერა ბრძანება საკუთარი თავის შვებულებაში გაშვების შესახებ, თანაც იმ დროს, როდესაც მისი მოადგილეც იმყოფებოდა შვებულებაში და ცოფისა და სხვა მწვავე ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისათვის საშიში პერიოდი იყო. შესაბამისად, გამგეობამ კანონიერად ჩათვალა ნ. ხიზანიშვილის აღნიშნული ქმედება სამსახურის უმიზეზო გაცდენად და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გამგეობის სხდომამ 2004.17 აგვის-

ტოს მიიღო დადგენილება მისი გათავისუფლების შესახებ.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თელავის რაიონის გამგეობის 2004 წლის 17 აგვისტოს დადგენილება და გ. მამაცაშვილის მიერ 2004 წლის 6 სექტემბერს გამოცემული №289 განკარგულება კანონიერია და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი, ამასთან, განმარტა, რომ მითითებული განკარგულება არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს, რამდენადაც მისი გამოცემით შეწყდა ადმინისტრაციული გარიგება ნ. ხიზანიშვილსა და თელავის რაიონის გამგეობას შორის.

თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ხიზანიშვილმა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი მოტივით:

აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება სადავო განკარგულების ადმინისტრაციულ გარიგებად მიჩნევის თაობაზე და განმარტა, რომ განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რადგან მის საფუძველზე შეიცვალა მისი უფლება-მოვალეობა. რაიონულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მის გათავისუფლებაზე თანხმობა არ გაუცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტს. ასევე, აპელანტს დაუსაბუთებლად მიაჩნია რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ აპელანტის მიერ სათანადო წესით შეთანხმებული არ ყოფილა შვებულებაში გასვლის საკითხი და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ შვებულებაში წასვლაზე ზეპირსიტყვიერად შეთანხმდა გამგებლის მოადგილესთან, ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის წერილის მიხედვით, მოსარჩელის შვებულებაში გასვლა მათთან უკვე 10 აგვისტოს შეთანხმებული იყო. რაიონულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ 24-ე მუხლის მიხედვით, გამგებლის კომპეტენციათა ჩამონათვალში არ შედის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება.

აპელანტი განმარტავს, რომ რაიონული სასამართლოს მტკიცება მის მიერ სამსახურის 5 დღეზე მეტი ხნით გაცდენის შესახებ დაუსაბუთებელია, რადგან ის შვებულებაში გავიდა 11 აგვისტოდან 17 აგვისტომდე. გამგეობის სხდომის ჩატარებამდე ორი დღე იყო არასამუშაო, ამდენად ის გათავისუფლდა მენუთე დღეს, რაც არაკანონიერია. ამასთან, რაიონულ სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია ის ფაქტი, რომ მისი სამსახური არა მხოლოდ რაიონული, არამედ თავისი კომპეტენციის ფარგლებში რეგიონალური სამსახურიცაა, რის გამოც დაუშვებელია, რაიონის გამგეობამ გათავისუფლოს იმავედროულად რეგიონალური სამსახურის უფროსი სამინისტროს თანხმობის გარეშე. ასევე დაუსაბუთებელია რაიონული სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე იმ დროს გავიდა შვებულებაში, როცა ცოფისა და სხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისათვის საშიში პერიოდი იყო. რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ და კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის განჩინებით ნ. ხიზანიშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

თელავის რაიონის გამგეობის 2001 წლის 28 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, თელავის რაიონის საკრებულოს 2002 წლის 23 იანვრის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის კახეთის სამხარეო ცენტრის რეორგანიზაცია და შეიქმნა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრი“, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღნიშნულ ცენტრს ხელმძღვანელობდა ნ. ხიზანიშვილი.

2004 წლის 11 აგვისტოს ნ. ხიზანიშვილმა გამოსცა ბრძანება თავის თავზე, 9 სექტემბრამდე შვებულებაში წასვლის შესახებ. ამავე ბრძანებით თავისი მოვალეობის შესრულება დაავალა ექიმ მ. კიკნაძეს, რის შესახებაც თელავის რაიონის გამგეობისათვის ცნობილი გახდა 2004 წლის 17 აგვისტოს, ხოლო იმავე დღეს გამართულ თელავის რაიონის გამგეობის სხდომაზე გამგეობის მიერ ნ. ხიზანიშვილის

ქმედება შეფასდა სამსახურის უშიშროდ გაცდენად და დადგინდა ნ. ხიზანიშვილის სამსახურიდან დათხოვნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. თელავის რაიონის გამგეობის 2004 წლის 17 აგვისტოს დადგენილების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის 2004 წლის 3 სექტემბრის №07/31-565 მიმართვის საფუძველზე იგი გათავისუფლდა თანამდებობიდან.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ არ არსებობდა თელავის რაიონის გამგეობის გასაჩივრებული განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი. რაიონულმა სასამართლომ თელავის რაიონის გამგეობის 2004 წლის 6 სექტემბრის განკარგულება სწორად შეაფასა ადმინისტრაციულ გარიგებად. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე მხარეთა შორის შეწყდა რა შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობა, რაიონულმა სასამართლომ სადავო განკარგულების კანონიერების შესაფასებლად სწორად გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 თავის დებულებები.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ თელავის რაიონის გამგეობის №289 სადავო განკარგულება არ არის ბათილი გარიგება მართლწინააღმდეგობის, ზნეობის ნორმებსა და საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის გამო. ნ. ხიზანიშვილის მიერ შევუბლებაში წასვლა თელავის რაიონის გამგეობასთან შეთანხმების გარეშე სამართლებრივი კვალიფიკაციით ქმნის ისეთი დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობას, როგორცაა სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა, რაც გამოიხატა სამსახურის თვითნებურად მიტოვებაში, რომლის მიმართაც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამუშაოდან დათხოვნის შეფარდება არ ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამართლებრივად უსაფუძველოა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან 11 აგვისტოდან 17 აგვისტომდე არ არის 5 სამუშაო დღე, 17 აგვისტოსთვის არ არსებობდა ფაქტობრივი საფუძველები მისი დათხოვნისათვის, იმდენად, რამდენადაც მოსარჩელე სამუშაოდან დაითხოვეს 6 სექტემბრიდან.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სადავო განკარგულების არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემის შესახებ და განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 93-ე მუხლის მიხედვით, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი არის უფლებამოსილი მის გამოცემაზე. ამასთან, რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონის 27.1. მუხლი და მიიჩნია, რომ ნ. ხიზანიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე ჯანდაცვის დეპარტამენტის თანხმობის არარსებობის შემთხვევაშიც კი სადავო განკარგულება არის კანონშესაბამისი, ვინაიდან საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრი წარმოადგენს რაიონულ სამსახურს, რომლის ხელმძღვანელის დანიშვნის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს რაიონის გამგებელს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ხიზანიშვილმა, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი მოტივით:

რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ კასატორი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში მუშაობისას გამოსცემდა ბრძანებებს შევუბლებაში გასვლასთან დაკავშირებით და ამას სიტყვიერად ათანხმებდა გამგეობასთან და ასევე, ჯანმრთელობის სამინისტროსთან. უფრო მეტიც, საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულება საქმიანობას წარმართავს თავისი წესდების შესაბამისად. სასამართლოებმა ასევე არ გაითვალისწინეს, რომ თელავის რაიონის კომპეტენციაში არ შედის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში რადიკალური გადაწყვეტილების მიღება, თანახმად „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონის 24-ე და 25 მუხლებისა. სააპელაციო პალატამ, აგრეთვე, შეცდომით ჩათვალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინ-

ისტროს 2004 წლის 3 სექტემბრის №07/31-565 მიმართვა კასატორის გათავისუფლების თანხმობად, რადგან აღნიშნულ მიმართვაში სულ სხვა საკითხებზეა მსჯელობა.

კასატორმა საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ დამატებით საკასაციო საჩივარში განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-14 და „შრომის კანონთა კოდექსის“ 37-ე მუხლების თანახმად, აკრძალულია შრომის ხელშეკრულების მოშლა დაწესებულების პროფკავშირის თანხმობის გარეშე, ამასთან, მიუთითა „შრომის, კანონთა კოდექსის“ 58-ე მუხლის I ნაწილი და განმარტა, რომ სადავო განკარგულებაში მითითებულ სამსახურის უმიზეზოდ გაცდენას ადგილი არ ჰქონია და სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება აღნიშნულის თაობაზე დაუსაბუთებელია. კასატორი უთითებს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ სადავო განკარგულება კანონით დადგენილი წესების დარღვევითაა გამოტანილი და ეს საფუძველზე დასტურდება საქმის ერთობლივი მასალებითა და დამატებით საკასაციო საჩივრებზე თანდართული მასალებით.

მოწინააღმდეგე მხარემ – თელავის რაიონის გამგეობამ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ შეპასუხებაში არ ცნო ნ. ხიზანიშვილის საკასაციო საჩივარი შემდეგი მოტივით:

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის კახეთის სამხარეო ცენტრის“ რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი „საზოგადოებრივი ჯანდაცვის თელავის რაიონული ცენტრის“ ხელმძღვანელად დაინიშნა ნ. ხიზანიშვილი, რომლის დანიშვნის და გათავისუფლების უფლებაც მიენიჭა რაიონის გამგებელს. 2004 წლის 11 აგვისტოს კასატორის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება საკუთარი თავის შვებულებაში გაშვების შესახებ, რითაც ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა და ფაქტობრივად მიატოვა სამსახური გამგეობასთან შეთანხმების გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით, გამგეობამ მიიღო კანონით გათვალისწინებული ზომა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ნ. ხიზანიშვილი გაათავისუფლა თანამდებობიდან. რაც შეეხება საკასაციო საჩივარში აღნიშნულ წერილს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ნ. ხიზანიშვილის გათავისუფლება არ ყოფილა შეთანხმებული ჯანდაცვის სამინისტროსთან, არასწორია, რადგან ნ. ხიზანიშვილის გათავისუფლება შეთანხმებული იყო ჯანდაცვის სამინისტროსთან, რასაც მოწმობს თელავის რაიონის გამგეობიდან სამინისტროში გაგზავნილი წერილი და აღნიშნულ წერილზე გაცემული თანხმობა.

საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით მოცემული საქმე განსახილველად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, რამდენადაც დავის საგანი გამოდინარეობს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან, კერძოდ, გასაჩივრებულია მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, რაც სააპელაციო სასამართლომ შეაფასა ადმინისტრაციულ გარიგებად. მით უფრო, რომ სამინისტროს ბრძანება მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით შეფასდა ადმინისტრაციულ გარიგებად, რაც განიმარტა შემდეგნაირად: „სამინისტროს ბრძანება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „დ“ პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის ადმინისტრაციული გარიგების – საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის დადება-შეწყვეტას ეხება, მაგრამ, ვინაიდან ბრძანების სამართლებრივი შედეგი არის ფიზიკურ პირთან საჯარო-შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება მუშაკის სამუშაოზე მიღების ან გათავისუფლების შესახებ არის არა ადმინისტრაციული აქტი, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია საჯარო შრომითი სამართალურ ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლისა“.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ზემოაღნიშნული მსჯელობა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო სამართალურ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის გარიგების მომწესრიგებელი

ნორმები და განმარტა, რომ, ვინაიდან მოცემულ სამართალურთიერთობაში გასაჩივრებულია მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, რომელიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „დ“ პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რამდენადაც კონკრეტულ შემთხვევაში ნ. ხიზანიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს – თელავის რაიონის გამგეობის მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ამასთან, მითითებული ბრძანებით შეწყვეტილ იქნა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში აღძრულია სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად და მასზე უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მომწვერივებული ნორმები.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობის და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. ხიზანიშვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2. მუხლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

მოცემული დავის განხილვისას როგორც რაიონული, ისე სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის საგანი – თელავის რაიონის გამგეობის 2004წ. 6 სექტემბრის №289 განკარგულება შეფასებულ იქნა ადმინისტრაციულ გარიგებად, შესაბამისად, მისი კანონიერების შემოწმებისას სასამართლოებმა გამოიყენეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სამოქალაქო კოდექსის ადმინისტრაციული გარიგების მომწვერივებული ნორმები.

დავის საგნის ამგვარი შეფასება, თავის მხრივ, ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 21 ოქტომბრის და 2003 წლის 20 ოქტომბრის განჩინებებით მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სამინისტროს ბრძანების შეფასებას ადმინისტრაციულ გარიგებად, რამაც განაპირობა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება /იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებები №3გ-ად-23გ-02 და №3გ/ად-48-კ03/.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თვლის, რომ მითითებულ განჩინებებში მოცემული განმარტებები არ გამომდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მნიშვნელობიდან, ამდენად იგი საჭიროებს კანონშესაბამის განმარტებას ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების გათვალისწინებით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „დ“ მუხლში /2000წ. რედაქცია/ მოცემულია ტერმინის „ადმინისტრაციული აქტის“ /2005წ.24.06 რედაქციის მიხედვით „ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი“/ დეფინიცია, ხოლო კოდექსის IV თავის დებულებებით დადგენილია განსაზღვრული ფორმალური წესი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის, რომელიც მათ მიერ დაცული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას; ამავე თავის ნორმებით დადგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველები, ხოლო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია მისი გასაჩივრების შესაძლებლობა და წესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პროცესში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენებული სამართლებრივი ფორმის სწორ კვალიფიკაციას.

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელი დამოკიდებულია და განპირობებულია ადმინისტრაციული აქტის არსებობით.

დიდი პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – ადმინისტრაციული აქტის ავტორი;
2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან;
3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ.

4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება (იგულისხმება შემდეგი ელემენტი: „აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს“) მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. ცნების ეს ელემენტი უცილობლად გულისხმობს, რომ საჯარო დაწესებულების ნების შესაბამისად, ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ ცალმხრივად და შესასრულებლად სავალდებულო ძალით უშუალო სამართლებრივი შედეგი წარმოშვას.

დიდი პალატა განმარტავს, რომ მოწესრიგების, რომლის მახასიათებელი სწორედ ისაა, რომ სამართლებრივი შედეგი უშუალოდ საჯარო დაწესებულების ნების შედეგად დგება, ცალმხრივობა და მისი შესრულების სავალდებულობა ადმინისტრაციული აქტის ცნების ის ელემენტებია, რომლებიც მას განასხვავებს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა ფორმებისაგან, კერძოდ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისაგან.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს 1997წ. 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმები, კერძოდ, 26.1. და 110.1. მუხლების მიხედვით თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით, ანუ არსებობს საჯარო დაწესებულების მიერ ნების ცალმხრივი გამოვლენა. ამავე თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამავე კანონის 95-ე მუხლის დებულება: „პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას.“ აღნიშნულით ცხადია, რომ პირი თავისი ინიციატივის პირობებშიც სამსახურიდან გათავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ ამის სათანადო ნებას გამოავლენს საჯარო დაწესებულება მისი განცხადების დაკმაყოფილების სახით, რაც, ასევე, კანონის 110.1. მუხლის საფუძველზე დაკავშირებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ საერთო სასამართლოებმა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედების მართლზომიერების გარკვევისას (შესაბამისი კვალიფიკაციის მოხდენის მიზნით) ყურადღება უნდა გაამახვილონ არა სადავო ურთიერთობის სამართლებრივ შინაარსზე, არამედ ამ სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ფორმაზე, ვინაიდან, თუ ადმინისტრაციული ორგანო კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოხატულ ნებას მისცემს ადმინისტრაციული აქტის სახეს, იგი, მიუხედავად მისი შინაარსისა, უნდა შეფასდეს

და განხილულ იქნეს, როგორც ადმინისტრაციული აქტი.

დიდი პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოვლენის ფორმის დასადგენად საკმარისია სამართლებრივი აქტის (ბრძანების, განკარგულების და ა.შ.) სახით გამოცემის ფაქტი, მაშინაც კი, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ირჩევს საქმიანობის არასწორ ფორმას. სასამართლო ხელისუფლებას არა აქვს უფლება (შესაძლებლობა), ეს ხარვეზი იმით გამოასწოროს, რომ შეუცვალოს მას სახელწოდება და ადმინისტრაციული აქტის სუბიექტს (ადრესატს) შესთავაზოს მისი უფლების დაცვის სხვა საშუალება.

დიდი პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიების ადრესატს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოიყენოს მისი სუბიექტური უფლების დაცვის ის ადეკვატური საპროცესო საშუალება, რაც საპროცესო კანონმდებლობით ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ამ ფორმისთვისაა გათვალისწინებული, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით კანონმდებლის მიერ კონკრეტულად არის განსაზღვრული, თუ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რომელ ფორმას რომელი სარჩელის სახით შეუძლია დაუპირისპირდეს.

დიდი პალატა თვლის, რომ სასამართლო ხელისუფლება საქართველოს კონსტიტუციის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით და საპროცესო კანონმდებლობით უფლებამოსილია, შეფასოს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას, იმსჯელოს მის მართლზომიერებაზე, მაგრამ სასამართლო კონტროლის ცნება არ მოიცავს იმ საკითხს, რომ სასამართლოს შეუძლია უკარნახოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, თუ რა ფორმით განახორციელოს მან მის წინაშე მდგარი ამოცანები.

დიდი პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობაზე ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან.

დიდი პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლება არის უფლებამოსილი, ერთგვაროვანი სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ადმინისტრაციულ ორგანოს განუსაზღვროს საქმიანობის კონკრეტული სამართლებრივი ფორმა იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ასეთი საკანონმდებლო დაზუსტება. ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გააჩნია საქმიანობის სამართლებრივი ინსტრუმენტი ადმინისტრაციული აქტის სახით და ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტისაგან განსხვავებით, მისი გამოყენების შემთხვევაში, არ ესაჭიროება საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის უფლებამოსილებით აღჭურვა.

ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბრძანების, განკარგულების სახით აქტის გამოცემა მიუთითებს კონკრეტული შემთხვევის ცალმხრივი მოწესრიგების ნებაზე, მეტიც, მას აქვს ამის სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, იმ ვითარებაში, როცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით კანონმდებელმა საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის ადმინისტრაციულ ორგანოს მკაფიოდ განუსაზღვრა საქმიანობის ფორმები, როგორც სამართლებრივი აქტის, ასევე, ხელშეკრულების (იხ. მუხლი 7) სახით. ამდენად, საჯარო შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ლეგალური ფორმის – ადმინისტრაციული აქტის იგნორირება დაუშვებელია. დიდი პალატა აღნიშნავს, რომ დანიშნვის ბრძანების გაცემით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯარო სამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შეღავათების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის, თავისთავად, პირის

ნების გამოვლენა სამსახურში მიღების თაობაზე არ განაპირობებს ადმინისტრაციული ორგანოს ნების პოზიტიურ გამოვლენას და შესაბამის სამართლებრივ შედეგს – ამ პირის სამსახურში მიღებას.

მოცემულ განსახილველ დავაში სადავო განკარგულება მიღებულია რაიონის გამგებლის მიერ, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის ორგანული კანონის მიხედვით წარმოადგენს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს თანამდებობის პირს.

ამავე კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის სამართლებრივ აქტებს. ამავე კანონის 31.3. მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების – საკრებულოსა და გამგეობის დადგენილებების, საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის (მერის) განკარგულებების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ამდენად, ცხადია, რომ სადავო სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებულია სამართლებრივი აქტის ფორმა, შესაბამისად, მისი შეფასება ადმინისტრაციულ გარიგებად არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლში მოცემული დეფინიციის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ; როდესაც სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ერთი პირის ნებაზეა დამოკიდებული, ის სამოქალაქო სამართალში იწოდება ცალმხრივი გარიგების სახელით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრის ფუნდამენტია. ამასთან, სამოქალაქო სამართალი იმ თვალსაზრისს ემყარება, რომ პირებმა ურთიერთობა ერთმანეთს შორის თავად უნდა მოაწესრიგონ. ამ პრინციპს კერძო ავტონომია ეწოდება, რომლის განხორციელების ყველაზე თვალსაჩინო და გავრცელებულ საშუალებას სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს გარიგება. გარიგებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ამასთან, ნების ყოველგვარი გამოვლენა არ წარმოადგენს გარიგებას.

აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როცა სამართალურთიერთობის ერთ-ერთ სუბიექტს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რომელსაც საქმიანობის ფორმების სპეციფიკიდან გამომდინარე, მმართველობითი ღონისძიების განხორციელების შემდეგი სახეები გააჩნია: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რეალაქტი და ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების (დადოს ადმინისტრაციული გარიგება) გამოყენება, რამდენადაც შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისას ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოვლენა გამომდინარეობს არა გარიგების დადების ან გარიგების შეწყვეტის სურვილიდან, არამედ კანონისმიერი უფლებამოსილებიდან, განახორციელოს საჯარო სამსახურებრივი ურთიერთობა და ამ მმართველობითი ფუნქციის შესრულებისას იგი ნების გამოვლენას ახორციელებს არა ხელშეკრულების ფორმით, არამედ ადმინისტრაციული აქტის მიღებით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მის სამართლებრივ ბუნებას, არამედ მისი საქმიანობის ადმინისტრაციულ ფორმას და სამართლის იმ ნორმის ხასიათს, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედების უფლებამოსილებით აღჭურავს და არა იმას, სამართლის რომელ სფეროში იჩენს თავს სამართლებრივი შედეგი, ანუ გადამწყვეტია, საიდან მოდის ღონისძიება და არა ის, თუ საითკენაა იგი მიმართული;

ცალმხრივი გარიგების ბრძანების სახით გამოხატვას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. მეტიც, ცალმხრივი გარიგების ცნების ადმინისტრაციულ სამართალში დამკვიდრება გაუძარტლებელია. მას არ შესწევს უნარი, იყოს მოქმედი ინსტრუმენტი ადმინისტრაციული ორგანოს ხელში, რამდენადაც ზოგად ადმინისტრაციულ და საპროცესო სამართალში არ არის ჩადებული ის მექანიზმი, რომელიც ამ ინსტიტუტს აამოქმედებდა.

დიდი პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციულ სამართალში ცალმხრივი გარიგების აღიარება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, ამოცანებს და არ შეესაბამება დოქტრინას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების შესახებ, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების დადგენით ადმინისტრაციულ სამართალს შემოაქვს წესრიგი ორგანოს მრავალმხრივ და ქაოსურ საქმიანობაში, უქვემდებარებს მას სამართლის ნორმებს და გამჭვირვალეს ხდის ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დიდი პალატა თვლის, რომ ქართულ ადმინისტრაციულ სამართალში დამკვიდრებული ცნება – „ადმინისტრაციული გარიგება“ (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი) საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ნორმის ინტერპრეტაციის უფლებამოსილებაზე დაყრდნობით ექვემდებარება ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების მნიშვნელობით გაგებას, ვინაიდან ხელშეკრულება ორმხრივი გარიგების კლასიკური ფორმაა. ხელშეკრულების, როგორც გარიგების, დახასიათებისას აუცილებელია ურთიერთგაცვლა შინაარსობრივად თანამთხვევადი ნების გამოვლინებისა ორ ან რამდენიმე პირს შორის, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ, ანუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (2000წ. რედაქცია) ტერმინი „ადმინისტრაციული გარიგება“ განმარტებულ უნდა იქნეს „ადმინისტრაციული ხელშეკრულების“ მნიშვნელობით, რადგან ადმინისტრაციული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია სწორედ ის, რომ უშუალო სამართლებრივი შედეგი არა ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების, არამედ მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა სურვილის თანადამთხვევის შედეგად დგება.

დიდი პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლინის ფორმას წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტი და რეალაქტი. გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციულ აქტს ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს თავიდანვე, ხოლო ხელშეკრულების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივ ფორმად გამოყენების შესაძლებლობა აღიარებულ იქნა მხოლოდ გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს 1966 წლის გადაწყვეტილებით და ამ მოსაზრებამ ასახვა პოვა გერმანიის 1976 წლის ფედერალურ კანონში „ადმინისტრაციული წარმოების შესახებ“.

ადმინისტრაციული სამართლის განვითარების შედეგად თანამედროვე ეტაპზე ადმინისტრაციული ხელშეკრულება აღიარებულია როგორც ლეგალური და აუცილებელი ინსტრუმენტი ადმინისტრაციული ორგანოს ხელში. ის იძლევა შესაძლებლობას არატიპური შემთხვევებისათვის მოქნილი მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისა. განსაკუთრებით, ის პასუხობს წარმოდგენებს თანამედროვე, სამართლებრივი და დემოკრატიული მმართველობითი სისტემის შესახებ, რომელიც მოქალაქეებში არა უბრალოდ „ქვეშევრდომს“ (ვინაიდან საჯარო სამართალი ურთიერთდაქვემდებარების პრინციპზეა აგებული, ხოლო ხელშეკრულება მხარეებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს ემყარება), არამედ დამოუკიდებელ სამართლის სუბიექტს და პარტნიორს გულისხმობს.

დიდი პალატა თვლის, რომ პირის (საჯარო მოხელის/ სამსახურში მიღება ან გათავისუფლება არის არა ცალმხრივი გარიგება, არამედ ადმინისტრაციული აქტი, რომელიც /მიღების შემთხვევაში) საჭიროებს ადრესატის მხრიდან თანხმობას. მოქალაქის მხრიდან თანხმობის გამოხატვის აუცილებლობის მოთხოვნის მიზანს არ წარმოადგენს მოქალაქის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც ეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დროს ხდება, არამედ უზრუნველყოფს ისეთი გადაწყვეტილებების მიღების თავიდან აცილებას, რომელიც არ შედის მოქალაქის ინტერესებში (პიროვნების თანხმობის არგამოხატვის შემთხვევაში, იძულების წესით სამსახურში დანიშვნას მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს).

მოქალაქის მხრიდან ნების გამოვლენას ადმინისტრაციული ხელშეკრულებისათვის სიცოცხლისუნარიანობის, ხოლო ადმინისტრაციული აქტისათვის კი მისი კანონიერების განმსაზღვრელი ფუნქცია აქვს. თუ არ არსებობს შეთანხმება, ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება, ხოლო თუ ადმინისტრაციული აქტი, ადრესატის თანხმობის საჭიროების შემთხვევაში, ასეთის გარეშე გამოიცემა, არის კანონსაწინააღმდეგო და გასაჩივრების შესაძლებლობის გამოყენების შემთხვევაში მიეცემა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის გარკვევისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ადრესატის მიერ გამოხატული ნება გადაწყვეტილების შინაარსის განმსაზღვრელია (ადმინისტრაციული ხელშეკრულება), თუ შემოიფარგლება თანხმობის გამოხატვის შესაძლებლობით (ადმინისტრაციული აქტი).

დიდი პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წ. 24 ივნისს ზოგად ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად (ამოქმედდა 2005 წ. 15 ივლისს) მითითებულ ნორმატიულ აქტებში გამოყენებული ტერმინი „ადმინისტრაციული გარიგება“ შეიცვალა ტერმინით „ადმინისტრაციული ხელშეკრულება“. შესაბამისად, 2005წ. 15 ივლისის შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ, რომლებითაც წარმოიშვა ან შეწყდა შრომითი სამართალურთიერთობა, გამოირიცხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის შემომითითებული განჩინებებით მოხდენილი განმარტებების გავრცელების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თვლის, რომ მოცემული დავის განხილვისას სადავო განკარგულების შეფასება ადმინისტრაციულ გარიგებად და მისი მართლზომიერების შემოწმებასთან დაკავშირებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავის და სამოქალაქო კოდექსის გარიგების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება არასწორია, რის გამოც საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს დავის საგანზე არა როგორც ადმინისტრაციული გარიგების, არამედ როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, რამდენადაც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. „ა“ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დავის საგანი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან, შესაბამისად, სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე. ამ ვითარებაში სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სადავო განკარგულების, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, შესაბამისობაზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შრომის კანონთა კოდექსის ნორმებთან მიმართებაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 408.3, 411-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ხიზანიშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინება;
3. საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
5. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ბს-817-403 (კ-კს-05)

5 დეკემბერი, 2005 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა

შემადგენლობა:

თავმჯდომარე	კ. კუბლაშვილი
მოსამართლეები:	ნ. ქადაგიძე (მომხსენებელი), მ. გოგიშვილი, მ. ვაჩაძე, ნ. სხირტლაძე, ნ. კლარჯიშვილი, ბ. კობერიძე, მ. ისაევია, ი. ტყემელაშვილი

კასატორი – შპს „ბასტრიონი“, წარმომადგენელი ქ. ზაქარეიშვილი
მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია, წარმომადგენლები: დ. მოლოდინი, გ. კობახიძე
მესამე პირები – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი; წარმომადგენელი – ალ. დიასამიძე; შპს „ბადური“, შპს „იუპიტერი“, შპს „საბა“, შპს „კოსმოს“.
გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა და დღგ-ს ჩათვლების აღდგენა.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 18 თებერვალს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს „ბასტრიონის“ დირექტორმა მახარე გულიაშვილმა მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიმართ და სარჩელის საფუძველზე მოითხოვა: 1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის აქტების №28/1665 – 18.18.2004; №28-06/06-06/68-16,08.04; №28/1606-16.08.04; №28/1665-18.08.02; №28/1673-19.08.04; №28-06/06-06/73-19.08.04; ქონების დაყადაღების შესახებ №297 ბრძანების; ქონების დაყადაღების შესახებ №326 ბრძანების; აგრეთვე, საინკასო დავალიანებების: №697, №698, №699, №700 (16.08.2004წ.); №756, №758, №759, №760, №761, №762, №763, (18.08. 2004წ.) – მოქმედების შეჩერება და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად მითითებული აქტების ბათილად ცნობა;

2. №№106256, 106253, 106265, 151435, 176627, 187748, 006008, 006021, 006022, 006023, 006027, 006028, 006033, 006039, 006044, 006049, 006050, 006053, 006057, 006057, 006058, 006059, 006063, 006069, 006071, 006072, 006073, 006076, 006077, 006079, 006080, 006081, 006081,

006082, 006088, 006091 ანგარიშ-ფაქტურებით განხორციელებული დღგ-ს გადასახადის გადახდილად ჩათვლა; 3. ზემოაღნიშნული ანგარიშ-ფაქტურებით მიღებული დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შედეგად შპს „ბასტრიონისთვის“ უკანონოდ დარიცხული გადასახადებისა და საურავების გაუქმება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ ზემოჩამოთვლილი საგადასახადო შეტყობინებები, ბრძანებები და საინკასო დავალებები წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს – აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტებს, რომლებიც აწესებს, ცვლის, წყვეტს და ადასტურებს შპს „ბასტრიონის“ უფლებებს. სადავო ადმინისტრაციული აქტების აღსრულება აუცილებლად გამოიწვევს ორგანიზაციის კანონიერი უფლებებისა და ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას.

მოსარჩელის განცხადებით, სადავო ადმინისტრაციული აქტების გამოცემით აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიერ დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი, ვინაიდან აქციზის გადამხდელთა ინსპექცია ვალდებული იყო, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მხოლოდ მათი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩასათვლელი დღგ-ს თანხა არის გადასახადის თანხა, რომელიც დასაბეგრი ოპერაციის დროის მიხედვით გადახდილია წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე, რაც მოსარჩელეთა შემთხვევაში განხორციელდა. გამყიდველმა ანგარიშ-ფაქტურის გამოწერით დაადასტურა მყიდველის მიერ დღგ-ს გადახდის ფაქტი, ხოლო ამავდროულად საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება დღგ-ს გადახდის ფაქტი. შპს „ბასტრიონის“ მიერ 2004 წლის მაისში, ივნისსა და ივლისში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები განხორციელდა კანონის ნორმათა სრული დაცვით, დროულად იქნა წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები და დეკლარაციები. მოსარჩელის განმარტებით, იგი წარმოადგენს კეთილსინდისიერ მყიდველს და მისი კონსტიტუციით უზრუნველყოფილი და აღიარებული უფლება საკუთრებაზე უკანონოდ იზღუდება და ილახება, რადგან საგადასახადო ორგანოებმა დროულად არ განახორციელეს გადასახადების ადმინისტრირების ვალდებულებები და როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს არიცხავენ ერთსა და იმავე გადასახადს, მაშინ, როცა გამყიდველის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს ადრესატამდე – სახელმწიფო ბიუჯეტამდე – თანხის – დღგ-ს გადასახადის მიტანა-გადახდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელის განცხადებით, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საგადასახადო კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს დღგ-ს ჩათვლის გაუქმებას, არის საქართველოს 1997 წლის საგადასახადო კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, მაგრამ მაშინაც კი, თუ მიჩნეული იქნებოდა, რომ ეს იყო ფიქტიური გარიგება, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილი იყო, შეეჩერებინა დღგ-ს ჩათვლა და განეხორციელებინა დღგ-ს დარიცხვა არა შპს „ბასტრიონის“, არამედ – მიმწოდებლის ბარათებზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 10 მარტის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის შუამდგომლობა და საქმეში მესამე პირად ჩაებნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი, შპს „ბადური“, შპს „იუპიტერი“, შპს „საბა“, შპს „კოსმო“.

მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მის მიერ დღგ-ს ჩათვლების გაუქმება და მოსარჩელისათვის შეტყობინების გაეგზავნა მოხდა კანონის დაცვით, რამდენადაც ჩათვლები გაუქმდა იმ ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით, რომელთა შესაბამისი თანხის ბიუჯეტში გადახდა არ განხორციელებულა, საქართველოს 1997 წლის საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის

თანხმად კი: „დღგ-ს ჩათვლას დაექვემდებარება საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ს თანხა“.

მესამე პირმა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა სრულად გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ბახტრიონის“ სასარჩელო განცხადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა ინსპექციის ადმინისტრაციული აქტების – შეტყობინებების, ბრძანებების: №28/1665-18.08.2004; №28-06/06-06/68-16.08.04; №28/1606-16.08.04ლ №28/1666-18.08.2004; №28/1673-19.08.2004; №28-06/06-06/73-19.08.2004; №297 ბრძანება ქონების დაყადაღების შესახებ – 19.08.2004; №326 ბრძანება ქონების დაყადაღების შესახებ – 27.08.2004; საინკასო დავალებების: №697,698,699,700 – 16.08.2004; №756,757,758,759,760,761,762,763 – 18.08.2004 ბათილად ცნობისა და დღგ-ს ჩათვლების აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „დღგ-ს ჩათვლას დაექვემდებარება საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ს თანხა“. ამავე მუხლის თანახმად, ჩამოსათვლელი დღგ-ს თანხა წარმოადგენს გადასახადის თანხას, რომელიც დასაბეგრი ოპერაციის დროის მიხედვით გადახდილია წარმოადგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად. დასახელებული 114-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ორ შემთხვევას: პირველი, როდესაც ჩასათვლელი, ანუ ჯერ არჩათვლილი დღგ-ის თანხა გადახდილია წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად და, მეორე, როდესაც აღნიშნული თანხა ბიუჯეტში გადახდის შემდეგ ექვემდებარება ჩათვლას. ამრიგად, საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლში საუბარია დამატებული ღირებულების გადასახადით გათვალისწინებული თანხის და არა დღგ-ის, როგორც გადასახადის ჩათვლაზე. 1997 წლის საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა განმარტებულია როგორც დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დღგ-ის გადახდევინების ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით, მიმწოდებლების, მოცემულ შემთხვევაში შპს „საბას“, შპს „ბადურის“, შპს „იუპიტერისა“ და შპს „კოსმოს“ მხრიდან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა დასტურებს მყიდველის – შპს „ბახტრიონის“ მიერ არა დამატებული ღირებულების გადასახადის, არამედ დღგ-ით დატვირთული საფასურის გადახდისა და დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტს. ამრიგად, მხოლოდ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა შეუძლებელია იყოს საქმარისი იმისათვის, რომ განხორციელდეს დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად აღიარება, ანუ სახელმწიფოს მხრიდან მიჩნევა, ჩათვლა იმისა, რომ გადასახადი გადახდილია.

1997 წლის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დღგ-ის თანხის ჩათვლა წარმოადგენს შესაბამისი პირის უფლებას, გარკვეული პირობების დადგომის შემდეგ მიიღოს სახელმწიფოს მხრიდან მის მიერ გაწეული საფასურის შედეგად დღგ-ით, როგორც გადასახადით, გათვალისწინებული თანხის გადახდილად აღიარება. იმ შემთხვევაში, თუ ე.წ. მიმწოდებლის მიერ არ განხორციელდება დღგ-ის თანხის ბიუჯეტში შეტანა, შესაბამისად, ვერ განხორციელდება ე.წ. მიმღების უფლება – ჩაითვალოს დღგ-ის თანხა გადახდილად. ამრიგად, რამდენადაც დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით გადახდილი დღგ-ს თანხა საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი არ არის, ამ ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისი დღგ-ის თანხა ჩათვლას არ ექვემდებარება.

მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას ასევე ღარიცხული გადასახადებისა და საურავების გაუქმებაზე, რომლებიც შპს „ბახტრიონის“ დაერიცხა ანგარიშ-ფაქტურებით: №106256, 106253, 106265, 151435, 176627, 187748, 006008, 006021, 006022, 006023, 006027, 006028, 006033, 006039, 006044, 006049, 006050, 006053, 006057, 006057, 006058, 006059, 006063, 006069, 006071, 006072, 006073, 006076, 006077, 006079, 006080, 006081, 006081, 006082, 006088, 006091 მიღებული დღგ-ს

ჩათვლების გაუქმების შედეგად.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბახტრიონმა“.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ შპს „ბახტრიონის“ სასარჩელო განცხადებაში გაერთიანდა რამდენიმე მოთხოვნა, რომელთა ირგვლივ სასამართლო კოლეგიას არ უმსჯელია. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან კანონმდებლობით დადგენილი გამოცემის სხვა მოთხოვნები. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის შესაბამისად, „სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით“. 1997 წლის 13 ივნისის საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის 25-ე ნაწილის შესაბამისად, დღგ-ს გადასახადის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს, რომელიც ამ კოდექსის III და IV კარების მიზნებისათვის იწოდება გადასახადის გადამხდელად“, ხოლო ამავე კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „საგადასახადო ვალდებულება უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელმა, ხოლო საგადასახადო ვალდებულების ცალმხრივად შეცვლა აკრძალულია. კასატორის განმარტებით, აქციზის გადამხდელთა ინსპექციის მიერ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების გამოცემისას დაირღვა ყველა ზემოთხსენებული კანონის ნორმა, რასაც ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 10.03.2005 წლის №2/2/275/291,296,299 გადაწყვეტილება, რომელშიც საზგასმითაა განმარტებული, რომ იმ შემთხვევაში, თუ ე.წ. მიმწოდებლის მიერ არ შესრულდება მის მიმართ დადგენილი ვალდებულება და არ განხორციელდება დღგ-ს თანხის ბიუჯეტში შეტანა, აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ გამოირიცხავს საგადასახადო ორგანოების უმოქმედობას იმ თვალსაზრისით, რომ ქმედითი ღონისძიებები განხორციელდეს ე.წ. მიმწოდებლის მიმართ, მისგან საგადასახადო დავალიანების ამოღების მიზნით. ჩათვლების გაუქმების შედეგად დღგ-ს გადასახადის ბიუჯეტში შეტანის ტვირთი, როგორც ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება, ეკისრება საქონლის მიმწოდებელს, რაც სასამართლო კოლეგიამ უგულვებელყო. ამასთან, კასატორის მითითებით, დღგ-ს ჩათვლების გაუქმების ერთდერითი შემთხვევა გათვალისწინებულია ძველი საგადასახადო კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომელშიც მითითებულია: „თუ საგადასახადო შემოსვლებით დადგინდა, რომ განხორციელდა უსაქონლო ოპერაციები ან ფიქტიური გარიგებები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით განხორციელებული დღგ-ს ჩათვლა მყიდველისთვის უქმდება“. სასამართლოს არ უმსჯელია, არსებობდა თუ არა მსგავსი გარემოებები შპს „ბახტრიონის“ შემთხვევაში და ასეთის არსებობისას დღგ-ს გადახდის ვალდებულება რის საფუძველზე წარმოეშვა მყიდველს.

კასატორის განმარტებით, ვინაიდან არ არსებობს ოპერაცია, რომელიც იბეგრება დღგ-ით, მაშინ არ არსებობს მისი გადახდის ვალდებულება. ამასთანავე, ამავე კოდექსის 120-ე-121-ე მუხლებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დღგ-ს გადამხდელთათვის, რომელიც ყოველთვის მიმართულია მიმწოდებლისკენ, საქონლის გამყიდველისკენ, მაგრამ კანონის ეს მოთხოვნაც რეაგირების გარეშე დარჩა აქციზის გადამხდელთა ინსპექციის მხრიდან და პასუხისმგებლობა დაეკისრა შპს „ბახტრიონს“, რაც, კასატორის მითითებით, არასწორია. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გადასახადი, რომლის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება არ გააჩნდა შპს „ბახტრიონს“, არ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, როგორც მისი კუთვნილი გადასახადი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა წარმომადგენლების ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ბახტრიონის“ საკასაციო საჩივარი ექვემდებარება ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, კერძოდ, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს შპს „ბახტრიონისათვის“ საურავის დარიცხვის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას დღგ-ს ჩათვლის გაუქმების ნაწილში საოლქო სასამართლოს მხრიდან კანონის არასწორი გამოყენებისა და არამართებულად განმარტების თაობაზე და აღნიშნავს, რომ საოლქო სასამართლომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997 წლის რედაქციით) 114-ე და 115-ე მუხლები განმარტა კანონის ნორმების სწორი შეფასების საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს მსჯელობას და მხარეთა ყურადღებას მიაქცევს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელშიც მითითებულია: დღგ-ით გათვალისწინებულ თანხაზე და არა დღგ-ს, როგორც გადასახადის ჩათვლაზე და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად გადახდილ თანხაზე და არა გადასახადზე.

ამვე საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება დღგ-ის გადახდის ფაქტი, რაც ნიშნავს იმას, რომ მიმწოდებლის მხრიდან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა ადასტურებს მყიდველის მიერ არა გადასახადის, არამედ დღგ-ით დატვირთული საფასურის გადახდისა და დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ფაქტს. ამდენად, მხოლოდ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არასაკმარისია იმისათვის, რათა განხორციელდეს გადასახადის გადახდილად აღიარება და სახელმწიფოს მიერ მისი ჩათვლა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უდავოდ დადგენილად მიიჩნევს, რომ შპს „ბახტრიონის“ მიმწოდებლების: შპს „ბადურის“, შპს „იუპიტერის“, შპს „საბასა“ და შპს „კოსმოს“ მიერ დღგ-ის თანხა ბიუჯეტში გადახდილი არ არის.

საქართველოს 1997 წლის საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლში 2000 წლის 13 ივლისის შეტანილი ცვლილების შესაბამისად, დღგ-ის ჩათვლას დაექვემდებარა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის თანხა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმარტავს, რომ საქონლის მყიდველის, მოცემულ შემთხვევაში – შპს „ბახტრიონის“ მიერ საგადასახადო ორგანოში ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა და გამყიდველისათვის დღგ-ის თანხის გადახდა არ წარმოადგენს საკმარის პირობას დღგ-ის ჩათვლის მისაღებად. ამ უკანასკნელის მისაღებად აუცილებელია ერთდროულად ორი პირობის არსებობა: საქონლის (მომსახურების) მყიდველის მიერ გამყიდველისათვის დღგ-ის გადახდა შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით და გამყიდველის მიერ დღგ-ის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანა.

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10.03.05 წლის №2/2/275.296.299 გადაწყვეტილებით დადგენილი განმარტების საფუძველზე ხაზგასმას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი დღგ-ის თანხის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულებას ითვალისწინებს მხოლოდ დღგ-ის გადამხდელის, ანუ საქონ-

ლის, მომსახურების ან სამუშაოს მიმწოდებლისგან, რაც ნიშნავს იმას, რომ დღგ-ის ჩათვლა წარმოადგენს შესაბამისი პირის უფლებას და შესაძლებლობას, გარკვეული პირობების დადგომის შემდგომ სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს თანხის გადახდილად აღიარების უფლება.

ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში მიმწოდებლების – შპს „ბააღურის“, შპს „იუპიტერის“, შპს „საბას“, შპს „კოსმოს“ მიერ არ შესრულდა მათ მიმართ დადგენილი ვალდებულება და არ მოხდა დღგ-ის თანხის ბიუჯეტში შეტანა, შესაბამისად, ვერ მოხდება მიმღების – შპს „ბახტრიონის“ უფლებების რეალიზაცია, მიიღოს დღგ-ის ჩათვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს დღგ-ის ჩათვლის აღდგენის ნაწილში მართებულად ეთქვა უარი.

რაც შეეხება შპს „ბახტრიონისათვის“ ანგარიშ-ფაქტურებით მიღებული დღგ-ის ჩათვლების გაუქმების შედეგად დარიცხულ საურავებს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საურავის დარიცხვას მიიჩნევს უკანონოდ და თვლის, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგება საგადასახადო კოდექსის, როგორც ძირითად პრინციპებს, ისე მითითებული კოდექსის რიგი ნორმების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით, დიდი პალატა ყურადღებას მიაქცევს თავად დღგ-ის, როგორც გადასახადის თავისებურებას და აღნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსის 90-ე მუხლის შესაბამისად, დღგ, როგორც არაპირდაპირი გადასახადი, არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილი, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი. დღგ, ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი არაპირდაპირი მრავალსაფეხურიანი გადასახადია, რომლის გადახდის ტვირთი აწევა საბოლოო მომხმარებელს, შესაბამისად, დღგ მიეკუთვნება არაპირდაპირი გადასახადის სახეს.

სწორედ დღგ-ს მრავალსაფეხურიანმა სისტემამ წარმოშვა გადახდის შემთხვევაში მისი შემდგომი ჩათვლის შესაძლებლობა.

მოცემულ პირობებში, დიდი პალატის მოსაზრებით, არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხის განსაზღვრას, თუ ვინ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს. საგადასახადო კოდექსის (1997 წლის რედაქცია) 29-ე მუხლის 25-ე ნაწილის შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება ეკისრება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიმწოდებელს, რომელიც ამ კოდექსის III და IV კარების მიზნებისათვის იწოდება გადასახადის გადამხდელად.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ, მიუხედავად 1997 წლის საგადასახადო კოდექსში 2000 წლის 13 ივლისს შეტანილი ცვლილებისა, რომლის შედეგადაც დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლება დაუკავშირდა გამყიდველის მიერ დღგ-ის თანხის ბიუჯეტში შეტანის ფაქტს, კანონმდებელს საგადასახადო კოდექსის არც ერთი ნორმით არ შეუცვლია დღგ-ის გადამხდელის ცნება და დღემდე საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის დღგ-ს გადამხდელად რჩება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიმწოდებელი. იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ბახტრიონი“ წარმოადგენს მყიდველს და არა მიმწოდებელს, დიდი პალატა გამორიცხავს მისი დღგ-ს გადასახადის გადამხდელად მიჩნევის შესაძლებლობას. თუმცა, იმავდროულად საჭიროა განისაზღვროს, რამდენადაა შესაძლებელი მისთვის საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრება.

როგორც საგადასახადო კოდექსის ანალიზი ცხადყოფს, საგადასახადო პასუხისმგებლობის სუბიექტებს წარმოადგენენ: გადასახადის გადამხდელები, საგადასახადო აგენტები, ბანკები და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვაზე, თუმცა, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში საგადასახადო სამართალდარღვევის სუბიექტებს წარმოადგენენ გადასახადის გადამხდელები.

საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ გადასახადის თანხა არ

არის გადახდილი დადგენილი ვადისათვის, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, გადაიხადოს გადაუხდელი თანხის 0,15% თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან გადასახადის გადახდის თარიღამდე, გარდა ამ კოდექსის 2521-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ამდენად, მითითებული მუხლის დებულებები ცხადყოფს, რომ საურავი წარმოადგენს ე.წ. დამატებით გადასახადს თანხების არათავისდროული გადახდის გამო. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც მისი დარღვევისათვის უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი დადგენილ ვალებში გადასახადს არ გადაიხდის, გადაუხდელობის მიზეზის მიუხედავად.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მიიჩნევს, რომ საურავი წარმოადგენს გადასახადის გადამხდელისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის სახეს, რომელიც გამოყენებული ვერ იქნება იმ პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება გადასახადის გადამხდელად, ხოლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, დღგ-ს, როგორც არაპირდაპირი გადასახადის, ბუნებიდან გამომდინარე, შპს „ბაზტრიონი“ არ წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს და დაუშვებელია მის მიმართ საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საურავის დაკისრება, რის გამოც დიდი პალატა თვლის, რომ ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ბაზტრიონს“ გაუუქმდება ანგარიშ-ფაქტურებით მიღებული დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შედეგად დარიცხული საურავი.

სარეზოლუციო ნაწილი:


საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ბაზტრიონის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება შპს „ბაზტრიონისათვის“ საურავების დარიცხვის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ბაზტრიონის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს შპს „ბაზტრიონისათვის“ ანგარიშ-ფაქტურებით მიღებული დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შედეგად დარიცხული საურავი.
4. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
5. შპს „ბაზტრიონს“ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 5 000 ლარის გადახდა;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ახალი, ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონის პრეზენტაცია შედგა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბიბლიოთეკაში შედგა დავით წულაიას ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონის პრეზენტაცია. ეს არის პირველი მცდელობა ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონის შექმნისა, რომლის ანალოგი საქართველოში არ მოიპოვება. იგი მოიცავს 50.000-მდე ერთეულს და მასში თავმოყრილია ის სიტყვები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგადად ევროპული ქვეყნების თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში.




ლექსიკონში დანართის სახით წარმოდგენილია სამართლის სფეროში გავრცელებული 2000-მდე სიტყვათშემოკლება, ლათინური ენის 1000-მდე იურიდიული ტერმინი და ფრაზა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა პრეზენტაციაზე ისაუბრა ავტორის დამსახურების



შესახებ: „უპირველესად, ეს ადამიანი არის მართლაც შემოქმედი, რადგან ის წლების განმავლობაში აკეთებდა ამ საქმეს მიზანდასახულად, შრომისმოყვარედ, არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ – მთელი იურიდიული საზოგადოებისათვის. ეს არის მართლაც აღნიშვნის ღირსი. მე მინდა მადლობა გადავუხადო მას ამ დიდი შრომისთვის.“

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი



2005 წლის 1 ნოემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა თანაავტორებთან ერთად წიგნის „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები“ პრეზენტაცია გახსნა.

წიგნის თანაავტორები არიან: შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი ლევან იზორია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე კონსტანტინე კორკელია და სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ხუბუა.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბატონ კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით, ეს არის პირველი პრეცედენტი საქართველოს იურისპრუდენციაში კონსტიტუციით დაცული ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე კომენტარის გამოცემისა, რომლის გამოყენება შეეძლება იურიდიული სფეროს წარმომადგენლებს.

კომენტარები მომზადდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტ „აირის ცენტრის“ (IRIS CENTER) ფინანსური მხარდაჭერით. წიგნი გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფინანსური ხელშეწყობით.

კონსტიტუციური სამართალი

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით გამოვიდა კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო.

წიგნი შექმნილია ავტორთა ჯგუფის მიერ: ავთანდილ დემეტრაშვილი, მარინა კვაჭაძე, კონსტანტინე კუბლაშვილი, დავით ლოსაბერიძე, ზაზა რუხაძე, ვახტანგ ხმაღაძე და ზურაბ ჯიბლაშვილი.


სახელმძღვანელოზე მუშაობისას გამოყენებულია კონსტიტუციური სამართლის კვლევის სისტემური, ისტორიული, კომპარატივისტული (შედარებით-სამართლებრივი) მეთოდები. ყურადღება გამახვილებულია მოქალაქეთა წინაშე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ დებულებებზე, ადამიანის თავისუფლებასა და ქმედუნარიან სახელმწიფოს შორის ჰარმონიული წონასწორობის დაცვის აუცილებლობაზე.

ავტორები განიხილავენ საქართველოში კონსტიტუციური სამართლის განვითარების ტენდენციებსა და დინამიკას, გამოთქვამენ მოსაზრებებს სხვა ქვეყნებში კონსტიტუციური სამართლის განვითარების ძირითად მიმართულებებთან მათი შესაბამისობის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია იურიდიული პროფილის სასწავლებლებისათვის, რის გამოც სახელმძღვანელოში შეტანილია სასწავლო-მეთოდური მასალები, ლექციების თემატიკა, პრაქტიკული მეცადინეობების (სემინარების) გეგმები, კოლოკვიუმებისა და საქმიანი თამაშების თემები.



საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კო მ ე ნ ტ ა რ ი



ადმინისტრაციული სამართლის სფეროში დამოუკიდებელი და მაღალხარისხიანი მართლმსაჯულება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველომ ჯერ კიდევ 2000 წელს აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ყველა დანარჩენ, გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყანათა შორის პირველმა აამოქმედა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. კოდექსში შეტანილმა გარკვეულმა ცვლილებებმა და დამატებებმა, ადმინისტრაციულ საქმეებზე მზარდმა სასამართლო დავებმა შექმნა აუცილებლობა იმისა, რომ გამოცემულიყო ახალი წიგნი.

წიგნი გამოიცა 2005 წლის ბოლოს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით. იგი შესრულებულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ), გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) პროექტის ფარგლებში.

თანაავტორთა (მაია ვაჩაძე, ინგა თოდრა, პაატა ტურავა, ნათია წიკვლაძე) მიერ წარმოდგენილი კომენტარი მნიშვნელოვანი ნაშრომია სამეცნიერო-იურიდიული ლიტერატურის სფეროში.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარში გათვალისწინებულია 2005 წლის ზაფხულში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები.

წიგნში განხილული და გაანალიზებულია არა მარტო ის საკითხები, რაც ამა თუ იმ ნორმითაა მოცემული, არამედ ის პრობლემებიც, რომლებიც ჯერ კიდევ აქტუალურია. ავტორების მიერ შემოთავაზებულია წინადადებები ზოგიერთი პრობლემური ნორმის ახლებური ინტერპრეტირებისათვის. გარდა ამისა, გაკრიტიკებულია რამდენიმე მუხლი, რაც, მათი აზრით, შესაცვლელია.

ავტორთა ანალიზი და მოსაზრებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი პრაქტიკოსი იურისტები არიან. კომენტარი სწორედ მათ თეორიულ ცოდნასა და მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას ემყარება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი შეასრულებს ადმინისტრაციულ საპროცესო სამართლის შესავლის ფუნქციას, მნიშვნელოვნად დაეხმარება იურისტებს აღნიშნული სამართლებრივი სფეროს უკეთ შესწავლასა და ცოდნის დახვეწაში.

ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო


თანამედროვე ადმინისტრაციული სამართლის მთავარი დანიშნულებაა, უზრუნველყოს როგორც ფიზიკური, ასევე – კერძო სამართლის იურიდიული პირების დაცვა ადმინისტრაციულ ორგანოთა ბიუროკრატიული თვითნებობისაგან, მოქნილი და ეფექტური გაზადოს მათ შორის წარმოშობილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები. ამავდროულად, პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს საჯარო ინტერესებისათვის პატივისცემის საკითხი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სამართლისათვის.

ადმინისტრაციული სამართლის რეფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა, რომელიც 1999 წლის 25 ივნისს იქნა მიღებული და 2000 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში. ამ კოდექსით საქართველოში ნორმატიულ დონეზე პირველად განისაზღვრა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი და ძირითადი პრინციპები. ასევე, მასში დამოუკიდებელი, მესამე თავის სახით შევიდა დებულებანი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რამაც ხელი შეუწყო საჯარო ხელისუფლების ორგანოებიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კონსტიტუციური პრინციპის განმტკიცებას. კოდექსის მიღებიდან დღემდე, სხვადასხვა დროს, მასში შევიდა ხუთი ცვლილება, რომლებმაც უფრო დააზუსტა და შეავსო ბევრი დებულება, რამაც კიდევ უფრო გაიზარდა კოდექსის ნორმების პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაში კოდექსის ნოვატორული ნორმების დანერგვა ადვილი არ აღმოჩნდა. დღემდე კოდექსის ზოგიერთი დებულება ჯერ კიდევ არ არის პრაქტიკაში რეალიზებული, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს ეფექტურ მართვაზე.


ნათია წკეპლაძისა და პაატა ტურავას მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელო საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერაა გამოცემული.

სახელმძღვანელო აგებულია ისეთი პრინციპით, რომ დაინტერესებულ მკითხველს გაუადვილდება სამართლებრივი ნორმის მისადაგება პრაქტიკაში წამოჭრილ სხვადასხვა სიტუაციასთან – „კაზუსთან“. თეორიულ მსჯელობასთან ერთად დასმულია კითხვები სამართლებრივი ნორმების თაობაზე, მათზე გაცემულია პასუხები, მითითებლია ამოხსნის გზებზე და განხილულია ცალკეული „კაზუსები“.

სახელმძღვანელოს დართული აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებები.



კუმენე და მაზერე რუმინეთის წინააღმდეგ



საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოსცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის განჩინება – „კუმენე და მაზერე რუმინეთის წინააღმდეგ“.

ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ დებულებების დაცვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლებას. კონვენციის მე-10 მუხლი სწორედ ამ უფლებას ეძღვნება.

აზრის გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტური არაა. კონვენცია იძლევა კანონით მისი შეზღუდვის შესაძლებლობას.

კუმენესა და მაზერეს საქმე ტიპური შემთხვევაა ჟურნალისტთა აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე, აზრის გამოხატვისას პიროვნული რეპუტაციის შელახვის გამო.

დიდი პალატის განჩინება თარგმნა ევა გოცირიძემ. განჩინებას თან ერთვის მისეული ანალიზი და შეფასება, რაც, თავის მხრივ, მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს.

წიგნი დაეხმარება მკითხველს აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვის სფეროში ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრინციპების, პოზიციებისა და სტანდარტების უკეთ გაცნობაში, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე ევროპული კონტროლის თავისებურებებისა და კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების უკეთ გარკვევაში.

ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ (GTZ) გამოსცა პროფესორ ბესარიონ ზოიძის წიგნი „ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში“.

წიგნი ეხება ქართული სამართლებრივი კულტურის განვითარების ძირითად მიმართულებებს ძველი დროიდან მოკიდებული დღევანდლობით დამთავრებული. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კოდიფიკაციის პრობლემებს, ევროპული კერძო სამართლის რეცეპციას ქართული სამოქალაქო კოდექსის მაგალითზე.

წიგნი საინტერესოა არა მარტო ცივილისტებისათვის, არამედ მათთვისაც, ვინც დაინტერესებულია სამართალშემოქმედების პრობლემებით.

ავტორი წინათქმაში აღნიშნავს: „ეს წიგნი არ დაწერილა მარტო ჩემი სურვილით. გულწრფელად მინდა ვთქვა, რომ მე შევასრულე ერთგვარი „დავალება“ სამოქალაქო კოდექსის სარედაქციო კომისიისა, რომლის თავმჯდომარეც პროფესორი სერგო ჯორბენაძე იყო. თავდაპირველად ჩაფიქრებული მქონდა კომისიის მუშაობის ყველა დეტალი აღმეწერა, მაგრამ ბოლოს მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალე, მხოლოდ პრინციპულ დებულებებზე გაეჩერებულიყავი“.

ავტორს აღწერილი აქვს ქართული სამართლის ისტორიული გზა ძველ სამართლებრივ ოჯახებთან მიმართებაში.

წიგნი წარმოადგენს ერთგვარ პროგრამას იმასა, თუ როგორი სამართალი გვჭირდება და როგორ უნდა განვითარდეს იგი.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ჩვენ გვჭირდება ევროპულ სამართლებრივ სივრცეში აპრობირებული საერთო სამართალი და არა ისეთი, რომელიც ყოველთვის უცხო სხეული იქნება ქართული ცხოვრებისათვის. შეუთავსებელთა შეთავსების მცდელობას არსად სარგებლობა არ მოუტანია.“



საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი, ძმები ზუბალაშვილების 32
E-mail: supremecourt.ge
ტელ: 98-51-72